# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 22 (65). 31 ოქტომბერი – 13 ნოემბერი. 2008. „კვირის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!...

## მენაღმეებისთვის ომი გრძელდება

1425
2008

## ოპერაცია „ბინზეგი“

## ბრძოლა გადარჩენისათვის – საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობა დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!.. 4



ბრძოლა გადარჩენისთვის საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობა დღეს 14



მენაღმეებისთვის ომი გრძელდება... 7

VAMTAC – ამერიკული „ჰამერის“ ესპანური ვარიანტი 25






აფხაზი სეპარატისტების სამხედრო ავიაცია 36



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და მისი სირთულეები 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**მოსაზრება**

4 ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!..

**კალეიდოსკოპი**

6 ახალი ამბები

**ფოტორეპორტაჟი**

7 მენაღმეებისთვის ომი გრძელდება

**ქალები ჯარში**

12 24 წლის ლეიტენანტმა გოგონამ 4 რუსული საფრენი აპარატი ჩამოაგდო

**მოსაზრება**

14 ბრძოლა გადარჩენისთვის საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობა დღეს

**გაწვევა**

17 სარეზერვო გაწვევა შეწყვეტილია

**სპეცსამსახურები**

19 რომელი ქვეყნის სპეცსამსახური იქქება კომპრომატების საყივრში

**დამკვირვებლები**

22 ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და მისი სირთულეები

**იარაღი**

25 **VAMTAC** - ამერიკული „ჰამერის" ესპანური ვარიანტი

**სპეცოპერაციები**

30 ოპერაცია „ბინბეგი"

**ომების მსოფლიო ისტორია**

33 კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

**სეპარატისტები**

36 აფხაზი სეპარატისტების სამხედრო ავიაცია

**მეორედ დაბადება**

41 სულით ძლიერნი

**სუპერმობილი**

45 რუსეთის არმიის ჯავშანმობილები ქართულ-რუსულ ომში

**ფლოტი**

48 ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინისათვის სამხედრო ხომალდების გადაცემას გეგმავს

**კონსულტაცია**

51 კვალიფიციური რჩევები

**კროსვორდი**

52 არსენალკვორდი

**არსენალის იარაღის მაღაზია**

53 **P8** ცნობილი **USP**-ს სამხედრო ვარიანტი ბუნდესვერისთვის


## რედაქტორის სვეტი

დაიწყო მუშაობა აგვისტოს მოვლენების შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ. ღია ტელეეთერში უკვე დაიკითხა რამდენიმე მინისტრი, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ყოველივე ეს პიარის გამო კეთდება და უფრო საზოგადოების ფართო მასებისთვის არის გათვლილი.

კომისიამ რომ სიმართლეს მიაგნოს, ათობით სპეციალისტმა დღედაღამ, შეუსვენებლად უნდა იმუშაოს. უნდა დაიკითხოს ამ მოვლენების მონაწილეთა უდიდესი ნაწილი — ისევე როგორც რიგითი ჯარისკაცები, ასევე სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომ გაკეთდეს მიუკერძოებელი ანალიზი.

ძალიან გვინდა შევცდეთ, მაგრამ ნაკლებდასაჯერებელია, რომ საპარლამენტო კომისიამ სამ თვეში მაგიდაზე დაგვიხატოს ის სურათი, თუ რა დაგვემართა...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*


ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
თვეში ორჯერ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73



რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
13.10.2008



ჟურნალ „არსენალის"
ძველი ნომრების შეძენა
ტელ: 38-26-73, 38-26-74.



გაზეთ „კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
**email: arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!“

## რუსეთს საზღვარი ენგურსა და ახალგორთან გადმოაქვს

**თუ ევროპელი დამკვირვებლები ვერ შევიდნენ ცხინვალში, ახალგორსა და კოდორის ხეობაში, მაშინ მათი მისია აზრს კარგავს**




„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!“ — ეს სწორედ ის ფრაზაა, რომელიც საქართველოს დღევანდელ მძიმე მდგომარეობას ასახავს.

მართალია, ჯერჯერობით, აღარ არსებობს დედაქალაქისა და სხვა ქალაქების საჰაერო დაბომბვის საშიშროება, მაგრამ სამაგიეროდ რუსი აგრესორი ყოველდღიურად თითო-თითო გოჯ ქართულ მიწას იპყრობს.

საქართველოს ხელისუფლების ადგილას ყოფნას ნამდვილად არ ვინატრებდი. ერთი მხრივ, ვალდებულია დაიცვას ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოება გალის რაიონში, საჩხერის რაიონის სოფელ პერევში, მთლიანად ახალგორის რაიონში, მაგრამ ამისთვის მას შეიძლება შეიარაღებულმა დაპირისპირებამ მოუწიოს აფხაზ, ოს სეპარატისტებთან და მათ მფარველ რუსეთის სამხედრო ძალასთან.

კრემლშიც სწორედ ამას ელოდებიან, რომ საქართველოს დააბრალონ სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულების იმ პუნქტის დარღვევა, სადაც ნათქვამია, რომ ქართული შეიარაღებული დანაყოფები დისლოკაციის ადგილს უნდა დაუბრუნდნენ.

ამ დილემის წინაშე დამდგარი ოფიციალური თბილისისა და საქართველოს მოსახლეობის თვალწინ რუსული აგრესია და ოკუპაცია უფრო და უფრო მასშტაბური ხდება. რუსეთი არ მალავს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 3700-3700 სამხედროს ჩაყენებას აპირებს. 3700 კაცი რუსული მოტომსროლელი ბრიგადის საშტატო რაოდენობაა.

გამოდის, მოსკოვი თითოეულ კონფლიქტის ზონაში თითო მოტომსროლელ ბრიგადას გვიყენებს. ბრიგადები გაძლიერებული იქნება სადესანტო დანაყოფებითა და არტილერიით. დამატებით თითოეულ კონფლიქტურ ზონაში რუსი ოკუპანტები აუცილებლად განათავსებენ შერეულ საავიაციო ესკადრილიებს (დაკომპლექტებულებს სატრანსპორტო Ми-8 და საბრძოლო Ми-24 შვეულმფრენებით).

აფხაზეთში რუსული სამხედრო დანაყოფების ძირითადი დისლოკაციის ადგილი იქნება გალის რაიონი, ცხინვალის რეგიონში კი ჯავა.

ჩვენთვის ძალზე მტკივნეული იქნება, თუკი რუსული საბრძოლო დანაყოფები მუდმივი დისლოკაციის ადგილს ახალგორშიც დაიდებენ, არადა, ეტყობა, საქმე აქეთკენ მიდის.

გარდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო დანაყოფებისა, საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში რუსი მესაზღვრეებიც გამოჩნდებიან.

კრემლს თავხედურად გადმოაქვს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ჩვენი სამშობლოს შუაგულში.

მდინარე ფსოუდან ენგურამდე და



როკის გვირაბიდან ცხინვალამდე და ახალგორამდე რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩამოჩოჩება ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგია, რაც აგვისტოს ხუთდღიანი ომით მივიღეთ.

ჩამოჩოჩებულ საზღვარზე ენგურის მარჯვენა სანაპიროს მთელ გაყოლებაზე, ისევე როგორც ზნაურის, ჯავის, ცხინვალის, ახალგორის რაიონების ადმინისტრაციული საზღვრების (ყოფილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის) გასწვრივ მოსალოდნელია რამდენიმე ათასი რუსი მესაზღვრის განთავსება.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახური — **ФПС** შედის რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის — **ФСБ**-ს შემადგენლობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შუაგულში დადგება რამდენიმე ათასი რუსი მესაზღვრე-ჩეკისტი! მათ საბჭოთა სასაზღვრო ჯარების მოქმედების ტაქტიკა მთლიანად აქვთ გადმოღებული — რუსი მესაზღვრეების სადაზვერვო დანაყოფები თავიანთ დანიშნულებას შეასრულებენ — საზღვრის აქეთ რამდენიმე ათეული კმ-ის სიღრმეში (სწორედ ასე მოქმედებდა საბჭოთა სასაზღვრო ჯარების სადაზვერვო სამსახური საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე) დაზვერვაზე სისტემატურად ივლიან.

ყველაფერი ეს დაუჯერებელ სიზმარს ჰგავს, მაგრამ, სამწუხაროდ,



დღევანდელი რეალობაა!

თუ არ გვინდა ახალგორი ახალ ცხინვალად გვექცეს, ყოველმხრივ თავი უნდა ავარიდოთ შეიარაღებულ დაპირისპირებას რუსულ სამხედრო მანქანასთან.

მაგრამ ჩვენს ამ იძულებით სისუსტეს კარგად ხედავენ კრემლშიც, საიდანაც სეპარატისტულ სოხუმსა და ცხინვალს გეშავენ ახალი პროვოკაციების მოსაწყობად საქართველოს წინააღმდეგ.

ამ რთული სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალური და ნაწილობრივი გამოსავალი შეიძლება იყოს ევროპელი დამკვირვებლების საქმიანობის გააქტიურება, რომლებიც უკვე ერთი თვეა საქართველოში არიან.

თუმცა განვლილმა კვირებმა ცხადყო, რომ ევროპელი დამკვირვებლების ენგურის მარჯვენა სანაპიროზე შეშვებას, ისევე როგორც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებსა და ახალგორში, სეპარატისტები არც აპირებენ.

ეს კი არა, ევროპულმა სამშვიდობო მისიამ ისიც ვერ მოახერხა, საჩხერის რაიონის სოფელ პერევში ჩაეტარებინა მონიტორინგი, სადაც რუსი ოკუპანტების დგომის არავითარი საფუძველი არ არსებობს.



სამწუხაროდ, მეორდება ის ტრაგიკული აბსურდის თეატრის წარმოდგენა, რომელიც 1994 წელს ერთხელ უკვე ვნახეთ. მაშინ მოსკოვის ხელშეკრულებით დსთ-ის ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების ძალები ენგურთან უნდა განთავსებულიყვნენ. თუმცა მაშინდელი საქართველოს ხელისუფლება ატყუებდა თავისსავე მოსახლეობას და ხელშეკრულებაში ჩაწერილ ფრაზას — „От реки Ингури“ შიფრავდა ისე, თითქოსდა რუსი ცისფერჩაფხუტიანები მარტო ენგურის მარჯვენა მხარეს, გალის რაიონში დადგებოდნენ.

რეალობამ გამოააშკარავა ტყუილი, რადგან რუსული ე.წ. სამშვიდობო დანაყოფი ენგურის მარცხენა სანაპიროზეც, ურთასთან დაბანაკდა.

14 წლის შემდეგ ამ გარემოებამ ტრაგიკული როლი შეასრულა საქართველოსთვის, რადგან 10 აგვისტოს ხიდს რუხთან რუსული სადესანტო ჯავშანკოლონა მოადგა, რომლის მეთაურობამ ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა ურთასთან რუსი ცისფერჩაფხუტიანების ბაზის გამაგრება.

შემდგომ ამ საბაბით რუსმა სამხედროებმა სამეგრელოს მთელი ოკუპაცია მოახდინეს და სენაკის სამხედრო ბაზა გაძარცვეს.

ოფიციალურ თბილისს, ნებსით თუ უნებლიეთ, ახლაც შეცდომაში შეჰყავდა მოსახლეობა, როდესაც ამტკიცებდა, რომ ევროპელი დამკვირვებლები სიტუაციას გააკონტროლებდნენ როგორც კონფლიქტური ზონების საზღვრებზე, ისე მის იქით...

ჯერჯერობით, ეს ზღაპრად რჩება. თუკი უცხოელი დამკვირვებლები არ შევლენ დიდი და პატარა ლიახვის, ასევე კოდორის ხეობებში, სოფელ პერევში და, რა თქმა უნდა, ახალგორის რაიონში და არ დააფიქსირებენ იქ ქართველთა გენოციდის ფაქტებს, მაშინ მათ მისიას ჩალის ფასი ექნება და ეს ყველაფერი თვითმოტყუებად დარჩება...

***ირაკლი ალადაშვილი***

2608
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშშ „რადარების მკვლელების“ ახალი სერიის წარმოებას იწყებს

რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა AGM-882 EERGM-ის (ADVANCED ANTI-RADIATION GUIDED MISSILE) შექმნის პროგრამამ სერტიფიკაცია გაიარა და მალე მისი მცირესერიული წარმოება დაიწყება. „რადარების მკვლელების“ ახალი ვერსია კომპანია ALLIANT TECHSYSTEMS-მა შეიმუშავა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალების შეკვეთით. AGM-88E AARGM-ი დიდი სიშორის ზებგერითი საავიაციო რაკეტა AGM-88 HARM-ის (HIGH-SPEED ANTI-RADIATION MISSILE) სრულყოფილი ვარიანტია. ის შეიარაღებაში 2010 წელს შევა. დააყენებენ თვითმფრინავ F/A18 C/D-ებსა და E/F-ებზე, EA-18G-ებსა და TORNADO IDS-ECR-ებზე. ამ რაკეტით შეიძლება ასევე აღიჭურვოს F-35, F-16 და EA-6B-ები. „რადარების მკვლელების“ პირველი ვერსიის გამოცდა ამა წლის აგვისტოში ჩატარდა, რომლის დროსაც გამოვლინდა მისი მაღალი საბრძოლო ეფექტიანობა, მათ შორის რადიოელექტრონული აქტიური წინააღმდეგობის პირობებში. მართვადი რაკეტა AGM-88E AARGM-ი განკუთვნილია საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მიწისზედა და სახომალდო რადიოლოკაციური, ასევე ადრეული აღმოჩენისა და დამიზნების რადიოლოკაციური სადგურების გასანადგურებლად. აღჭურვილია მნიშვნელოვანი ობიექტებისა და საჯარისო ნაწილების ბლოკირების უნარის მქონე ნავიგაციის ინერციული და GPS-სისტემებით, ასევე მილიმეტრული დიაპაზონის თვითდამიზნების ორრეჟიმიანი (პასიურ-აქტიური) თავით. მონაცემთა გაცვლის ორარხიანი სისტემის გამოყენება ფრენისას რაკეტის მიზნის შეცვლის საშუალებას იძლევა.

# ამერიკულმა სპეცრაზმმა უპილოტო შვეულმფრენები შეუკვეთა

აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაურობამ შვეულმფრენის ტიპის 10 უპილოტო საფრენი აპარატი A160T HUMMINGBIRD-ი შეუკვეთა. ტექნიკის მიწოდება მიმდინარე წლის დამლევს დაიწყება. სავარაუდოდ, უპილოტო შვეულმფრენებს ავღანეთში გადაისვრიან. A160T HUMMINGBIRD-ი შეიმუშავა კომპანია BOEING-მა. მას გამოიყენებენ სადაზვერვოდ, მიზნის საჩვენებლად, კავშირის უზრუნველსაყოფად და მტრისთვის დარტყმის მისაყენებლად. აპარატის მაქსიმალური ასაფრენი მასა 3000 კილოგრამს აღწევს, არანაკლებ 500 კილოგრამი სასარგებლო დატვირთვის ჩათვლით. სიგრძე 10,7 მეტრია, მზიდი ხრახნის დიამეტრი კი 11 მეტრს უტოლდება. უპილოტო შვეულმფრენი აღიჭურვება 700 ცხ. ძალის მქონე ტურბოძრავათი და საათში 265 კილომეტრის განვითარება შეუძლია. მისი ფრენის მაქსიმალური ხანგრძლივობა 20 საათს აღემატება, სიშორე კი — 4500 კილომეტრს. პრაქტიკული ჭერი 9150 მეტრს აღწევს. საბორტე აღჭურვილობის სტანდარტულ კომპლექტში შედის ოპტიკური და ინფრაწითელი კამერები, ლაზერული მანძილმზომი, ლაზერული მიზნის მაჩვენებელი, კავშირისა და მონაცემთა გაცვლის საშუალებანი, ასევე სინთეზირებული აპარატურის მქონე რადიოლოკაციური სადგური. აპარატი შეიძლება აღიჭურვოს რადიოელექტრონული ბრძოლისა და სხვა აპარატურით. გარდა ამისა, მას შეუძლია 8 მართვადი რაკეტა HELLFIRE-ს წაღება. ერთი უპილოტო საფრენი აპარატის A160 HUMMINGBIRD-ის ფასი დაახლოებით 10 მლნ დოლარია.



# აშშ-მა „როსობორონექსპორტს“ სანქციები დაუწესა

აშშ-მა „როსობორონექსპორტს“ ახალი ცალმხრივი სანქციები დაუწესა, რაც განაპირობა რუსეთის ირანის შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობამ. „როსობორონექსპორტის“ გარდა სანქციადაწესებულთა სიაში მოხვდნენ ჩინეთის სამი კომპანია, ჩრდილო კორეის — ორი, სუდანის — ორი და თითო-თითო სამხრეთ კორეისა და სირიის, არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და ვენესუელის კომპანიები. ყველა მათგანს ბრალად სდებენ მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად საჭირო ტექნოლოგიებისა და მიწოდების საშუალებების გავრცელებას, მათ შორის ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების. გარდა ამისა, ზემოჩამოთვლილ კომპანიებს ეკრძალებათ აშშ-ში საბრძოლო ტექნიკისა ან ტექნიკური უზრუნველყოფის შესყიდვა. სანქციები ძალაში 23 ოქტომბერს შევიდა, მოქმედების ვადა ორი წელია. შეგახსენებთ, რომ აშშ-მა სანქციები პირველად 2006 წელს დაუწესა „როსობორონექსპორტსა“ და „სუხოის“, 2007 წელს კი ახალი სანქციები დაუწესდა ტულის ხელსაწყომშენებლობისა და კოლომნის მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ტყვიავში „კაკალაანთ უბანში" რუსულმა მოიერიშემ 4 ცალი საავიაციო ბომბი ჩამოაგდო. მათგან სამი სახლებს შორის აფეთქდა...



# მენაღმეებისთვის ომი გრძელდება

**კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში საბრძოლო მოქმედებების შემდეგ კვლავ რჩება ასობით აუფეთქებელი კასეტური ბომბი, ნაღმი თუ რაკეტა...**

აუფეთქებელ თუ დამწვარ საბრძოლო მასალებს მოსახლეობა ჯართში ჩასაბარებლად აგროვებს, რითაც დიდ საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ თავსა და ოჯახს, ისე გარეშე პირებსაც.













სოფელ ძევერასთან მიბმულ სოფელ შერთულის განაპირას ორი დამწვარი რუსული სატვირთო „ურალი“ ეგდო. ერთ-ერთ მათგანში ათობით ნაღმსატყორცნის ნაღმი დაიწვა. მენაღმეებმა განადგურებული „ურალის“ ნარჩენებში ავტომობილის რუსული სამხედრო სანომრე ნიშანი და ჟავშანჟილეტი აღმოაჩინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა













აუფეთქებელ საბრძო-ლო მასალებს ქართველი მენაღმეები სოფლებში კარდაკარ ეძებენ, ქვიშიან ყუთებში ფრთხილად აწყობენ და უსაფრთხო ადგილას ეტაპობრივად ანადგურებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკვე დამწვარი ნაღმსატყორცნის ნაღმების გადატანა ასეც შეიძლება, რადგან ისინი ფეთქებადსაშიში აღარ არიან...



ასე გამოიყურება ყბადაღებული კასეტური ბომბები (წითელი და თეთრი ლენტით). მათ აფეთქებისას როგორც კუმულაციური, ისე მსხვრევადი ეფექტი აქვთ...









ზემო ნიქოზში ლომსაძეების ორსართულიანი სახლისგან რამდენიმე კედელიღა დარჩა. რაკეტის ძრავის საქშენი გათბობის სისტემის რადიატორში გაიჩხირა...

ეროვნული ბიბლიოთეკა





სოფელ შინდისში რუსულმა საფრონტო ბომბდამშენმა Су-24M-მა მიყოლებით 4 ბომბი „ჩააწყო“, მაგრამ არ შერჩა. ორიოდ წუთში ჩამოაგდეს. მისი ძრავის ჰაერმიმღები „არსენალმა“ სოფელ ძევერაში აღმოაჩინა.

ერთი აუფეთქებელი რუსული საავიაციო ბომბი ნიქოზისკენ მიმავალი გზის საფარქვეშ აღმოჩნდა.

*ირაკლი ალადაშვილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 24 წლის ლეიტენანტმა გოგონამ 4 რუსული საფრენი აპარატი ჩამოაგდო

## „მაშინ მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი, მიზნისთვის არ ამეცილებინა“

„ხშირად მეკითხებიან, ომში რომ მიდიოდი, არ გეშინოდაო?.. ჯერ ერთი, მაშინ შიშზე არავინ ფიქრობს და გარდა ამისა, სამხედრო პირს შიშის უფლება არ აქვს, რადგან შიშმა პანიკა იცის, პანიკა კი საქმეს აფუჭებს“, — ასე დაიწყო ჩემთან საუბარი 24 წლის ლეიტენანტმა, მეზენიტე ლელა მჭედლიშვილმა, რომელიც საჰაერო ძალებში მსახურობს. მეუღლეც სამხედრო მოსამსახურე ჰყავს, ასევე ლეიტენანტი. რუსეთ-საქართველოს ომის დროს, მეუღლისგან განსხვავებით, ოთარ ფულარიანს შედარებით მშვიდობიანი დავალების შესრულებამ მოუწია. ლელა კი ომის ქარცეცხლში აღმოჩნდა. ჩამოგდებული 20-ზე მეტი მტრის საჰაერო მოიერიშიდან, 4 მის ანგარიშზეა...

**— ლელა, მოვლენების ეპიცენტრში იყავით, არ გაგიჭირდათ?**

— ჩვენს ჩასვლამდე ქართულ სოფლებს რუსული სამხედრო თვითმფრინავები ბომბავდნენ. 8 აგვისტოს მტერი უკვე ინტენსიურ საჰაერო იერიშზე გადმოვიდა. სწორედ იმ დღეს ჩამოვაგდე რუსული საფრენი აპარატები.

**— ოთხივე ერთ დღეს ჩამოაგდეთ?**

— დიახ... იმ დღეს დაახლოებით ორმოცდაათმა თვითმფრინავმა ერთდროულად გადმოკვეთა საჰაერო სივრცე. უფლება არ მაქვს, დავასახელო იმ იარაღის სახელი, რითაც მოიერიშეებს ვაგდებდით. ის სიგნალს იძლევა და ამ დროს წამებში უნდა იმოქმედო. საერთოდ, ომის დროს ყველაფერი წამებზეა დამოკიდებული. მტერს უნდა დაასწრო და ჩაიჭირო, თუ გაგექცა, მეომარსაც და ქვეყანასაც ძვირად დაუჯდება. მაშინ მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი, მიზნისთვის არ ამეცილებინა და რაც შეიძლება, მეტი ჩამომეგდო. რა ბრძანებასაც მივიღებდი, გასროლა იყო თუ სხვა, ზედმიწევნით და უშეცდომოდ უნდა შემესრულებინა. სიკვდილზე არც მიფიქრია.





ერთი ეპიზოდი მახსოვს. ორი თვითმფრინავი ერთდროულად შემოფრინდა. მართალია, იმ დროს სახუმაროდ არავის ცხელოდა, მაგრამ როცა რამდენიმე წამში ორივე ჩამოვაგდე, უნებურად წამომცდა, ეს ერთი და სხვა მრავალი-მეთქი. სიხარულის გააზრება ვერც მოვასწარი, რომ უცებ მომდევნო შეტევა დაიწყო... მერე ვითარება შეიცვალა და გამოსვლამ მოგვიწია. საბედნიეროდ, ჩვენ ნაწილს დანაკარგი არ ჰქონია, არც ადამიანური და არც იარაღის.

**— ლელა, რატომ გადაწყვიტეთ სამხედრო სამსახურში შესვლა?**

— ბავშვობიდანვე მინდოდა, ძლიერი ქალი ვყოფილიყავი. გარეგნულად კაფანდარა ვიყავი, მაგრამ გარეგნობა არაფერს წყვეტს, მთავარია, შინაგანად იყო ძლიერი. როცა ჯარში წასვლა გადავწყვიტე, ვიცოდი, სადაც მივდიოდი, რაც მელოდა. ფიზიკურ ძლიერებაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტია...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ-

ელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე. უკვე ოჯახი გვქონდა, როცა ჩემმა მეუღლემ გადაწყვიტა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში შესვლა და საბუთების მომზადებას შეუდგა. ამასთან, ფიზიკურად ემზადებოდა, — ვარჯიშობდა, დარბოდა, აზიდვებს აკეთებდა. ერთ დღესაც დავინტერესდი, აბა, გაიგე, გოგონებს თუ შეუძლიათ ჩაბარება-მეთქი. გაუკვირდა, რას აპირებო, მაგრამ ისე მივუდექი, რომ დავიყოლიე და დამთანხმდა, სცადე და ვნახოთ, თუ შეძლებო. გამოცდებამდე ერთი თვე იყო დარჩენილი და დილაუთენია ვდგებოდი, დავრბოდი, ვვარჯიშობდი, აზიდვებს ვაკეთებდი. თავიდან ძალიან მიჭირდა, მერე შევეჩვიე. გამოცდებამდე უკვე 28 აზიდვას ვაკეთებდი. მამაკაცებივით დიდ მანძილს ვერ ვფარავდი, მაგრამ არც ჩამოვრჩებოდი. სხვათა შორის, კარანტინს ფსიქოლოგიურად ბევრმა ახალგაზრდამ ვერ გაუძლო.

**— ეს არაერთხელ მსმენია სამხედრო ქალებისგან. რომელი ბარიერის გადალახვა უჭირდათ ყველაზე უფრო?**

— კარანტინში მაქსიმალური დატვირთვა გვქონდა. ხშირად ღამით 30-40 კილომეტრი მარშით გაგვივლია. კარანტინი საჩხერეში გავიარეთ, ივლისში, თავზე ჩაფხუტები გვეხურა, ჯავშანჟილეტები გვეცვა და აღჭურვილობაც გვქონდა. ასე აღკაზმულები პაპანაქება სიცხეში, ასფალტზე ვვარჯიშობდით. 30 გოგონადან მხოლოდ 6-მა გავიარეთ კარანტინი. ბიჭები სახტად დარჩნენ, თქვენ ვინ ყოფილხართ, ყოჩაღ თქვენს გამძლეობასო. ბიჭები ამბობდნენ, ფიზიკურ დატვირთვაზე მეტად მეთაურობის ბრძანებების მოთმენა გვიჭირსო, — იხოხე, ადექი, დაწექი, ირბინე, იარე...

იქ ყოფნისას ერთი ახლობლის ნათქვამი მახსენდებოდა, მთავარია, კარანტინს გაუძლოო, მაგრამ მე უკან დახევას არ ვაპირებდი. კარანტინში დავრწმუნდი, რომ თუ მიზანდასახული ხარ, მიზანს მიაღწევ. შემდეგ თავდაცვის ოფიცრის ერთწლიანი საკარიერო კურსები გავიარე და ლეიტენანტის წოდებაც მივიღე, სულ რაღაც ორ თვეში კი ომიც დაიწყო.

**— რამდენადაც ვხვდები, იარაღს მარჯვედ ხმარობთ.**

— იარაღი ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ ყველაზე დიდი გამოცდილება კარანტინის დროს მივიღე. თვალს მოვხუჭავდით თუ არა, სერჟანტი ცდილობდა, იარაღი წაერთმია, ან რაღაცას „გაგიჩალიჩებდნენ", ამოწმებდნენ, რამდენად ფხიზლად ვიყავით. უყურადღებოები ისჯებოდნენ, აზიდვები უნდა გაეკეთებინათ და ა.შ.

**— ლელა, ხშირად ამბობენ ქალს უკეთ შეუძლია სროლაო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— უკეთ ის ისვრის, ვინც უკეთ არის მომზადებული. მითი, რომ ქალს სროლის დროს ხელი არ აუკანკალდება და ა.შ., ზღაპარია. ბევრ სნაიპერს ვიცნობ, მათ შორის ქალებსაც, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მამაკაცებზე ძლიერი არიან. სროლას ნიჭიც უნდა, თვალიც და შინაგანი განწყობაც.

**— სამშობლოს რომ დასჭირდეს, ისევ იბრძოლებთ?**

— ერთი წამითაც არ დავფიქრდები. მე ყოველთვის მზად ვარ. ახლაც რომ დამირეკონ, საქმეს სჭირდებიო, 15 წუთში მზად ვიქნები. ეს ჩემი პროფესიაა, მე ბრძოლა მასწავლეს და თუ არ გამოვიყენე, რად მინდა.. ერთადერთი იმაზე ვწუხვარ, რომ შვილისთვის, 5 წლის ლუკასთვის ძალიან ცოტა დრო მრჩება.

ოთარ ფულარიანი, ლელა მჭედლიშვილის მეუღლე: — ყველაზე მეტად მაშინ გამიჭირდა, როცა ლელა საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო... მეც მინდოდა წასვლა, მაგრამ ჩემს საქმეს აქ ვჭირდებოდი. ისე კი, ლელას რომ სამხედრო საქმეში არ გაუჭირდებოდა, ამაში კარანტინის გავლის შემდეგ დავრწმუნდი. ის ურთულესი პერიოდი ერთად გამოვიარეთ. სხვადასხვა ოცეულში ვიყავით, მაგრამ საღამოს რამდენიმე წუთით ერთმანეთის ნახვის დრო გვქონდა და ეს ორივეს გვამხნევებდა. ვფიქრობდი, თუ ლელამ გაუძლო, მე როგორ უნდა გამიჭირდეს-მეთქი. თურმე ისიც ასე ფიქრობდა, თუ ოთომ აიტანა, მეც უნდა გავუძლოო.

**— თქვენ სად იყავით ომის დროს?**

— მე სხვა საქმის გაკეთება მიწევდა, ვერ დავაკონკრეტებ რას ვაკეთებდი...

ჩვენს საქმეში უპირატესობას სამხედრო პირის სქესი კი არა, გამოცდილება და მომზადების დონე განაპირობებს. თუ მოინდომებს და მოტივაციაც ექნება, ქალსაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია.

*ლალი პაპასკირი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა გადარჩენისთვის

## საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობა დღეს



**რუსეთ-საქართველოს ომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს უახლეს ისტორიაში. მისი შედეგი ძალზე დიდ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს განვითარებაზე. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ეს ომი წარმოადგენს ქართველი საზოგადოების განსჯისა და დავის მთავარ საგანს. რატომ დაიწყო ომი და შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება? რა მდგომარეობაშია საქართველო დღეს? როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ შექმნილ ვითარებაში? წინამდებარე სტატია ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობას წარმოადგენს.**

### რატომ დაიწყო ომი

ომის დაწყება ჯერ კიდევ მაისიდან იყო მოსალოდნელი. პრეზიდენტ პუტინის 16 აპრილის ბრძანებულებამ, რომლის თანახმად რუსეთის სახელმწიფო უწყებებს დაევალათ სეპარატისტებთან ოფიციალური კავშირის დამყარება, ცხადყო, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობა პრინციპულად შეიცვალა და არასოდეს დაბრუნდება. რუსეთმა გააკეთა არჩევანი — ქართული რეგიონების ანექსია და საჭირო იყო მისი პრაქტიკული რეალიზება. ეს კი შეუძლებელი იყო 2008 წლის აგვისტომდე არსებულ ვითარებაში. ცხინვალი 75%-ით ქართული გამაგრებული პოზიციების ალყაში იყო, ხოლო აფხაზეთზე რუსეთის კონტროლი ვერასოდეს იქნებოდა სტაბილური, სანამ ზემო აფხაზეთს საქართველო აკონტროლებდა. ყოველივე ამის გამო ქართული რეგიონების ანექსიისთვის რუსეთს აუცილებლად სჭირდებოდა საქართველოს სამხედრო მარცხი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავება ზემო აფხაზეთსა და ლიახვის ხეობაში.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუკი რუსეთი აპირებდა სამხედრო ოპერაციის ჩატარებას საქართველოში, ეს აუცილებლად 2008 წელს უნდა მომხდარიყო. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: MAP -ი და აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები. MAP -ის მიღება მოსალოდნელი იყო დეკემბერში თუ არა, 2009 წლის აპრილში მაინც. ამის შემდეგ სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ ბევრად უფრო დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში გადამწყვეტი იყო ის გარემოება, რომ აშშ-ის ყველა ადმინისტრაცია ძალზე სუსტია მმართველობის ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე. ახალარჩეული აშშ-ის პრეზიდენტისთვის კი მიუღებელი იქნებოდა მმართველობის დაწყება საქართველოს — აშშ-ის ერთ-ერთი მოკავშირე სახელმწიფოს რუსეთისგან განადგურება.

ამ ფაქტორების გამო საქართველოზე შეტევა რუსეთისთვის ძალზე რთული იქნებოდა უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, 2009 წელს. რუსეთს საქართველოსთვის უნდა დაერტყა ან 2008 წელს, ან არასოდეს. რუსეთმაც დაგვარტყა. საბაბად გამოიყენა სეპარატისტები, რომლებიც სწორედ ამ მიზნებისთვის იყვნენ გამოგონილი და დაარსებული თითქმის საუკუნის წინ.

თვით აფხაზეთისა და შიდა ქართლის ნაწილის ანექსია არ არის გამოწვეული მხოლოდ რუსეთის ტერიტორიული გაფართოების სურვილით. ანექსია არის ბერკეტი საქართველოში ქმედუნარიანი სახელმწიფოს ლიკვიდაციისთვის. ეს კი, თავის მხრივ, სჭირდება რუსეთს სამი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი — კასპიის ზღვის რეგიონსა და დასავლეთს შორის ენერგორესურსების მიწოდების გზების გადაკეტვა. ამის მიღწევის შემთხვევაში ცენტრალური აზიის ქვეყნები და აზერბაიჯანი მთლიანად რუსეთის ხელში აღმოჩნდებოდნენ; მეორე — რუსეთის ყოფილი კოლონიების გაფრთხილება, რომ დასრულდა რუსეთისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების პერიოდი; მესამე — მთელი მსოფლიოსათვის იმის დემონსტრირება, რომ რუსეთი კვლავ ის სახიფათო და სასტიკი ძალაა, როგორიც იყო მე-18 საუკუნიდან.

### საქართველოს გეოპოლიტიკური გული

დღეს, როდესაც საქართველოს ორი კუთხე ოკუპირებულია, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რას მოუტანს საქართველოს მათი დაკარგვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის დაკარგვა საქართველოსთვის ძალზე მძიმე მოვლენაა: ასიათასობით დევნილი; დაკარგული ულამაზესი კუთხე და მისი უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი; საფრთხე იმისა, რომ რუსეთი აფხაზეთს გამოიყენებს როგორც პლაცდარმს საქართველოს სხვა კუთხეებში სეპარატიზმის გასაღვივებლად. ამასთან, კიდევ უფრო მძიმე შედეგს საქართველოს მოუტანს რუსეთის კონტროლი შიდა ქართლის ნაწილზე.

შიდა ქართლზე გადის, ერთი მხრივ, საქართველოს დასავლეთის და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი გზები, მეორე მხრივ კი ის გზები და მილსადენები, რომელთა მეშვეობით საქართველო ასრულებს ევროპა-აზიის ხიდის როლს. უსაფრთხო და სტაბილური შიდა ქართლის გარეშე საქართველო ვერ იქნება სატრანზიტო ქვეყანა და დაკარგავს თავის ძირითად ეკონომიკურ ფუნქციას თანამედროვე მსოფლიოში.

დღეს რუსული ჯარი აღარ დგას გორში და შიდა ქართლის სამხრეთ ნაწილს საქართველო აკონტროლებს. მიუხედავად ამისა, რუსეთი ირიბად აკონტროლებს დასავლეთ-აღმოსავლეთის სატრანსპორტო კომუნიკაციებს, რადგან ცხინვალში, ლიახვის ხეობაში, ზნაურსა და ახალგორში რუსულ ჯარს ნებისმიერ მომენტში შეუძლია ამ კომუნიკაციების გადაჭრა.

რუსეთმა განაცხადა, რომ შიდა ქართლში 3800 ჯარისკაცს დატოვებს, მაგრამ არაფერი უშლის ხელს იქ უფრო დიდი ძალებიც ჰყავდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსებისგან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრში მდებარე ტრასა და რკინიგზა, რომელიც საქართველოს ორ ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებს, გადაიკეტება მაშინვე, როცა კი რუსეთი მოისურვებს ახალი „ქართული პროვოკაციის“ გამოგონებასა და ახალ აგრესიას საქართველოში. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე შიდა ქართლში მდებარე რუსული ჯარების სიახლოვე თბილისთან. ახალი აგრესიის შემთხვევაში რუსეთს შეეძლება სწრაფი იერიშის მიტანა საქართველოს დედაქალაქზე და ქართული ჯარის იძულება მთელი ყურადღება ამ მიმართულებას დაუთმოს.

რუსეთის კონტროლი შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილზე გაართულებს ასევე საქართველოს მდგომარეობას უსაფრთხოების თვალსაზრისით. როდესაც მტერს აქვს ასეთი პლაცდარმი ქვეყნის შუაგულში, მას შეუძლია იგი გამოიყენოს სხვადასხვა სახის დაზვერვითი, დივერსიული და ტერორისტული საქმიანობისთვის.

რასაკვირველია, რუსული საფრთხე შიდა ქართლში მდებარე კომუნიკაციებისთვის, იქნება ეს ტრასა, რკინიგზა თუ მილსადენი, საკმაოდ მძიმედ აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც.

გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლი წარმოადგენს საქართველოს გეოპოლიტიკურ გულს. ასე იყო მე-14 საუკუნეში და ასეა 21-ე საუკუნეშიც. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია და რელიეფი არ შეცვლილა, ხოლო შიდა ქართლის უნიკალურ მნიშვნელობას სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს. ამ გულის გარეშე საქართველოს არსებობის უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება რთული აღმოჩნდეს.

## საქართველოს არჩევანი

ჩამოთვლილი ფაქტორების გამო მცდარია მოსაზრება, თითქოს საქართველოს ადვილად შეუძლია არსებობის გაგრძელება დაკარგული ტერიტორიების გარეშე. თუკი საქართველო ვერ აღადგენს კონტროლს აფხაზეთზე და, მით უმეტეს, შიდა ქართლზე, მისი დეზინტეგრაცია გაგრძელდება. ამ პროცესის საბოლოო შედეგი საქართველოს მოსახლეობისთვის უმძიმესი იქნება. სწორედ ამიტომ საქართველო ვალდებულია, აღადგინოს კონტროლი მთელ თავის ტერიტორიაზე. ამის გარეშე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელია.

ამ დასკვნამდე მისვლისთანავე ჩნდება კითხვა: როგორ შეუძლია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა? ლოგიკის მიხედვით, სამი გზა შეიძლება არსებობდეს. პირველი — მშვიდობიანი მოლაპარაკებები; მეორე — მეგობარი სახელმწიფოს დახმარება; მესამე — საქართველოს ქმედებების შედეგად.

პირველი გზა ვერ ჩაითვლება რეალისტურად, რადგან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ეწინააღმდეგება ჩვენი ოპონენტების ყველაზე პრინციპულ ინტერესებს. რუსეთს სჭირდება კონტროლი ევროპა-აზიის დამაკავშირებელ გზაზე, რისი მიღწევაც რთულია შიდა ქართლზე კონტროლის გარეშე. სეპარატისტულ რეჟიმებს კრემლი სრულიად აკონტროლებს. ასე რომც არ ყოფილიყო, ორივე რეჟიმს ხელები აქვს გასვრილი ქართველთა ეთნიკურ წმენდაში. ცხადია, რუსებმა ეს განგებ დაუშვეს იმისთვის, რომ სეპარატისტებს არასოდეს გასჩენოდათ საქართველოსთან საქმის დაჭერის სურვილი.

მეორე გზაც არარეალისტურია. ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაიაზროს, რომ არც ერთი სხვა სახელმწიფო, თუნდაც ყველაზე მეგობრული, არ გაგზავნის საომრად თავის შეიარაღებულ ძალებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად. უდიდესი მხარდაჭერის მიუხედავად, აშშ-ს ისრაელში არასოდეს გაუგზავნია ჯარი დასახმარებლად — მაშინაც კი, როდესაც ისრაელის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ისრაელი იღებდა ფინანსურ დახმარებას, თუმცა ბრძოლა მხოლოდ მის ჯარისკაცებს უწევდათ, მოკავშირეთა მონაწილეობის გარეშე. ასე რომ, ფუჭია საქართველოს მოქალაქეთა მოლოდინი იმისა, რომ აშშ ან რომელიმე სხვა სახელმწიფო პირდაპირ ჩაერევა შეიარაღებულ კონფლიქტში საქართველოს მხარეს.

ასე რომ, მესამეა ერთადერთი ქმედითი გზა, რომლითაც საქართველოს შეუძლია უზრუნველყოს თავისი ეროვნული უსაფრთხოება ხანგრძლივი პერიოდით. ამავე დროს, ცხადია, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში საქართველო რუსეთს ვერ დაუპირისპირდება. მეტიც, თუკი საქართველო ახალი აგრესიის საბაბს მისცემს, რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, რათა საქართველოს კიდევ უფრო მეტი ზარალი მიაყენოს.

ასეთ პირობებში საქართველოს სტრატეგია შემდეგი მიმართულებებით უნდა განვითარდეს.

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი — სამხედრო პოტენციალის გაძლიერება და ისეთი მდგომარეობის მიღწევა, როდესაც თბილისის აღება და მთლიანად საქართველოს ოკუპაცია კრემლისთვის უკიდურესად რთულ ამოცანად იქცევა.

მეორე — კონტრდაზვერვითი აქტიურობის მეშვეობით რუსეთის ისეთი ქმედებების აღკვეთა, როგორიც არის სეპარატიზმის გაღვივება რუსეთის ოკუპაციისგან თავისუფალ რეგიონებში, დივერსიები სტრატეგიულ ობიექტებზე ან შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის პროვოცირება.

მესამე — მოვერიდოთ სამხედრო მოქმედებათა განახლებას, თუკი ამის საშუალება მოგვეცემა. არ არის გამორიცხული, რუსეთმა კიდევ სცადოს საქართველოს პროვოკაციაზე წამოგება ახალი აგრესიის გასამართლებლად.

მეოთხე — შევინარჩუნოთ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა. შიდა კრიზისი, ქვეყანაში მყოფი რუსული საოკუპაციო ჯარების ფონზე, საქართველოსთვის მომაკვდინებელი იქნება.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი წარმოადგენს აუცილებელ პირობას ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებისთვის.

ცხადია, ეს არ არის საკმარისი. საქართველოს ოკუპირებული ნაწილი ვერ გათავისუფლდება მანამ, სანამ რუსეთს შეუძლია საქართველოს წინააღმდეგ თავისი სამხედრო პოტენციალის გამოყენება. ამდენს ჩვენ ვერ შევძლებთ. ამიტომ ერთადერთი გამოსავალია იმ დროის ლოდინი, როდესაც რუსეთი ვეღარ გამოიყენებს თავისი სამხედრო ძალების დიდ ნაწილს. ამ დროის დადგომა კი ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე ეს დღეს შეიძლება მოგვეჩვენოს.

რუსეთი არ აპირებს საქართველოზე შეჩერებას. უკვე მზადდება ნიადაგი უკრაინასთან სამხედრო დასაპირისპირებლად. მეტიც, ესტონეთსა და ლატვიაში, ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში, შეინიშნება რუსეთის მუშაობა ადგილობრივ რუს მოსახლეობასთან. რუსეთის მოქმედება ევროპაში, ცენტრალურ აზიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და არქტიკის რეგიონში ცხადყოფს, რომ რუსეთმა დაიწყო ძალზე აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარება. ამავე დროს რუსეთს აქვს ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა პრობლემები. მისი ეკონომიკა და ბიუჯეტის შესრულება-ჩავარდნის საკითხი დამოკიდებულია ნავთობის ფასზე. ეს არის უაღრესად არამყარი საყრდენი ისეთი ამბიციური და აგრესიული პოლიტიკური კურსის გატარებისთვის, რომელიც რუსეთმა აირჩია. ამ პირობებში რუსეთმა შეიძლება კისერიც წაიტეხოს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რუსეთის კონტროლი ჩრდილო კავკასიაზე ემყარება როგორც იქ მყოფ სამხედრო ძალებს, ისევე იმ უზარმაზარ თანხებს, რომლებიც იხარჯება ადგილობრივი ბელადების მოსასყიდად. ამ ყველაფერს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ავტორიტარულ რეჟიმებს, ტრადიციულად, ახასიათებს პოლიტიკური არასტაბილურობა. ამ ტიპის რეჟიმის პირობებში ეკონომიკური კრიზისი და საგარეო სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურები გამოიწვევენ შიდაპოლიტიკურ კრიზისს, რაც წაართმევს კრემლს კავკასიაზე კონტროლის შენარჩუნების საშუალებას. რუსეთი ნამდვილად არის გიგანტი, მაგრამ ფეხები თიხის აქვს. მან მეტად სარისკო თამაში წამოიწყო. თუკი არ გაუმართლებს, რაც სრულიად შესაძლებელია, საქართველო მიიღებს ოკუპაციისგან გათავისუფლების შანსს. მაშინ კი იგი უკვე ვალდებულიც იქნება, შანსი გამოიყენოს, რომ ჰქონდეს წარმატებული განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

აღწერილი ხელსაყრელი ვითარება ვერ დადგება დღეს ან ხვალ, მანამდე დიდი დროა. ქართულმა სახელმწიფომ ეს დრო უნდა გამოიყენოს, რომ საფუძვლიანად მოემზადოს მომავალი სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეების დასაძლევად. ამავე დროს უნდა შეინარჩუნოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა. რუსეთი ამ პერიოდში ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რომ საქართველოში ეს სტაბილურობა დაარღვიოს.

საქართველო დგას ძალზე რთული გამოცდის წინ. მის ჩაბარებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და მისი ხალხის უსაფრთხოება.

*დავით ბათაშვილი*
*პოლიტოლოგი*


# მხარდაჭერა ქართულ წარმოებას!!!

„კვირის პალიტრის“ მედია სახლი ისევ თქვენს გვერდითაა

და საქართველოში შექმნილი რთული პირობების გამო

გთავაზობთ უპრეცედენტო ფასდაკლებას ქართული პროდუქციის რეკლამის განთავსებაზე



რადიო „პალიტრაში“ FM 103.9

და დღეისთვის ყველაზე წარმატებულ ჟურნალებში

„გზა“ და „არსენალი“

რეკლამის ღირებულება მინუს ფასდაკლება საბაზო ტარიფებიდან და -50%

იოსებიძის 49
37-78-07; 38-78-70

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარეზერვო გაწვევა შეწყვეტილია

## კანონი სახეს შეიცვლის



საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის მოვალეობაა. უკვე ხუთი წელია, სამხედრო კომისარიატების ერთი ნაწილი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან სამოქალაქო რგოლში გადავიდა და რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაექვემდებარა. მართალია, კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 2007 წლის 21 ივლისის შემდეგ ცვლილება აღარ შესულა, მაგრამ ცვლილებები მოსალოდნელი და აუცილებელიცაა, განსაკუთრებით კანონში „სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ“. გაწვევა ახლა ყველაზე აქტიურ ფაზაშია, თუმცა ეს მხოლოდ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს ეხება. თავდაცვის უწყებას საშემოდგომო გაწვევებზე გამწვევი კომისიისათვის კვოტები არ წარუდგენია. რა მოსალოდნელ ცვლილებებზეა ლაპარაკი, რამდენი ახალწვეული გვყავს საშემოდგომო გაწვევით, რა შემთხვევაში თავისუფლდებიან ისინი სავალდებულო-სამხედრო სამსახურიდან, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრა მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების სამსახურის უფროსი **გოჩა ხარშილაძე**:

**— ბატონო გოჩა, ქვეყანაში შექმნილი რთული სამხედრო და პოლიტიკური ვითარების გამო, ხომ არ მომხდარა ცვლილებები კანონში სავალდებულო-სამხედრო სამსახურის შესახებ?**

— ჯერჯერობით, არა. გეგმაზომიერად მივყვებით კანონს, რომელიც 2003 წლიდან არის გაწერილი. ჯერ არ არის ცნობილი, რა ცვლილებებია მოსალოდნელი. საქართველოს კანონი „სავალდებულო-სამხედრო სამსახურის შესახებ“ ჩვეულებრივ საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევებს ითვალისწინებს. ამ კანონის საფუძველზე, 2008 წლის 21 ივლისის პრეზიდენტის №379 ბრძანებულებით, განისაზღვრა საშემოდგომო გაწვევის ვადები და გასაწვევი კონტინგენტის რაოდენობა. გაწვევა უნდა დასრულდეს 30 დეკემბრამდე. სულ გასაწვევია 2400 წვევამდელი. აქედან იუსტიციის სამინისტროს კვოტაა 1200 კაცი, იგივე კვოტა აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსაც.

**— რას იტყვით სარეზერვო გაწვევებზე?**

— მართლია, თავდაცვის სამინისტროს რეზერვში გაწვევებზე მოთხოვნა არ წარმოუდგენია, მაგრამ კანონში „სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ“ ცვლილებები, ჯერჯერობით, არ არის. ფაქტია, რომ ამ ფორმით ეს კანონი არ დარჩება. ცვლილებები აგვისტოს მოვლენებამდეც იგეგმებოდა, ოღონდ, ვისაც უკვე გავლილი აქვს სარეზერვო სამსახური სამჯერ, მასზე გაცემულია სრულფასოვანი სამხედრო ბილეთი.

**— მხოლოდ სარეზერვო გაწვევებია შეწყვეტილი თუ მთლიანად შეჩერებულია თავდაცვაში გაწვევა?**

— თავდაცვის სამინისტროს ბოლო მოთხოვნა გაზაფხულის გაწვევაზე მოვიდა. მოთხოვნა 1400 წვევამდელზე სრულად დავაკმაყოფილეთ. შემოდგომისთვის განაცხადი არ გაუკეთებიათ. როგორც თავდაცვის სამინისტრომ განგვიმარტა, ამ ეტაპზე მას წვევამდელები არ ესაჭიროება.

საგაზაფხულო გაწვევისათვის, თებერვალში, ჩვენ წერილობით მივმართავთ სამინისტროს და გავიგებთ, ექნება თუ არა მოთხოვნა.

ლაპარაკია იმაზეც, რომ 2009 წლ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იდან თავდაცვის სამინისტრო მთლიანად საკონტრაქტო სამსახურზე გადავა.

**— საომარი მოქმედებების გამო, ალბათ, შეფერხდებოდა გაწვევის პროცესი?**

— რა თქმა უნდა, შეფერხდა, მაგრამ გეგმა არ ჩაგვშლია. გეგმის მიხედვით, ერთთვიანი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, დაახლოებით აგვისტოს ბოლოდან უნდა დაგვეწყო გაწვევა. აგვისტოს მოვლენების გამო შევჩერდით, მაგრამ საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ განვაახლეთ მუშაობა. სექტემბრის დასაწყისში დავიწყეთ გაწვევა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წამოყენებული რაოდენობა წვევამდელებისა უკვე დაკომპლექტებულია.

მიმდინარეობს გაწვევა იუსტიციის უწყებისათვის. იუსტიციის სამინისტროსათვის გაწვეულია წვევამდელთა დაახლოებით 25%. გასაწვევია კიდევ 850-მდე კაცი.

**— ალბათ, ყველა წვევამდელს აინტერესებს, რა შემთხვევაში თავისუფლდება პირი სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან?**

— „სავალდებულო სამსახურის შესახებ" კანონის მიხედვით პირი სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდება შემდეგ შემთხვევებში: 1. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობის შემთხვევაში; 2. პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა; 3. პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევი; 4. პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს; 5. ასპირანტი; 6. პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას; 7. ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ან სამხედრო სამსახურის გავლისას.

ასევე, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გაათავისუფლოს სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელი.

**— რა შემთხვევაში გადაუვადდება წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა?**

— ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; თუ არის სტუდენტი; თუ გადაიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოსაკრებელი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითაა დადგენილი; პატრონობს შრომისუუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრს ან წევრებს; ჰყავს ორი ან ორზე მეტი შვილი; არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში; არის დედისერთა; მუშაობს სოფელში მასწავლებლად ან ექიმად; ჰყავს სამ წლამდე შვილი; ასევე, თუ მონაწილეობს საპარლამენტო არჩევნებში, მას სავალდებულო სამსახური გადაუვადდება არჩევნების დასრულებამდე, გამარჯვების შემთხვევაში თავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან.

**— ასაკობრივი ცენზი თუ არის დაწესებული?**

— გაიწვევა 18-დან 27 წლამდე ასაკის საქართველოს ყველა მოქალაქე, რომლებიც იმყოფებიან ან ვალდებული არიან იმყოფებოდნენ სამხედრო აღრიცხვაზე და არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გადავადების უფლება.

**— როგორც ამბობენ, სავალდებულო-სამხედრო სამსახურის ვადა ორ წლამდე იზრდება?**

— ჯერჯერობით კანონი ითვალისწინებს 12-თვიან ვადას და ამ მხრივ ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

**— რის მიხედვით ანაწილებთ წვევამდელებს სხვადასხვა უწყებაში, ითვალისწინებთ მათ სურვილს?**

— სურვილის მიხედვით პირმა შეიძლება საკონტრაქტო სამსახური დაიწყოს, რაც შეეხება სავალდებულო სამსახურს, ყოველთვის ვერ ვითვალისწინებთ მათ სურვილს. წვევამდელი იგზავნება იმ სახეობის ჯარში, რომლიდანაც იმ ეტაპზეა მოთხოვნა მოსული.

**— წაგებული ომის გამო ჯარის პრესტიჟი ხომ არ შეილახა, ხომ არ გახშირდა თავის არიდება სავალდებულო სამსახურისაგან?**

— პირიქით, მით უმეტეს, თუ გამოცხადების მიხედვით ვიმსჯელებთ, თავის არიდების მცდელობა არ ყოფილა. არის ფაქტები, როდესაც გამწვევ კომისიაზე პირველი უწყებით არ გამოცხადდება წვევამდელი, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. მეორე გამოძახებაზე თითქმის ყველა ადგილზეა. გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით, ითვლება სამხედრო ვალდებულებისგან თავის არიდებად და ისჯება კანონმდებლობით. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ გამოცხადების იდეალური მაჩვენებელი გვაქვს. გაწვევა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დადგენილ ვადაში ხდება. ამის შემდეგ წვევამდელი გაივლის შემოწმებას ადგილობრივ გამწვევ კომისიაში, დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში პირი იგზავნება საქართველოს შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში, სადაც ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისია, რომელიც ადგენს წვევამდელის ვარგისიანობის ხარისხს, მხოლოდ ამის შემდეგ ვანაწილებთ მას იმ სამხედრო ძალებში, სადაც უნდა გაიაროს სავალდებულო სამსახური.

**— რა რეჟიმში უწევთ ახალწვეულებს სამსახური?**

— არის ყაზარმული რეჟიმიც და არის მორიგეობითიც. სამ დღეში ერთხელ უწევთ მორიგეობა სავალდებულო სამსახურში მყოფ პირებს. წვევამდელების გადანაწილება, ძირითადად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხდება.

**— ანაზღაურებასთან დაკავშირებით ცვლილებები ხომ არ არის?**

— იუსტიციის სამინისტრო თითოეულ წვევამდელს დაახლოებით 70 ლარს აძლევს კვებისა და სამგზავრო ხარჯებისათვის იმ შემთხვევაში, როცა სამ დღეში ერთხელ მორიგეობენ. ანაზღაურება კი ყველა უწყებაში ყოველთვიურად ძველებურად 15 ლარია.

**— ძირითადად, რა პრობლემებს აწყდებით მუშაობისას და რა ცვლილებები იგეგმება?**

— კარგი იქნება საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. ვიცი, რომ ცვლილებები მოსალოდნელია, მაგრამ ამჯერად ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

მთავარი სასურველი ცვლილება, რომელზეც განაცხადს უახლოეს მომავალში გავაკეთებთ, სამედიცინო კომისიების ადგილზე ჩამოყალიბებაა. 2004 წელს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც ადგილებზე სამედიცინო კომისიები გაუქმდა. კანონი „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" შეუთავსებელი აღმოჩნდა კომისიის საქმიანობასთან. კარგი იქნება, თუ ძველ სქემას დავუბრუნდებით. რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში.

*ნინო მამუკაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომელი ქვეყნის სპეცსამსახური იქექება კომპრომატების საკივრში



ოქტომბრის მეორე ნახევარში, როდესაც მთელი ევროპა, და შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოც, რუსეთისგან „სარკოზი-მედვედევის" შეთანხმების შესრულებას ელოდა, საფრანგეთის პრესაში პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მაკომპრომეტირებელი სტატია დაიბეჭდა. ეს მასალა უმალ აიტაცა რუსეთის „თავისუფალმა" მასმედიამ და დამნაშავეც სწრაფადვე იპოვა.

ჯერ ისიც კი არ არის გარკვეული, კომპრომატები სიმართლეა თუ არა და როგორ მოხვდა კონფიდენციალური ინფორმაცია პრესაში, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვასთან დაახლოებულმა „მოსკოუ პოსტმა" სარკოზის კომპრომეტაციაში აშშ-ის ადმინისტრაცია და სპეცსამსახურები, კერძოდ კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო დაადანაშაულა. პუტინ-მედვედევის ხელისუფლების გათვლა რთული არ არის, მათ უნდათ რუსეთ-საქართველოს ომის პრობლემების მიჩუმათება და სარკოზის წინააღმდეგ სენსაციური მასალების გამოქვეყნებით საფრანგეთის პრეზიდენტის „განეიტრალება" და საფრანგეთ-აშშ-ის ურთიერთობის გაფუჭება.

### რუსეთის სპეცსამსახურების სანუკვარი ოცნება

საბჭოთა სპეცსამსახურების ერთ-ერთი ამოცანა ის იყო, რომ დასავლეთის ქვეყნები ერთმანეთზე წაეკიდებინა, მათ შორის განხეთქილება ჩამოეგდო.

დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის დაპირისპირება კვლავ დარჩა რუსეთის ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების პრიორიტეტულად. ეს ყველაზე კარგად საფრანგეთში გამოსდიოდათ, სადაც უამრავი აგენტი ჰყავდათ საზოგადოების ყველა ფენაში. მათი დახმარებით საბჭოთა დაზვერვამ შეძლო 60-იანი წლების მეორე ნახევარში პრეზიდენტ შარლ დე გოლსა და აშშ-ის პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს შორის განხეთქილების ჩამოგდება, რასაც შედეგად საფრანგეთის ნატოს სამხედრო პროგრამებიდან გასვლა მოჰყვა.



### გენერალ დე გოლის საბედისწერო შეცდომა

საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როცა ერთდროულად დაუპირისპირდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანას (ისრაელს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს). ისრაელისა და არაბების მრავალწლიან დაპირისპირებაში გენერალი აშკარად უჭერდა მხარს არაბებს. მას ისრაელის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაც კი არასწორად მიაჩნდა. 50-იანი წლების ბოლოს, საფრანგეთის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ცალმხრივად შეწყვიტა ისრაელთან დადებული ყველა სამხედრო ხელშეკრულება, ხოლო 1967 წელს გაეროს სხდომაზე ისრაელ-ეგვიპტის ომში ისრაელი გამოაცხადა აგრესორად, რითაც საბჭოთა კავშირის მოწონება დაიმსახურა. ბუნებრივია, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პატივმოყვარე სპეცსამსახური — ისრაელის „მოსადი" დე გოლის ანტიისრაელურ განწყობილებას დიდხანს ვერ მოითმენდა. მას ამ საქმეში მოკავშირეც გამოუჩნდა.

აშშ-ის ადმინისტრაცია დე გოლის მრავალწლიანი ანტიამერიკული პოლიტიკით დიდად უკმაყოფილო იყო. საფრანგეთის პრეზიდენტი საჯაროდ გმობდა ამერიკის პოლიტიკას ვიეტნამში, დოლარის პრივილეგირებულ მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობას და მოითხოვდა კანადის ფრანგულენოვანი პროვინციის — კვებეკის დამოუკიდებლობას, 1965 წელს კი საფრანგეთი საერთოდ გაიყვანა ნატოდან და საბჭოთა კავშირთან „მეგობრობისა და თანამშრომლობის" ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

დე გოლის საგარეო პოლიტიკით დიდი ბრიტანეთიც შეშფოთებული იყო, რადგან მან რამდენჯერმე დაბლოკა ამ ქვეყნის ევროსტრუქტურებში გაწევრება.

საერთაშორისო ასპარეზზე აშკარა დაპირისპირებას ემატებოდა საფრანგეთის შიდა ეკონომიკური და სოციალური პრობლემები (ინფლაციის სწრაფი ტემპი, უმუშევრობის ზრდა, მოძველებული განათლების სისტემა და ა.შ.). ყველაფერ ამას კი აგვირგვინებდა საფრანგეთის მოხუცი პრეზიდენტის მართვის ავტორიტარული სტილი, რაც უკვე მის თავდადებულ მომხრეებსაც კი აშფოთებდათ.

ყოველივე ამის გამო ამერიკის, ბრიტანეთისა და ისრაელის დაზვერვები (ცსს, MI-6 და „მოსადი") შესაფერის მომენტს უცდიდნენ საფრანგეთის პრეზიდენტის პოზიციის შესარყევად. დე გოლისთვის საბედისწერო საგარეო და საშინაო პოლიტიკის შეცდომების პიკი 1968 წლის მაისში დადგა. სტუდენტური გამოსვლები გახდა ის დეტონატორი, რომელმაც საბოლოოდ დე გოლის პოლიტიკური კარიერა შეიწირა. პარიზის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტზე (საინტერესო კანონზომიერებაა, რომ სტუდენტთა გამოსვლები ყველა ქვეყანაში ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე იწყება!) დაწყებულმა გამოსვლებმა სულ მალე სორბონის უნივერსიტეტში გადაინაცვლა და რამდენიმე დღეში საფრანგეთის სტუდენტთა ნახევარმილიონიან დემონსტრაციად გადაიქცა. სოციალური და განათლების სისტემის რეფორმირების მოთხოვნა სულ მალე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების „უხილავი ხელით" პოლიტიკურ — დე გოლის გადადგომის მოთხოვნაში გადაიზარდა. პრეზიდენტი ცინიკურად ეკიდებოდა სტუდენტთა მოთხოვნებს, ალბათ, გამოცდების ჩაბარება შეეშინდათ ან სტუდენტური სასადილო არ მოეწონათო.


შარლ დე გოლი

თავდაპირველად, სტუდენტთა ქაოსური გამოსვლები და მოთხოვნები ანარქისტული, ტროცკისტული და მაოისტური იდეებით იყო შეზავებული.

1968 წლის 10 მაისს პარიზში სტუდენტებმა ასამდე ბარიკადი აღმართეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი იარაღი ქვები და „მოლოტოვის კოქტეილი" იყო, სტუდენტთა მოქმედებაში აშკარად იგრძნობოდა სპეცსამსახურების გამოცდილი ინსტრუქტორების ხელი. მას შემდეგ, რაც პარიზის პოლიციამ სასტიკად დაარბია სტუდენტთა ბარიკადები, დემონსტრანტთა მოთხოვნები მხოლოდ პრეზიდენტ დე გოლის გადადგომას შეეხებოდა. ჯიუტი გენერალი კი 1972 წლამდე, ანუ პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე, უარს აცხადებდა გადადგომაზე. თუმცა ჯერ გაფიცვებმა, სტუდენტთა მრავალათასიანმა დემონსტრაციებმა და შემდეგ რეფერენდუმში დამარცხებამ, აიძულა 79 წლის პრეზიდენტი და 1969 წლის 27 აპრილს ის გადადგა.

ასე დასრულდა იმპულსური დე გოლის პოლიტიკური კარიერა, რაშიც მას რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახური „დაეხმარა".

## ვინ ეძებს კომპრომატს სარკოზიზე

მიმდინარე წლის ოქტომბერში ფრანგულ ჟურნალ „ლე პიონში" გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც (როგორც ირწმუნებიან) საფრანგეთის კონტრდაზვერვის ყოფილი შეფის, ივ ბერტრანის პირად ჩანაწერებს ეყრდნობა, სარკოზის სამი „ფრონტიდან" უტევენ:

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას სარკოზი სეიფში 150.000 ევროს ინახავდაო. ეს ბრალდება შეიძლება ქართველი მაღალჩინოსნებისთვის სასაცილოც კი იყოს, ევროპაში კი ამ რაოდენობის ნაღდი ფული, როგორც წესი, კორუფციასთან ასოცირდება;

2. მეორე კომპრომატი სარკოზის მექალთანეობას უკავშირდება. ამ ბრალდების თანახმად, „ენერგიული ნიკოლას" საყვარელი ყოფილა საფრანგეთის პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატის ლამაზი მეუღლე.

სხვათა შორის, სარკოზის „კაზანოვობა" დიდი ხანია პრობლემებს უქმნის. დიდი მექალთანე მაღალ და სიმპათიურ ქალბატონებს ირჩევს. ამჟამინდელი მეუღლე კარლა ბრუნი მისი მესამე ოფიციალური ცოლია;

3. ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში დაწვრილებით იყო მოთხრობილი სარკოზის პირად ცხოვრებაზე — მის ურთიერთობაზე პირველ და მეორე ცოლთან, მათთან გაყრის მძიმე პროცესზე და ა.შ.

„ნახევრად ებრაელი, ნახევრად ემიგრანტი" — ზურგს უკან ასე ამბობენ სარკოზიზე არაკეთილმოსურნენი.

„პატივმოყვარე, ენერგიული და მკაცრი" — ასე აფასებენ მას მომხრეები.

მაინც ვინ არის საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი?

საფრანგეთის ტანმორჩილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მართლაც რომ გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაა. თუნდაც ის რად ღირს, რომ „პირველი ფრანგის" ძარღვებში მხოლოდ მეოთხედი ფრანგული სისხლია.

ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე ისტორიულ ეტაპზე სარკოზი ძალზე მნიშვნელოვან ამპლუაში მოგვევლინა. აგვისტოს ომის დღეებში მისი საკმაოდ შედეგიანი დიპლომატიური ვოიაჟები მოსკოვსა და თბილისში, შედეგად კი ხელმოწერილი სამმხრივი შეთანხმებები, საფუძვლად უნდა დაედოს ამ საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას.

ფაქტია, რომ ნიკოლა სარკოზის პოლიტიკური მომავალი დიდად იქნება დამოკიდებული ამ ხელშეკრულების შესრულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკისათვის საკმაოდ ახალგაზრდა (სარკოზი 53 წლისაა, რაც პოლიტიკური კარიერისთვის „გაფურჩქვნის" ხანაა) ასაკში „სარკოს" საშინაო და საერთაშორისო ავტორიტეტი ძალზე შეილახება.

ქართველი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საფრანგეთის დღევანდელი პრეზიდენტის ბიოგრაფიის ცნობილი თუ ფარული დეტალების გაცნობა.

ქვეყნის ლიდერის პოლიტიკური და

ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი პიროვნული თვისებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ფარული მიდრეკილებები და ა.შ. ყველა სპეცსამსახურის შესწავლის ობიექტია. თუნდაც რუსეთის სპეცსამსახურები ავიღოთ — მათ აქვთ სპეციალური პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ანალიზის დანაყოფები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს) პოლიტიკური მოღვაწეების ზუსტ ფსიქოლოგიურ პორტრეტებს ქმნიან.

საინტერესოა, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო 80-იან წლებში პრეზიდენტ რონალდ რეიგანისთვის (რომელსაც კითხვა სასტიკად სძულდა) სპეციალურ ვიდეოპორტრეტებს ქმნიდა საზღვარგარეთის პოლიტიკურ ლიდერებზე. თვითმხილველთა გადმოცემით ვიდეოფილმ-პორტრეტებს (განსაკუთრებით კი ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფის) დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამერიკის პრეზიდენტზე.



ნიკოლა სარკოზი მეუღლესთან ერთად

ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს სპეცსამსახურებში სხვა ქვეყნების ლიდერების ფსიქოპოლიტიკური პორტრეტების შედგენაზე არ მუშაობენ, ასე რომ ყოფილიყო, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტისა და ახლა პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გადაწყვეტილება პროგნოზირებადი იქნებოდა.

ახლა კი ნიკოლა სარკოზის დავუბრუნდეთ.

ნიკოლა პოლ სტეფან სარკოზი დე ნად-ბოჩა 1955 წლის 28 იანვარს დაიბადა საფრანგეთის დედაქალაქში.

მამამისი — პალ ნად-ბოჩა შარკიოჟი ბუდაპეშტში, უნგრელი თავადის ოჯახში დაიბადა. 1944 წელს, ქვეყანაში საბჭოთა ჯარის შესვლის შემდეგ, ოჯახი საფრანგეთში დასახლდა. 1948 წელს მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა და ამიტომაც მისმა გვარმა უფრო ფრანგული ჟღერადობა — სარკოზი შეიძინა. 1949 წელს პალ სარკოზიმ ცოლად შეირთო ცნობილი პარიზელი ექიმის, ეროვნებით ებრაელი ბენედიქტ მალას და ფრანგი ადელ ბუვიეს ქალიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ანდრე. მათ სამი ვაჟი: გიომი (დაიბადა 1952 წ.), ნიკოლა (დაიბადა 1955 წ.) და ფრანსუა (დაიბადა 1957 წ.) შეეძინათ. 1959 წელს ნიკოლა სარკოზის მშობლები გაიყარნენ და ბავშვები აღსაზრდელად დედასთან დარჩნენ. ბავშვობაში თანაკლასელები ხშირად ჩაგრავდნენ ტანმორჩილ და სუსტ ნიკოლას, ამას მის ემიგრანტ-ებრაელობასაც უმატებდნენ მორასისტო პატარა ხულიგნები და სარკოზის ფსიქოლოგიური პორტრეტიც ასეთ მძიმე გარემოში ყალიბდებოდა.

საკმაოდ მძიმე ბავშვობამ, უმამობამ და არაფრანგულმა წარმოშობამ მომავალ პრეზიდენტში არასრულფასოვნების კომპლექსი წარმოშვა („გოლიათური აღნაგობის“ გარდა, ამ მიზეზის გამოც ის ძალზე წააგავს რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს), რასაც თვით სარკოზიც არ მალავს.

ნიკოლამ 1978 წელს დაასრულა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი და ადვოკატის პრაქტიკა დაიწყო. სტუდენტობაში ყვავილების მაღაზიაში მუშაობდა კურიერად და ასე შოულობდა სწავლის ფულს.

სუპერენერგიულმა სარკოზიმ ძალზე სწრაფად მიაღწია წარმატებას პოლიტიკურ არენაზე. 1976 წელს ჟაკ შირაკის მიერ დაარსებული „ახალგაზრდა გოლისტთა“ პარტიის წევრი გახდა.

1982 წელს 28 წლისა პარიზის გარეუბნის — ნეი-სიურ-სენის მერი ხდება. ამ პოსტზე მან 19 წელი(!) დაყო. ნიკოლა ახალგაზრდობიდანვე საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტის ჟაკ შირაკის გუნდის წევრი გახდა და მომავალში „ეშმაკი ჟაკის“ დახმარება და პროტექცია არ მოჰკლებია. თუმცა მათი ურთიერთობა მთლად უღრუბლო არ ყოფილა და თანდათან აშკარა დაპირისპირებაში გადაიზარდა. თუმცა ფაქტია, რომ 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჟაკ შირაკმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი სარკოზის კანდიდატურას.

გასული წლის 16 მაისიდან საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ნიკოლა სარკოზი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ყველაზე საინტერესო მისი საგარეო პოლიტიკური ორიენტირებაა. ტრადიციულად „გოლისტები“ მსოფლიოში მთავარ მოკავშირედ გერმანიასა და რუსეთს ხედავენ, ხოლო აშშ-სთან საკმაოდ ცივი და „დისტანციური“ პოლიტიკის მიმდევრები არიან. საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა თავიდანვე „უღალატა“ ამ სტერეოტიპებს და უფრო მოქნილი პოლიტიკური კურსი აირჩია, სადაც აშშ, დიდი ბრიტანეთი და ნატო მთავარი პარტნიორები უნდა გახდნენ. ეს კი დიდად არ ეხატება გულზე რუსეთს.

განსაკუთრებით გაიზარდა სარკოზის პოპულარობა მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში, როდესაც ის საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის მოქმედებებს და მოითხოვდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებების შესრულებას.

***(დასასრული შემდეგ ნომერში)***

ბესიკ ალადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და მისი სირთულეები

უკვე ერთი თვე შესრულდა, რაც საქართველოს ორივე კონფლიქტური რეგიონის მიმდებარე რაიონებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

15 სექტემბერს ევროკავშირის საბჭომ საქართველოში 1-ელი ოქტომბრიდან დამოუკიდებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიის ამოქმედების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც წინ უსწრებდა სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმება და 8 სექტემბრის ევროკავშირსა და რუსეთს შორის მიღწეული მეორე შეთანხმება.

რუსეთმა, ჯერჯერობით, შეთანხმებათა მხოლოდ ნაწილი შეასრულა. ოკუპირებული რჩება ახალგორის რაიონი, კოდორის ხეობა და საჩხერის რაიონთან მოსაზღვრე ზოგიერთი სოფელი. ის ადგილები, სადაც ცოტა ხნის წინ ე.წ. რუსეთის სამშვიდობო ძალების ბლოკპოსტები იყო, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის კონტროლქვეშ გადმოვიდა.

მისიის მოვალეობაში შედის: ვითარებაზე დაკვირვება-ანალიზი, 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების სრული მოცულობით შესრულებისა და ჯარების გაყვანის პროცესის გაკონტროლება, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარ-



დამკვირვებელთა ერთი ჯგუფი სოფელ ოძისისკენ დაიძრა


პატრულს დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად საკმაოდ დიდი დრო სჭირდება



დამკვირვებელთა ავტოპარკი სრულ მზადყოფნაშია პატრულირებაში მონაწილეობის მისარებად

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამკვირვებლები ქართულ ბლოკპოსტზე ჩერდებიან და პოლიციელებთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ რუსების ბლოკპოსტისკენ ფეხით მიუყვებიან გზას



ღვევათა გამოვლენა.

ვითარების ნორმალიზაციისათვის მისია აკვირდება და აანალიზებს: სახელმწიფო მმართველობის სამართლებრივ მხარეებს, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას, ტრანსპორტისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებას;

მხარეთა შორის ნდობის აღდგენის მიზნით მისია დაძაბულობის შესამცირებლად ხელს უწყობს მხარეთა შორის პირდაპირ ან გაადვილებული კონტაქტის დამყარებას, აგრეთვე მუშაობს ნდობის აღსადგენ სხვა ღონისძიებათა გატარებაზე;

მისია კონფლიქტურ რეგიონებში განვითარებულ მოვლენებზე ინფორმაციას აწვდის ევროკავშირის სტუქტურებს;

მისია 352 კაცს ითვლის, საიდანაც 200-ზე მეტი დამკვირვებელია. ისინი არიან სამოქალაქო პირები და არ არიან შეიარაღებული.

მისიაში არიან ევროკავშირის 22 სახელმწიფოს: ავსტრიის, ბულგარეთის, გერმანიის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ესტონეთის, ირლანდიის, იტალიის, ლატვიის, ლიტვის, ლუქსემბურგის, მალტის, ნიდერლანდების, პოლონეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, ფინეთის, შვეციისა და ჩეხეთის წარმომადგენლები. მისიას ელჩი ჰანსორგ ჰაბერი (გერმანია) ხელმძღვანელობს, მისი მოადგილეა გენერალი ჟილ ჟანვე (საფრანგეთი).

მისიის შტაბი თბილისშია, ხოლო რეგიონული ბიუროები ბაზალეთში, გორში, ფოთსა და ზუგდიდში.

დამკვირვებელთა საქმიანობა 12 თვეზეა გათვლილი, 6 თვის შემდეგ პირველი ანგარიში გაკეთდება. წლიური ბიუჯეტი 35 მილიონ ევროს შეადგენს.

დამკვირვებლები ყოველდღე, 15-18 ავტომობილით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსაზღვრე საქართველოს რაიონებში დაკვირვებისა და ვი-



რუსები ბლოკპოსტზე მანქანებს ამოწმებენ



რუსული საგუშაგოს ხილული ნაწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა





მიწაში ჩამალული რუსული ტანკის ლულა ქართული ბლოკპოსტისკენ არის მიმართული

თარების შესაფასებლად მიდიან. ორი ავტომობილით ორ-ორი ქვეყნის წარმომადგენელი კონკრეტულ მარშრუტზე, ე.წ. რუსული სამშვიდობო ძალების ბლოკპოსტებამდე მიდის. გზის იქითა მხარე დამკვირვებლებისათვის, ჯერჯერობით, ჩაკეტილია.

ერთ-ერთი ჯგუფის თანხლებით ჩვენ სოფელ ოძისისაკენ გავემართეთ. სოფლის ბოლოდან, სადაც ქართველ პოლიციელთა საგუშაგოა, დაახლოებით ერთ კილომეტრში ბეტონის ფილები აწყვია და რუსეთის სამფეროვანი დროშაა აღმართული. იქ რუს სამხედროებს ბლოკპოსტი აქვთ მოწყობილი.

პოსტზე ავტომატებიანი ორი რუსი ჯარისკაცი ავტომობილებსა და მოქალაქეთა საბუთებს ამოწმებენ. მალე მაიორის ჩინის მქონე ოფიცერიც გამოჩნდა. ის ჩვენი ვინაობით დაინტერესდა. მეტად სიტყვაძუნწია, საბჭოთა არმიის ოფიცრის ტრადიციას აგრძელებს.

სამი რუსი სამხედრო ბლოკპოსტის მხოლოდ ხილული ნაწილია, თორემ გარშემო ტერიტორია კარგად დაცულ-გამაგრებულია. მოჩანს მიწაში ჩამალული T-72. მიმდინარეობს ბლინდაჟების მშენებლობა. გათხრილია სანგრების რთული სისტემა, ხოლო გაბატონებულ სიმაღლეზე საცეცხლე წერტილია მოწყობილი. ასეთი ბლოკპოსტის გარნიზონი სულ მცირე 120-150 სამხედროს მაინც ითვლის.

რუსი სამხედროები ტრანსპორტის მიმოსვლას არ აფერხებენ და შემოწმების შემდეგ ავტომობილებს ქართული თუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სანომრე ნიშნებით თავისუფლად ატარებენ.

ადრე პოსტს ოსური უკანონო სამხედრო ფორმირებების მებრძოლები აკონტროლებდნენ და მგზავრებს ფულის გარეშე არ ატარებდნენ. რუსებმა ოსები გაყარეს და ახლა მოსახლეობაში ნდობის მოპოვების მიზნით „მშვიდობისმოყვარე“ სამხედროებს თამაშობენ.

მოპირდაპირე მხრიდან გადმოსულთა ინფორმაციით, ახალგორში სიმშვიდეა, რაიონში თავისუფლად შესვლა შეიძლება, თუმც უცხო პირი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურების დაინტერესებას აუცილებლად გამოიწვევს.

სიმშვიდეც მოჩვენებითია. კოკოითს როდის რა მოეპრიანება, ან მოსკოვიდან რას დაავალებენ, ამის განსაზღვრა შეუძლებელია და ქართველ მოსახლეობას მუდმივად შიშში ამყოფებს.

ოძისელებს უფრო ღამის ეშინიათ, როცა გალეშილი რუსები და ოსები სროლის ხასიათზე დგებიან, როყიო ტყვიას კი მშვიდობიანი ადამიანის მოკვლა შეუძლია.

საფრანგეთის პრეზიდენტის შუამავლობით მიღწეული შეთანხმებების ნაწილობრივ შესრულება მისიას მოვალეობის სრულად შესრულებაში უშლის ხელს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე საფორტიფიკაციო სამუშაოები, ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მიმოსვლა ბევრ კითხვას ბადებს, რომელზეც პასუხის გაცემა ვერ ხერხდება და საქართველოს ხელისუფლების არცთუ უსაფუძვლო ეჭვს იწვევს. ევროპელი დამკვირვებლები კი ამის გაკონტროლებას ვერ ახერხებენ, თუმცა ამის რესურსები და მანდატი აქვთ.

მხარეთა შორის დაძაბულობის შესამცირებლად მისიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ნდობის აღდგენაა, რომელიც ბლოკპოსტების მეორე მხარეს დარჩენილ მოქალაქეთა ინტერესთა დაცვის გარეშე შეუძლებელი იქნება. მანდატი ამას ითვალისწინებს, მაგრამ აქვე ორივე კონფლიქტური რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური თავისებურებებია გასათვალისწინებელი.

ვითარების საფუძვლიანად შესწავლა და შეფასება დამკვირვებლებისაგან მოსახლეობასთან უფრო მეტ მუშაობას საჭიროებს, არადა ამას ჯერჯერობით, სერიოზულად უშლის ხელს ენობრივი ბარიერი.

დიდ პრობლემას ქმნის იარაღი, რომელიც სხვადასხვა გზით იქითა მხარეს დარჩენილ მოსახლეობაში ვრცელდება და პროვოკაციების მიზეზი ხდება. რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებითა და ტყვიამფრქვევებით რეგიონის იარაღისაგან გაწმენდა, დაძაბულობისა და ეჭვის გაქარწყლება, ცხოვრების მშვიდობიან კალაპოტში გადაყვანა შეუძლებელია, ამიტომ კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო საპოლიციო ძალების შეყვანის საჭიროება კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. იმედია, რუსი პოლიტიკოსებიც მივლენ ამ აზრამდე.

თემურ ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




ესპანური „ჰამერები“ აღლუმზე

# VAMTAC

# ამერიკული „ჰამერის“ ესპანური ვერსია




რუმინელთა VAMTAC-ი ბაზალეთის ბაზიდან ოძისისკენ მიემართება

საქართველოში ჩამოსული ევროკავშირის რუმინელი დამკვირვებლები პატრულირების დროს „ჰამერების“ მსგავს მაღალი გამავლობის ავტომობილებს იყენებენ. ამერიკული „ჰამერის“ უმცროს „ძმას“ ესპანეთში კომპანია EROVESA აწარმოებს და VAMTAC-ის სახელით არის ცნობილი.

ავტომობილი საკმაოდ პოპულარულია. ასეულობით VAMTAC-ი მსახურობს ესპანეთის, ბელგიის, რუმინეთის, მაროკოს, მალაიზიის, პორტუგალიის, დომინიკის რესპუბლიკის, ირლანდიისა და ვენესუელის შეიარაღებულ ძალებსა თუ პოლიციაში.






2007 წლის თებერვალში მაროკომ ესპანეთისაგან 1200 დაჯავშნული ავტომობილი მიიღო, რომლებსაც სეპარატისტთა რაზმებთან საბრძოლველად იყენებს.

ესპანეთის არმიის შეიარაღებაში ავტომობილები გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში შევიდა და ახლა მოძველებულად ითვლება. ესპანელი სამხედროების უკმაყოფილებას ავტომობილების არასათანადო დაცვა იწვევს. ავღანეთსა და ლიბანში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში გზებზე აფეთქებების შედეგად ავტომობილებმა სამხედროების სათანადო უსაფრთხოება ვერ უზრუნველყვეს.

2008-09 წლებისათვის ესპანეთის თავდაცვის სამინისტრომ დიდი თანხები გამოყო VAMTAC-ების ბოლო თაობის დაჯავშნული ავტომობილებით შესაცვლელად.



საქართველოში ჩამოყვანილი შეჯავშნული VAMTAC-ის მძღოლის ადგილი

ავტომობილი ორი მოდელის — I3 და S3 სახით მზადდება. პირველი 4-ცილინდრიანი, ხოლო მეორე კი — 6-ცილინდრიანი ავსტრიული წარმოების ტურბოდაბერვის დიზელის ძრავათი არის აღჭურვილი.

საქართველოში მოღვაწე რუმინელი დამკვირვებლების განკარგულებაში VAMTAG-ის S3 მოდელის ავტომობილებია. ძრავას მოცულობა 3200 კუბური სანტიმეტრია და 188 ცხენის ძალას ავითარებს. აქვს ოთხ ან ხუთსაფეხურიანი Allison-ის ან ZF-ის ფირმის ავტომატური გადაცემათა კოლოფი. მაქსიმალური სიჩქარე საათში 135 კილომეტრია და საწვავით ერთი გაწყობა 600 კილომეტრზე ჰყოფნის.

ავტომობილის წონა 3-3,5 ტონაა და შეუძლია 1,5-2,0 ტონა ტვირთის გადატანა, ან 1,5 ტონა ტვირთის ბუქსირით წაღება.



VAMTAC-ის გამავლობა მართლაც შთამბეჭდავია



ეროვნული ბიბლიოთეკა







სტანდარტულის გარდა VAMTAC-ის სხვადასხვა მოდიფიკაცია არსებობს: სანიტარული (ზემოთ), სახანძრო (მარჯვნივ), სარადარო (მარჯვნივ ქვემოთ) და სხვ.

აქვს საკმაოდ მაღალი გამავლობა და იოლად ძლევს 1,5 მეტრი სიღრმის თხრილებსა და 75-გრადუსიან აღმართებს. გაბარიტული ზომები და წონა თვითმფრინავით გადატანის ან შვეულმფრენით დაკიდებულ მდგომარეობაში ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა.

VAMTAG-ის უნივერსალური შასით მზადდება სანიტარიული, სამეთაურო-საპატრულო, კავშირის სისტემებით აღჭურვილი, სატვირთოპლატფორმიანი, შეიარაღებული (იდგმება ტანკსაწინააღმდეგო და კომპაქტური საზენიტო-მართვადი რაკეტები, ტყვიამფრქვევი და სხვა საცეცხლე საშუალებები), სასაზღვრო სამსახურის, სამხედრო-სატვირთო (ძარა 8-10 ჯარისკაცს იტევს), სპეციალურად უდაბნოში სამსახურისათვის განკუთვნილი ცისტერნიანი და სხვა დანიშნულების ავტომობილები.

*თემურ ჩაჩანიძე*








# VAMTAC



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპერაცია „ბინბეგი“

პოლიტიკური რუკიდან სამხრეთ როდეზიის გაქრობისთანავე, მის ტერიტორიაზე ზიმბაბვეს სახელმწიფო წარმოიშვა. ცვლილებამ როდეზიის სამხედრო ძალებზეც იმოქმედა, რომლის უმეტესი ნაწილი („სელუსას სკაუტები“, SAS-ი და „მსუბუქი ქვეითები“) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გადავიდა და იქაურ სამხედრო ძალებს შეუერთდა. მათგან სამხრეთაფრიკული კომანდოსის ორი ახალი სადაზვერვო-სადივერსიო რაზმი ჩამოყალიბდა: მე-3, რომელიც, ძირითადად, შავკანიანი „საულის სკაუტებით“ დაკომპლექტდა და მე-6, რომელიც SAS-ის მეომრებმა შეავსეს.

როდეზიელთა ახალ დანაყოფებს დიდხანს არ უარსებიათ. 1981 წელს როდეზიელ სპეცრაზმელთა უმეტესობამ, როგორც კი ერთწლიანი კონტრაქტი დასრულდა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ძალები დატოვა. განხეთქილების მიზეზად სპეცოპერაციების ჩატარების მეთოდიკისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა და როდეზიელების მეტისმეტი დამოუკიდებლობა დასახელდა. დიდი როლი ითამაშა რელიგიურმა და ენობრივმა ფაქტორებმაც. ინგლისურ ენაზე მოსაუბრე როდეზიელები თავს არ იწუხებდნენ მასპინძლების ენის — აფრიკაანსის სწავლით, ხოლო ბურების შთამომავლების (რეფორმატორული ჰოლანდიური ეკლესია) რელიგიური წარმოდგენები როდეზიელების ალმსარებლობას ეწინააღმდეგებოდა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ძალებში როდეზიელების საქმიანობას უხმაუროდ არ ჩაუვლია. მათი მონაწილეობით მოზამბიკში ოპერაცია „ბინბეგი“ ჩატარდა. მას დიდი აურზაური მოჰყვა საერთაშორისო პრესაში.

## გამოცდილების გამოყენება

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მეზობელ მოზამბიკში ოპოზიციურად განწყობილი აფრიკული ნაციონალური კონგრესის რამდენიმე საწვრთნელი ცენტრი და დაწესებულება მოქმედებდა. მოზამბიკის პროვინცია ნამპულაში იყო ბანაკი, რომელშიც სწავლებას აფრიკის ნაციონალური კონგრესის სამხედრო ფორმირების, „უმკონტო ვე სიზვეს“ დაახლოებით 150 მეომარი გადიოდა. „უმკონტოს“ რაზმები, რომლებიც მოზამბიკს ბაზად იყენებდნენ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სამხედრო ოპერაციებს ატარებდნენ. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, მათ ქმედებას საპასუხო რეაქცია უნდა მოჰყოლოდა. მანაც არ დააყოვნა — ეს იყო „ბინბეგის“ ოპერაცია.

მოზამბიკის დედაქალაქ მაპუტუსა და მის შემოგარენში აფრიკის ნაციონალურ კონგრესს 30 სახლი თუ ბინა ეკუთვნოდა, რომლებსაც პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურები იყენებდნენ. ქალაქ მატოლეში კონგრესის რამდენიმე ასეთი რეზიდენცია გახდა ოპერაცია „ბინბეგის“ ობიექტი.

სამხრეთაფრიკელები ფიქრობდნენ, რომ მატოლეში, რომელიც მოზამბიკის დედაქალაქისაგან 16 კილომეტრში მდებარეობდა, აფრიკის ნაციონალური კონგრესისა და სამხრეთ აფრიკის კომპარტიის მსხვილი შტაბი იყო განთავსებული. მათი აზრით, სწორედ აქ იგეგმებოდა სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული ყველა სამხედრო ოპერაცია.

კომანდოსს მატოლეში სამ ობიექტზე უნდა მიეტანა იერიში. ოპერაციის მიზანი იქ მყოფი აქტივისტების განადგურება და დაზვერვითი დოკუმენტაციის მოპოვება იყო. მისიის მეთაურები სამხრეთ აფრიკის კომპარტიის ხელმძღვანელის და აფრიკის ნაციონალური კონგრესის მეთაურის ჯო სლოვოს დაპატიმრებასაც იმედოვნებდნენ, რომელსაც სამხრეთ აფრიკის სამსახურები საბჭოთა კგბ-ს პოლკოვნიკად მიიჩნევდნენ. სწორედ ჯო სლოვო ასრულებდა მთავარ როლს სამხედრო ოპერაციების დაგეგმარებისას და პერიოდულად მატოლესაც ესტუმრებოდა ხოლმე.

ოპერაციის შემუშავება და შესრულება SAS-ის ყოფილ ოფიცერს, მე-6 დანაყოფის RECCES-ის პოლკოვნიკს გარტ ბარეტს დაეკისრა. აქცია ჩაფიქრებული იყო როგორც სპეცნაზის საიდუმლო რეიდი და არა სამხედრო ოპერაცია. კომანდოსის დანიშნულების ადგილზე გადაყვანის საშუალებებად განიხილებოდა: თვითმფრინავი (პარაშუტისტების ჩამოსაყრელად), საჰაერო და საზღვაო დესანტი. თუმცა უკანასკნელი ვარიანტი მაშინვე გამორიცხეს, რადგან სუბმარინა ვერ შეძლებდა საჭირო რაოდენობის სპეცრაზმელებისა და მძიმე შეიარაღების გადატანის უზრუნველყოფას. ამავე მიზეზით უარი თქვეს სადესანტო მოიერიშე ჯგუფის გადასმაზე, პარაშუტისტებისა და საჰაერო დესანტის გამოყენებაზე. მისიის ამოცანა იყო შენარჩუნებულიყო ოპერაციის საიდუმლოება.

ბოლოს, არჩევანი სატვირთო მანქანების კოლონაზე შეჩერდა. მოზამბიკის სამხედრო მანქანებით შენიღბული სპეცრაზმელები ფარულად უნდა მისულიყვნენ დანიშნულების ადგილამდე. ოპერაციის შესრულება მე-6 დანაყოფს RECCES-ს დაავალეს. მათთან ერთად „სელუსას სკაუტები“ და SAS-ის მეომრები გაგზავნეს.

„სკაუტებსა“ და SAS-ის მეომრებს მოზამბიკის ტერიტორიაზე მანამდეც ჩაეტარებინათ მსგავსი ოპერაციები. მაგ., 1976 წლის მაისში დაახლოებით ორი ათეული შავკანიანი როდეზიელი მოზამბიკელ ჯარისკაცებად გამოეწყვნენ და ოთხი სატვირთო მანქანით გადალახეს საზღვარი. მათ ალყა შემოარტყეს ზიმბაბველ პარტიზანთა ბაზას, შეუტიეს და გაანადგურეს. იმავე წლის ივნისში „სელუსას სკაუტებმა“ მოზამბიკში კიდევ ერთი ოპერაცია, სახელწოდებით „ლონგ ჯონი“ ჩაატარეს. მისიის შედეგად 58-მა სპეცრაზმელმა ოთხი შენიღბული მანქანით ქალაქ მაპაიში შეაღწია, 19 პარტიზანი და რამდენიმე ათეული ავტომობილი გაანადგურა, რომელთაც მოწინააღმდეგეები პირადი შემადგენლობისა და იარაღის გადასატანად იყენებდნენ.

ამგვარად, ყოფილ როდეზიელ მეომრებს მოზამბიკის ტერიტორიაზე შეღწევის გამოცდილება ჰქონდათ. საჭირო იყო მხოლოდ ტექნიკური მხარის მოგვარება. მოზამბიკის არმია საბჭოთა ავტომობილებს იყენებდა. მათი მოძიება სამხრეთაფრიკელებს არ გასჭირვებიათ. მათ მარაგში ნაალაფარი საბჭოთა წარმოების სატვირთო მანქანები ГАЗ-ი და ЗиЛ-ი, ჯავშანტრანმანქანები БРДМ და БТР-60 მოიპოვებოდა. მანქანებზე მოზამბიკის შეიარაღებული ძალების ნიშნები დაიტანეს და ტექნიკური მხარეც მარტივად მოგვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პირველი მცდელობა

როდეზიელებს სურდათ, თითოეული მანქანა აღჭურვილი ყოფილიყო მძიმე შეიარაღებით, რომელიც საბარგულში, ბრეზენტის ქვეშ უნდა დაემალათ და შენობის შტურმის დროს საცეცხლე მხარდაჭერისათვის გამოეყენებინათ.

სამხრეთაფრიკელებმა ეს იდეა უგულებელყვეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ მძიმე შეიარაღება ზედმეტ ხმაურს გამოიწვევდა და ოპერაციის მიზანს ჩაშლიდა. ბოლოს, გადაწყდა, რომ თითოეულ სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული იყო 12,7მმ და 14,5მმ საბჭოთა წარმოების ტყვიამფრქვევები, ხოლო ზოგიერთზე 106მმ-იანი რეაქტიული ყუმბარსატყორცნი. და მაინც, ერთ-ერთ მანქანაზე ყოფილმა SAS-ის ჯარისკაცებმა RECCES-ის მეთაურობისაგან მალულად 20მმ-იანი სწრაფმსროლელი ქვემეხი დააყენეს, რომელიც როდეზიის სამხედრო-საჰაერო ძალების ძველ გამანადგურებელს, „ვამპირს“ მოხსნეს.

როგორც უკვე ვახსენეთ, ოპერაციას სამხრეთ როდეზიის SAS-ის ყოფილი ოფიცერი გარტ ბარეტი ხელმძღვანელობდა. მატოლას იზოლაციისათვის მან ყველა გზაზე მოზამბიკის არმიის ფორმაში ჩაცმული ე.წ. სტოპჯგუფების განთავსება გადაწყვიტა. მატოლას შესასვლელსა და შემოსასვლელ გზებზე წინაღობები გაკეთდა, რომლებიც ავტომობილებს ქალაქში შეზღუდული მოძრაობის შესახებ ამცნობდნენ. მეომრებს მოზამბიკელი პატრულების როლი უნდა შეესულებინათ და საჭიროების შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღი და ყუმბარსატყორცნებიც გამოეყენებინათ. მათი ამოცანა იყო მატოლა დანარჩენი სამყაროსათვის მოეწყვიტათ. მეტი მობილურობისათვის მათ ველოსიპედები „ჰერკულესიც“ გამოუყვეს.

1980 წლის ნოემბრის მიწურულს ოპერაციისათვის მზადება დასრულდა. სპეცრაზმსა და ნამიბიიდან გადმოყვანილ სატრანსპორტო საშუალებებს სასაზღვრო პუნქტ კომატიპურტთან მოუყარეს თავი. აქედან მიმავალი ავტობანი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და მოზამბიკს აკავშირებს ერთმანეთთან.

საზღვრის გადასაკვეთად ამ გზიდან სამხრეთით რამდენიმე კილომეტრში მდებარე ადგილი ამოარჩიეს. დათქმულ დროს კოლონამ საზღვარი გადაკვეთა. ადგილი, რომელიც უნდა გაევლოთ, აფრიკული სავანას ნაწილი იყო. როგორც ჩანს, სპეცრაზმელებმა ქვეყნის ზღურბლი მარცხენა ფეხით გადაკვეთეს, ვინაიდან ამ წამიდან მათ მუდმივად მარცხი და მოულოდნელობები ხვდებოდათ წინ.

ნამიბიიდან ჩამოტანილი საბჭოთა მანქანები ტექნიკურად გაუმართავი იყო. ცუდად მუშაობდა კავშირგაბმულობის საშუალებებიც. ბოლოს ორი ავტომანქანა სულ გაჩერდა. ბარეტი დაუკავშირდა სამეთაურო პუნქტს და ოპერაციის შეწყვეტის შესახებ შეატყობინა. კოლონას მატოლას გზამდე სულ რაღაც ასი მეტრი აშორებდა, მაგრამ იძულებული შეიქნა, მობრუნებულიყო. ავარიული მანქანები ბუქსირით წამოიყვანეს. მოზამბიკის ტერიტორიაზე მათ დატოვებას, შესაძლოა, ოპერაციის გაშიფვრა მოჰყოლოდა. შემდეგი ორი თვე სპეცრაზმელები ტექნიკის შეკეთებას, კავშირგაბმულობის მწყობრში ჩაყენებას და შტურმისათვის წვრთნას ანდომებდნენ.

## განხეთქილება მომწიფდა

ბარეტს არაერთხელ მოსვლია უსიამოვნება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ძალების მეთაურობასთან. ყოფილ როდეზიელ ოფიცერს ხშირად ადანაშაულებდნენ თვითნებობაში და იმასაც საყვედურობდნენ, რომ უპირატესობას თავის ძველ მეომრებს ანიჭებდა. დავა „ბინბეგის“ ოპერაციასაც მოჰყვა, მაგრამ ბარეტმა მაინც შეძლო თავისი გეგმის გატანა. სანაცვლოდ კი ოპერაციაში რამდენიმე სამხრეთაფრიკელი მეომრის ჩართვამ მოუწია. 1981 წლის იანვარში კომანდოსი მატოლაზე რეიდის განსამეორებლად მზად იყო. მანამდე კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპეცსამსახურებმა სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარეს და დარწმუნდნენ, რომ მათი მარცხი მოზამბიკელთათვის შეუმჩნეველი დარჩა.

თითოეული სატვირთო მანქანის კაბინაში ორი შავკანიანი ჯარისკაცი იჯდა, რომლებმაც პორტუგალიურ ენას იცოდნენ. მთელი რაზმი სამ ოპერატიულ ჯგუფად და მობილურ შტაბად დაიყო. ამ უკანასკნელში შედიოდა ბარეტის БРДМ-ი და ბრეზენტით დაფარული სატვირთო ГАЗ-66, რომლის საბარგულში სამედიცინო პუნქტი იყო განთავსებული და რამდენიმე შეიარაღებული მებრძოლი იჯდა. ერთადერთ დაჯავშნულ მანქანას — მეთაურის БРДМ-ს ადგილობრივ სამხედრო ძალებთან შეტაკების შემთხვევაში დარტყმა საკუთარ თავზე უნდა აეღო და სხვა მანქანების უსაფრთხო გადაადგილება უზრუნველეყო.

ჩვიდმეტი კაცისაგან შემდგარ ჯგუფ „A“-ს ლეგენდარული როდეზიელი სპეცრაზმელი კაპიტანი რობერტ მაკენზი ხელმძღვანელობდა. მისი ჯგუფი მანქანა „შამილ“-ითა და ГАЗ-66-ით მოძრაობ-

და. მაკენზი პასუხისმგებელი იყო კოლონის უსაფრთხოებაზეც.

ჯგუფი „B“ 22 კაცისაგან შედგებოდა და მაიორი კრის სტეინბერგი ხელმძღვანელობდა. ისინი სამი საბჭოთა მანქანით გადაადგილდებოდნენ და დივერსიული რაზმის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ. 17 მეომრისაგან შემდგარი ჯგუფი „C“, რომელსაც ლეიტენანტი მაიკ რიჩემი მეთაურობდა, ორი მანქანით მიდიოდა. ამგვარად, კომანდოსის შემადგენლობაში, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მოზამბიკის საზღვრები უნდა გადაელახა, 68 კომანდოსი იმყოფებოდა. ყველანი მოზამბიკის არმიის ფორმაში იყვნენ გამოწყობილი, ავტომატებითა და კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევებით, ყუმბარსატყორცნი □□□-7-ითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული.

1981 წლის 29 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მანქანების კოლონა დროებითი ბაზიდან დაიძრა. 9 საათსა და 30 წუთზე მან საზღვარს მიაღწია და წინასწარ მომზადებული გასასვლელით მოზამბიკის ტერიტორიაზე შევიდა. მანქანები ჩამქრალი ფარებით მიდიოდნენ, ორიენტაციისათვის კი წინ გაგზავნილი პატრულების ფარნებით სარგებლობდნენ. ღამის 1 საათზე კოლონა ასფალტირებულ გზაზე გადავიდა, რომელსაც მგზავრები მატოლასაკენ მიჰყავდა. გზად შემხვედრ სამხედრო მანქანებს ისინი მოზამბიკელი მეომრების ჟესტებითა და შეძახილებით ესალმებოდნენ.

მატოლას შესასვლელში ხიდი გაიარეს, რომელიც არ კონტროლდებოდა. ბარეტმა გადაწყვიტა ეს „ხარვეზი“ გამოესწორებინა და აქ თავისი ბლოკპოსტი განალაგა. სტოპჯგუფი, რომელიც ხიდზე დარჩა, კარგად იყო შეიარაღებული. სიტუაციის უკიდურესად დაძაბვის შემთხვევაში, ის ერთხანს პოზიციის შენარჩუნებას შეძლებდა. ბარეტის ბრძანებით სტოპპოსტს განსაზღვრულ დრომდე შეუფერხებლად უნდა გაეტარებინა ყველა სამოქალაქო მანქანა. იგივე პოსტი განლაგდა მატოლას მეორე გასასვლელში, საითაც გზა მაპუტუსაკენ მიდიოდა. ისინი ბარეტის ნიშანს ელოდებოდნენ, რომელიც მხოლოდ იერიშის დაწყების დროს უნდა გადაეცა სტოპჯგუფებისათვის. ბარეტის ხელმძღვანელობით ოპერაციის მობილური შტაბი, რომელიც სიტუაციას რადიოს მეშვეობით აკონტროლებდა, მატოლას შესასვლელთან განლაგდა. შეტევის დაწყებამდე ჯგუფები სამეულებად დაიყვნენ, უმრავლესობამ ფოლადის ჩაფხუტები დაიხურა. სამეულების მეთაურებს ძალზე კონკრეტული და ზუსტი მონაცემები ჰქონდათ, თუ სად იმყოფებოდნენ აფრიკის ნაციონალური კონგრესის წევრები. ბარეტის პირველივე ნიშანზე სპეცრაზმის ჯგუფები ერთდროულად გადავიდნენ შეტევაზე.

## იერიში

პირველივე იერიშმა წარმატებით ჩაიარა — ერთ-ერთ შენობაზე თავდასხმისას სპეცრაზმმა კონგრესის ცხრა წევრის დაჭერა მოახერხა, მაგრამ შვიდმა გაქცევა მოახერხა. როგორც გაირკვა, გაქცეულთა შორის იყო „უმკონტო ვე სიზვე“ მეთაური მოსტო მოკგაბუდი. სროლის დროს ის მძიმედ დაიჭრა და მაპუტუს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სპეცრაზმელები შენობების შტურმზე სტანდარტული „პოლიციური“ მანერით მიდიოდნენ: ტეხდნენ კარს და შენობაში ხელყუმბარებს ყრიდნენ. სიბნელიდან მათ ავტომატის ჯერი პასუხობდა. როდეზიელების თქმით, რეიდის მონაწილეებს ღამის შტურმის დროს ყველაზე მეტად სხვისი და თავისიანის გარჩევა უჭირდათ. კომანდოსის უმეტესობა ისევე, როგორც აფრიკის ნაციონალური კონგრესის წევრების დაცვა, საბჭოთა იარაღით იყვნენ შეიარაღებული. ამიტომაც შეუძლებელი იყო მოწინააღმდეგის იდენტიფიცირება. ერთ-ერთ სახლთან დაიჭრნენ მაკენზის თანაშემწეები: ლეიტენანტი რიჩ სტანარდი, სერჟანტი მაიკ სმიტი და ექიმი, სერჟანტი ენდი ჯონსონი. სერჟანტი ლან სტილი დაიღუპა, ხოლო კაპრალი ჯიმ პარკსი სასიკვდილოდ დაიჭრა და მოგვიანებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ჯგუფმა „ჩ“-მ მაიკ რიჩის ხელმძღვანელობით, შეძლო შენობაში შეუმჩნევლად შეღწევა და კონგრესის ექვსი წევრი გაანადგურა. ყველაზე რთულ სიტუაციაში ჩავარდა ჯგუფი „B“. ობიექტი, რომელზეც მან მიიტანა იერიში, ორსართულიანი სახლი იყო. მეომრები ყველაზე დიდ წინააღმდეგობას აქ ელოდნენ, ამიტომაც შენობის შესასვლელთან მანქანა დააყენეს, რომელიც 106მმ-იანი ე.წ. რეაქტიული ყუმბარსატყორცნითა და 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი, მაგრამ მათი გამოყენება საჭირო არ აღმოჩნდა. მთავარი ჯგუფი, რომელსაც კორი მეერჰოლცი მეთაურობდა, მაშინვე დაცვას გადაეყარა, რომელიც ტყვიამფრქვევით იყო შეიარაღებული. სავარაუდოდ, მოზამბიკის არმიის ფორმამ თავისი როლი შეასრულა. მცველმა ცეცხლი არ გაუხსნა მათ. მაშინაც კი, როდესაც მიხვდა, რომ მის წინაშე მოწინააღმდეგე იდგა, ცეცხლის გახსნას მაინც აყოვნებდა. მეთაურმა დროის მოგების მიზნით მასთან მოლაპარაკება დაიწყო. როცა მეერჰოლცი დარწმუნდა, რომ დაცვა არ დანებდებოდა, ხელყუმბარა კარში შეაგდო, საპასუხოდ კი ტყვიამფრქვევის კაკანი გაისმა. ამ დროს ჯგუფის მეორე ნაწილი, რომელმაც მოლაპარაკებით ისარგებლა, შენობას ალყა შემოარტყა და პირველივე გასროლაზე შტურმი დაიწყო. სპეცრაზმელები ოთახებს ჩხრეკდნენ და ანადგურებდნენ ყველას, ვინც კი წინააღმდეგობას უწევდათ. დაჭრილები ტყვედ მიჰყავდათ, დოკუმენტაცია და იარაღი თან მიჰქონდათ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაცემებით, აფრიკის ნაციონალური კონგრესის რეზიდენციის შტურმისას მატოლაში დაიღუპა 13 წევრი და 5 ტყვედ ჩავარდა. თავად კონგრესის მონაცემებით კი დაიღუპა 15, ხოლო 3 კაცი კომანდოსმა გაიტაცა. სამწუხაროდ, სამხრეთ აფრიკის კომპარტიის თავმჯდომარე ჯო სლოვო მათ შორის არ აღმოჩნდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მან ერთ-ერთი შენობა რამდენიმე საათით ადრე დატოვა. დაღუპულთა შორის იყო სრულიად უდანაშაულო პირიც, რომელსაც კავშირი არ ჰქონდა კონგრესთან. ეს იყო პორტუგალიელი ინჟინერი ჟოზე რამუში, რომელიც მოზამბიკში კონტრაქტით მუშაობდა. რამუში სპეცრაზმელების სტოპჯგუფებს არ დაემორჩილა და გზის გაგრძელება სცადა. ის ავტომატით ჩაცხრილეს მისივე მანქანაში. ოპერაცია „ბინბეგის“ დროს სპეცრაზმელებმა სამი კაცი დაკარგეს, ხოლო რამდენიმე დაიჭრა.

ოპერაცია მატოლაში 18 წუთს გაგრძელდა, რაც 3 წუთით აღემატებოდა განსაზღვრულ ნორმატივს. დაახლოებით ღამის 4 საათზე ყველა ჯგუფი მატოლას გასასვლელში შეიკრიბა და ფორსირებული მარშით საზღვრისაკენ დაიძრა. რამდენიმე საათის შემდეგ კოლონა უკვე სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე იყო.

„ბინბეგი“ იყო უკანასკნელი ოპერაცია, რომელიც როდეზიის სადაზვერვო სამხრეთაფრიკულმა მე-6 კომანდოსმა ჩაატარა. მალე გარტ ბარეტმა სამხედრო სამსახური მიატოვა. მას მიჰბაძა დაახლოებით 60-მა კაცმა, რომელთაც არ მოისურვეს კონტრაქტის გაგრძელება. RECCES-ის მე-6 რაზმში ოცამდე მეომარი დარჩა, ამიტომაც შენაერთი დაიშალა, ისინი კი, ვინც სამსახურის გაგრძელების სურვილი გამოთქვეს, პირველ სადაზვერვო პოლკში გადაიყვანეს. ბარეტსა და მის თანამებრძოლებს „სელუსას სკაუტებიც“ მიჰყვნენ უკან. დანარჩენები მე-5 სადაზვერვო პოლკში გაამწესეს.

როდეზიელ მეომრებს ყოველთვის სურდათ სამხრეთაფრიკელებისაგან გამორჩეული ყოფილიყვნენ, არ ათქვეფილიყვნენ მათში და როდეზიული სპეცრაზმის ხსოვნა შეენარჩუნებინათ. ალბათ, ამიტომაცაა „სელუსის სკაუტების“ სიმბოლო — „ფრთების“ გარემოცვაში გამოსახული პარაშუტი მე-5 სადაზვერვო სპეცძალთა ემბლემაში ჩართული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება.

# კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

## გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

შუა საუკუნეების სამხედრო მეთაურობა ხშირად იყენებდა სხვადასხვა მანევრს. მართალია, მათ არსენალში არცთუ ისე ბევრი ფანდი იყო, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი იყო, როგორ შესრულდებოდა ესა თუ ის ამოცანა, რამდენად შეძლებდა მეთაური ყველა ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი პირობის გათვალისწინებას.

მაგალითად, მხედართმთავრები ხშირად იყენებდნენ ჩასაფრებას. გონივრულად და ზუსტად გათვლილი პოლიტიკის წყალობით იზრდებოდა ბრძოლის გამარჯვებით დასრულების ალბათობაც. შეფარული ადგილიდან პატარ-პატარა ფორმირებების მოულოდნელი გამოჩენა ხშირად გამანაგურებლად მოქმედებდა მოწინააღმდეგეზე, განსაკუთრებით მორალურად. მანევრი რომ ეფექტიანი ყოფილიყო, აუცილებლად ზუსტად უნდა გაეთვალათ სიტუაცია და იერიშიც დროულად უნდა მიეტანათ.

ყველაზე ძნელი იყო დევნიდან მობრუნება. მას შემდეგ, რაც ჯარი მოწინაალმდეგეს უკუაქცევდა და გაედევნებოდა, გამარჯვებული უდიდესი საფრთხის წინაშე დგებოდა. არაერთხელ გამარჯვება მარცხად ქცეულა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ჯარში დისციპლინა და დევნის შეწყვეტის დროულად მიღებული გადაწყვეტილება ასრულებდა.

ხშირად ჯარისკაცები მოწინააღმდეგის ბანაკის ძარცვას იწყებდნენ და ავიწყდებოდათ, რომ შეიძლებოდა მტერი მოულოდნელად მობრუნებულიყო. ასეთი რამ მოხდა 1189 წლის 4 ოქტომბერს. ჯვაროსნებმა დაამარცხეს სალადინის ჯარი და მყისვე ნადავლის მოპოვებას შეუდგნენ. მაჰმადიანთა მარცხენა ფლანგმა, რომელიც თითქმის უვნებელი გადარჩა, კონტრიერიში მიიტანა ქრისტიანებზე და დიდი დანაკარგი მიაყენა.

ასევე ძალზე პოპულარული მანევრი გახლდათ ალყა. ალყაში მოქცეულ მოწინააღმდეგეს, რომელსაც გაქცევის საშუალება არ ეძლეოდა, მხოლოდ ერთი გამოსავალი დარჩენოდა — ბოლომდე ებრძოლა, რაც ორივე მხარეს ცოცხალი ძალის დიდ დანაკარგს იწვევდა. მაგალითად, 1304 წლის აგვისტოში ფრანგული არმია ნიდერლანდებში აჯანყების ჩახშობას ცდილობდა და შუბოსნების შენაერთს ებრძოდა. მეამბოხეებს ერთი მხრიდან დასახლება, მეორე მხრიდან კი მდინარე ესაზღვრებოდა, ზურგი კი სამხედრო ეტლების სამრიგა კედლით შემოეხერგათ. მათ ახსოვდათ მარცხი კურტრესთან, რომელიც შუბოსნებმა განაცდევინეს და ამიტომაც ფრანგები ძალზე ფრთხილად მოქმედებდნენ. ჯერ გაუშვეს არბალეტით მებრძოლები, რომლებსაც საპასუხოდ მოწინაალმდეგის ისრები დახვდათ.



ფრანგთა კავალერია 15 დივიზიონისაგან შედგებოდა, რომელთაგან რვამ მოწინაალმდეგის ზურგში გადაინაცვლა, მაგრამ ეტლებით გაკეთებული წინაღობის გადალახვა ვერ შეძლო. დანარჩენები კი ცდილობდნენ, მოწინააღმდეგის შუბოსნების ყურადღება გაეფანტათ და ფრონტის მხრიდან უტევდნენ მცირე შეტაკებებით. საბოლოოდ ბრძოლა „ფრედ“ დასრულდა — ორივე მხარემ თავი გამარჯვებულად გამოაცხადა.

ცრუიერიში, რომელსაც ასეთივე ცრუუკუქცევა მოსდევდა, უძველესი დროიდან გამოიყენებოდა და განსაკუთრებით უყვარდათ მომთაბარეებს. გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო იყო გონივრული დაგეგმარება, დისციპლინირებული მეომრები და ბრძოლის ველზე მოვლენათა მართვის უნარი. სხვაგვარად მოჩვენებითი უკუქცევა შეიძლებოდა ნამდვილ დევნად გადაქცეულიყო. მოჩვენებითი უკუქცევის საუკეთესო მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ 1260 წელს გამართული აიან-ჯალუტის ბრძოლა, სადაც ერთმანეთს მამლუქები და მონღოლები დაუპირისპირდნენ. ბრძოლა მონღოლთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხით დასრულდა.

ფლანგზე გასვლა შეიძლებოდა როგორც „პირდაპირი შეტევით", ჩასაფრებით ან შემოვლითი მანევრით. ხმაურსა და ქაოსში ხშირად შეუძლებელი ხდებოდა მეთაურის ბრძანების გაგონება და გააზრება. ხშირად მეთაურსაც არ შეეძლო მყისიერად შეემჩნია, რომ ახალი მიმართულებიდან უტევდნენ. ასეთი რამ დაემართა ოტო II-ის არმიას, რომელიც ბიზანტიელებს უჭერდა მხარს და ჩრდილოაფრიკელ მაჰმადიანებს იტალიაში ებრძოდა.

982 წელს კორტონის ბრძოლაში გერმანელებმა მაჰმადიანთა ცენტრს შეუტიეს, მოუკლეს მხედართმთავარი და გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს მწყობრი და ფლანგიდან მოგერიებულნი დამარცხდნენ. დაახლოებით 10000 მაჰმადიანი ევროპელებმა დახოცეს და ტყვედ იგდეს. შემოვლითი მანევრის საუკეთესო მაგალითი კი ჟურნალ „არსენალის" გასულ ნომერში აღწერილი სიმონ დე მონფორის ფანდი გახლდათ, რომლის წყალობითაც მურესთან გამარჯვებაც მოიპოვა.

## ბრძოლა კასტილიის მემკვიდრეობისათვის ნახერა – 1367 წელი

პედრო I „სამართლიანის" კასტილიის სამეფო ტახტზე მისი ნახევარძმა ენრიკე კონდე დე ტასტამარა აცხადებდა პრეტენზიას, რომელიც სამეფოში უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ალფონსო XI-ს უკანონო შვილი იყო. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა პედროს მეუღლე, რომელიც საფრანგეთის მეფის კარლოს V-ს ახლო ნათესავი იყო.

ენრიკემ, რომელმაც მეზობელი არაგონისაგან ფინანსური დახმარება, ხოლო ფრანგებისაგან თანამშრომლობის გარანტია მიიღო, არმიის შეკრება დაიწყო. მას პაპმა ურბან V-მაც მხარი დაუჭირა, რომელიც შეშფოთებული იყო პედროს არმიაში მაჰმადიანების ყოფნით და მის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის წამოწყება გადაწყვიტა. კოალიციას შეუერთდა „უსაქმოდ" მყოფი დაქირავებული ჯარიც, რომელიც ნებისმიერ დროს მზად იყო, მხარში ამოსდგომოდა დამქირავებელს ხელფასისა და ალაფის საფასურად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ყაჩაღი იყო, ისინი მაინც შემოსეს ჯვაროსნების სამოსლით და სათავეში ბერტრან დიუგეკლენი ჩაუყენეს, რომელიც უბადლო სამხედრო ნიჭით იყო დაჯილდოებული.

ბერტრანის მეომრები, არათუ ჯვაროსნების ტანსაცმელში გამოაწყვეს,



პედრო I

არამედ ავინიონშიც მიიყვანეს (პაპის რეზიდენცია 1309-1377წ.წ.), სადაც პაპისგან კურთხევა მიაღებინეს, რის შემდეგაც დიუგეკლენის არმია კასტილიაში შევიდა. დაქირავებულმა ჯარმა სისხლის მდინარეები დაადინა. შედიოდნენ ქალაქებში და უმოწყალოდ ხოცავდნენ ყველას — მაჰმადიანებს, ქრისტიანებსა და ებრაელებს. მოუმზადებელმა პედრომ მათ ვერ გაუწია წინააღმდეგობა და გაქცევით უშველა თავს. ენრიკემ სამეფო გვირგვინი მოირგო და კასტილიის მართვას შეუდგა. ერთი სიტყვით, 1366 წლის ლაშქრობა ჯვაროსნების გამარჯვებით დასრულდა.

მარცხის მიუხედავად, პედრო დანებებას არ აპირებდა და მხარდაჭერა აკვიტანიის ჰერცოგსა და უელსის პრინცს, ედუარდს, იმავე შავ პრინცს სთხოვა. დახმარებისთვის მიმართა მალიორკისა და ნავარის მეფეებსაც.

ნავარის მეფე კარლოს II-ს არა მხოლოდ ენრიკეს, არამედ შავი პრინცის ლაშქრის დანახვაც არ სურდა პირენეს ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე. 1366 წელს განცდილი მარცხის შემდეგ თავის ციხეში ჩაიკეტა და ვერც მტერს უწევდა წინააღმდეგობას და ვერც მის წინააღმდეგ მებრძოლთა კოალიციას ეხმარებოდა. სამაგიეროდ, სამხედრო დახმარება მალიორკიდან მოვიდა, და როგორც ქვემოთ ნახავთ, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბრძოლის წარმატებაზე.

ენრიკე II-მ რომ შეიტყო, მოწინააღმდეგეთა მობილიზაციის ამბავი, ჯარის შეკრება დაიწყო და სანტო-დომინგო-დელა-კალსადაში მოუყარა თავი. აქედან მას შეეძლო წასულიყო ჩრდილო-აღმოსავლეთით პამპლონისაკენ ან მირინდასისაკენ, იქიდან კი კვლავაც ჩრდილო-აღმოსავლეთით — ვიტორიამდე მისულიყო. ამგვარად კასტილიის მეფეს საკმაოდ ხელსაყრელი, შუალედური პოზიცია ეკავა, — კასტილიისაკენ მიმავალ ნებისმიერ მიმართულებას ის აკონტროლებდა.

როგორც ჩანს, ენრიკეს ბანაკის ადგილმდებარეობა შავი პრინცისთვის ცნობილი იყო. მან მთები გადალახა და ვიტორიის მახლობლად გაჩერდა. ენრიკემ დისლოკაციის ადგილი შეიცვალა, ანასტროსაკენ გადაინაცვლა და დაიკავა ის გზა, რომელიც ნავარიდან სამხრეთ-დასავლეთით, ვიტორიის გავლით მიდიოდა და ამავდროულად, მირანდიდან კასტილიის დედაქალაქისაკენ ბურგოსში. ერთ მომენტში შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ბრძოლა გარდაუვალი იყო, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

ბრძოლის ველზე ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდა ორი განსხვავებული სამხედრო ტრადიციის მატარებელი არმია. ესპანელები შეჩვეული იყვნენ გაშლილ ველებსა და მინდვრებზე ბრძოლებს. ასევე კარგად ფლობდნენ მთებში მოქმედების შესაძლებლობებს და ეფექტიანად იყენებდნენ მსუბუქად შეიარაღებულ კავალერიას. გამოცდილებაც საკმაოდ დიდი ჰქონდათ. ისინი ხომ 600 წელზე მეტ ხანს ებრძოდნენ მავრებს.

შავი პრინცისა და პედროს მეომრები მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე იყვნენ ჩვეული ბრძოლას, სადაც ხშირად ხვდებოდათ დამუშავებული მიწები და ამიტომაც სივრცის თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდული იყვნენ. მეომრები, მოწინავე რაზმების კავალერიაც კი მძიმედ იყვნენ აღჭურვილი და პატარ-პატარა დაჯგუფებებად მოქმედებდნენ.

დაბანაკდნენ თუ არა, ინგლისელმა მხედართმთავარმა დაზვერვაზე 100 მხედარი გაგზავნა. იმავე მისიით დაიძრა ენრიკეს 6000 კაცი მოკავშირეების ბანაკისაკენ. პირველად მოწინააღმდეგეთა ძალები ერთმანეთს მაშინ დაუპირისპირდნენ, როდესაც ენრიკეს „მსტოვრები" უკან ბრუნდებოდნენ. მოკავშირეები ჩამოქვეითდნენ და მთის მწვერვალზე გამაგრდნენ, საიდანაც ჯერ მსუბუქი, შემდეგ კი მძიმე კავალერია მოიგერიეს. ამის შემდეგ თითქმის მთელი ერთი კვირა მოწინააღმდეგეთა ლაშქრები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ბრძოლაში ჩაბმას აჭიანურებდნენ. გამოუცხადებელი „ზავი" შავმა პრინცმა დაარღვია. ღამით ბანაკიდან დაიძრა და არმია აღმოსავლეთისაკენ წაიყვანა, შემდეგ კი სამხრეთით, სიერა-კანტაბრიას გავლით ლოგრონიოსკენ გადაინაცვლა. მოკავშირეებმა ამ გონივრული ფანდით გვერდი აუარეს ენრიკეს პოზიციებს და დაჩქარებული მარშით ორ დღეში 50 კილომეტრი გაიარეს. ენრიკემ შეიტყო თუ არა ეს, ფორსირებული სვლით ნახერისაკენ დაიძრა და დანიშნულების ადგილას იმ დროს მოვიდა, როდესაც შავი პრინცის არმია ნავარეტში, პამპლონისაკენ მიმავალი გზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდან 9 კილომეტრში იყო. ენრიკემ გზის გადაღობვა სცადა.

ნახერის ახლოს იყო მდინარე, რომელიც მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისაგან მიჯნავდა, მდინარისპირა დაბლობი კი იდეალური იყო კავალერისტთა ბრძოლისათვის.

ენრიკემ გადაწყვიტა, სვლა გაეგრძელებინა და მოწინააღმდეგე ბრძოლაში ჩაეთრია. გამოცდილმა დიუგეკლენმა, რომელმაც კარგად იცოდა ინგლისელთა სამხედრო მანევრები, გადაწყვიტა ავანგარდი ქვეითად გაეგზავნა მტრის რიგებისაკენ. ამ 2000 კაცში შედიოდნენ ფრანგი რაინდები და მათი საჭურველთმტვირთველები, კასტილიელი მძიმედ შეიარაღებული მხედრები და არბალეტით მებრძოლი მეომრები. მთავარ ფორმირებაში არც ერთი მხედარი არ ჩამოქვეითებულა და პოზიციას ცენტრში იკავებდა. ავანგარდის პირდაპირ განლაგდა მეფე ენრიკე 1500 რაინდით. ფლანგებზე განთავსდნენ 1000 მძიმედ შეიარაღებული მხედარი და შურდულით შეიარაღებული ამდენივე მსუბუქი კავალერისტი. ენრიკეს მესამე ფორმირება მთლიანად ფეხოსნებისაგან შედგებოდა, რომელიც დაახლოებით 20000 კაცს ითვლიდა.

შავმა პრინცმაც თავისი არმია სამ ეშელონად დაყო. თითოეულში შედიოდნენ ქვეითად მებრძოლი მძიმედ შეიარაღებული მხედრები, რომლებსაც თან ახლდნენ იმავე რაოდენობის მშვილდოსნები. პირველ ეშელონში იყო დაახლოებით 3000 კაცი, რომელთაგან ნახევარზე მეტი დაქირავებულ ჯარზე მოდიოდა. მეორე ეშელონი შედგებოდა სამი ფორმირებისაგან, რომელთაგან ცენტრალურს — პედრო I-ის 4000 მხედარს — შავი პრინცი მეთაურობდა. თითოეული გვერდითი რაზმი ითვლიდა დაახლოებით 4000 კაცს, რომელთა შორის ნახევარი მძიმედ შეიარაღებული მხედარი იყო, ნახევარი კი მშვილდოსნები. მესამე ეშელონს, რომელიც მეთაურობამ გასკონელებისა და სხვა დაქირავებული რაზმებისაგან (სულ 6000) დააკომპლექტა, სათავეში მალიორკის მეფე ჩაუყენეს.

და აი, მოწინააღმდეგეთა ავანგარდები ერთმანეთს ეკვეთნენ. ნელ-ნელა მოკავშირეებმა უკან დახევა დაიწყეს. ამასობაში ფლანგებზე განლაგებული კავალერიის რაზმები შეეცადნენ მოკავშირეთა ფლანგებს შესტაკებოდნენ, მაგრამ ინგლისელთა მშვილდოსნებმა შურდულებით მოიერიშე ესპანელებს მიახლოების საშუალება არ მისცეს. შედეგად, ორივე ფლანგმა უკან დახევა დაიწყო. მათი მეთაურები აშკარად არ ემორჩილებოდნენ ბერტრან დიუგეკლენის ბრძანებას. მათ უნდა შეესრულებინათ შემოვლითი მანევრი და ისრის ფრენის დისტანციაზე უნდა გაჩერებულიყვნენ, რაც მოკავშირეთა მრავალრიცხოვან ძალას წინ წაწევის ნაცვლად უკან დახევას აიძულებდა.



ბერტრან დიუ გეკლენის ძეგლი



მოკავშირეთა ორივე გვერდითი დივიზიონი შეტაკებაში ჩაერთო, ხოლო შავმა პრინცმა წინ წამოწია ცენტრალური ფორმირება თავისი ფრონტის გასამაგრებლად. ენრიკე არ აპირებდა დანებებას და ბრძოლაში კავალერია ჩართო, მაგრამ მან ვერ შეძლო ჩამოქვეითებული რაინდების რიგების გარღვევა. ამასობაში ინგლისელი მშვილდოსნები აგრძელებდნენ კასტილიელი ქვეითების ხოცვას. მალე ბრძოლაში ჩაება მალიორკის მეფის ფორმირება, რომელიც ფრონტზე მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა. ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა ბრძოლაში. მეფემ, რომელსაც არ გააჩნდა ზედამხედველობის პუნქტი, სწორად განსაზღვრა, სად ესაჭიროებოდათ ყველაზე მეტად მისი დახმარება. ჯერ მარჯვნივ მიმართა თავისი ლაშქარი, შემდეგ კი — მარცხნივ. კასტილიელებმა უკან დაიხიეს. მათ მიჰბაძა ენრიკემაც, რომელსაც სხვა გამოსავალი არ დარჩენოდა.

გაქცევის საშუალება მოესპოთ ფრანგებს, რომლებიც ცენტრში იდგნენ და იჟლიტებოდნენ მანამ, სანამ არ დაიხოცა მათი მესამედი და დიუგეკლენმა მახვილი არ აღმართა კაპიტულაციის ნიშნად. ესპანელებმა დაკარგეს დაახლოებით 7000 კაცი, შავმა პრინცმა და მისმა მოკავშირეებმა კი 4 რაინდი, 20 მშვილდოსანი და 40 მძიმედ შეიარაღებული მხედარი.

ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება ხშირად ომის წარმატებაზე ზემოქმედებას ვერ ახდენდა. სწორედ ასეთი იყო 1367 წლის ნახერის ბრძოლა. მართალია, პედრომ დაიბრუნა ტახტი, მაგრამ ვერ შეძლო დაქირავებული ჯარისათვის შეპირებული თანხის გადახდა და მათაც მიატოვეს მეფე. ენრიკემ გაქცევა მოახერხა. მალე ფრანგების დახმარებით მან მონტიელის ბრძოლაში გვირგვინი წაართვა ძმას. 1369 წლის 23 მარტს გამარჯვებულმა ენრიკემ საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს პედრო. ტრასტამარების დინასტიამ, ენრიკეს შთამომავლებმა, კასტილია 1504 წლამდე მართეს.

*ანა ფალიანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს აფხაზური Ми-8-მა, რომელმაც 2003 წელს სოხუმის თავზე აფხაზეთის დროშით გადაიფრინა, 2005 წელს ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ჩამოვარდა



# აფხაზი სეპარატისტების სამხედრო ავიაცია

აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსეთმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აფხაზეთში თავისი სამხედრო დაჯგუფების გაძლიერების მიზნით სამხედრო ბაზების მშენებლობას დაიწყებს. ერთ-ერთი სოხუმთან, ბაბუშერის აეროდრომზე განთავსდება, სადაც დღეს აფხაზეთის სამხედრო ავიაციაა ბაზირებული. „არსენალში“ არაერთხელ გვქონია საუბარი აფხაზი სეპარატისტების სახმელეთო ჯარების შეიარაღებაზე. ამჯერად მკითხველს გვსურს, მივაწოდოთ ინფორმაცია აფხაზეთის სამხედრო-საჰაერო ძალებზე.

აფხაზეთის სამხედრო ავიაციის დაბადების დღედ (ისე, სულ რომ არ „დაბადებულიყო“, აჯობებდა) 1992 წლის



L-39C-ს შეიარაღებაში არ შედის P-60-ის ტიპის „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტა — სავარაუდოდ აფხაზებმა ეს თვითმფრინავი ამ რაკეტის სატარებლად გადააკეთეს ან „დეზას“ სახით აჩვენეს ტელევიზიით

27 აგვისტო ითვლება, როდესაც გუდაუთის მახლობლად, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის კუთვნილი ორი Ан-2 დაჯდა, რომლებიც მანამდე ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ბაზირებდნენ. მალე ამ თვითფრინავებმა ჩეჩნეთში რეგულარული რეისების შესრულება დაიწყეს და იქიდან იარაღითა და ჩეჩენი ბოევიკებით დატვირთული ბრუნდებოდნენ.

მათი ბაზირებისთვის აფხაზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი გაკეთდა. მხოლოდ სოფელ ჯგერდასთან არსებულ საველე აეროდრომზე 1993 წლის 1-ელიდან 7 მარტამდე ექვსჯერ დასხდნენ ჩეჩნეთიდან დაბრუნებული Ан-2-ები.

საბრძოლო ავიატექნიკის უქონლო-

ბის გამო აფხაზი სეპარატისტები მაინც ცდილობდნენ სამხედრო-საჰაერო ძალების ჩამოყალიბებას, რისთვისაც მარტივი და ორიგინალური გზა აირჩიეს — მსუბუქი ავიაცია. თავდაპირველად მხოლოდ შვიდი მფრინავი-დელტაპლანერისტი ჰყავდათ, საფრენი აპარატები კი არ ჰქონდათ. 17 აგვისტოს აფხაზეთის სამხედრო ფორმირების მეთაურმა ვ. კაკალიამ დაზვერვისა და საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვის რამდენიმე მოტოდელტაპლანის შესყიდვის ბრძანება გასცა. 1992 წლის სექტემბრის დასაწყისში მოსკოვის ერთ-ერთ აეროკლუბში ნაყიდი სამი აპარატი — ორი „ფრეგატი“ და ერთი „ტიტანი“ რუსეთის არმიის პოლკოვნიკმა პ. ლეშჩუკმა პირადად ჩაუტანა სეპარატისტებს.



ახალშექმნილი სამხედრო ავიაციის სარდლად მფრინავი ოლეგ ჭანბა დაინიშნა, რომელიც ყოფილ საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებში ერთადერთი აფხაზი მფრინავი-გამანადგურებელი იყო. 1979-83 წლებში ის არმავირის მფრინავების უმაღლეს სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში სწავლობდა. შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში დისლოცირებულ ერთ-ერთ ავიაპოლკში გამანადგურებელ МиГ-29-ზე მსახურობდა. 1992 წელს მას პოლკის მეთაურობა შესთავაზეს, მაგრამ ომის დაწყებისთანავე აფხაზეთში დაბრუნდა.

3 სექტემბერს ახალჩამოტანილი მოტოდელტაპლანები ააწყვეს და სოფელ ლიხნის მახლობლად მდებარე აეროდრომზე განათავსეს. აფხაზებს ასეთი ავიაციის გამოყენების გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ ფრონტზე არსებულმა მდგომარეობამ დააჩქარა მათი ათვისების პროცესი. აპარატების ძრავები და პილოტის ადგილი ჯავშნით დაფარეს, დააყენეს რადიოსადგურები და აღჭურვეს თვითნაკეთი ბომბსაჭერებით. ათი დღის განმავლობაში მფრინავები ცდიდნენ თავიანთ „ბომბდამშენებს“, ამუშავებდნენ გამოყენების ტაქტიკას. გაირკვა, რომ მაღალ მთებში ერთი პილოტით აპარატი 4500მ-ზე ადის, ორით კი — 2500მ-მდე, 500-700მ-ის სიმაღლიდან ჩამოგდებული ბომბების სამიზნიდან გადახრის მანძილი კი მხოლოდ 30-40მ-ია. იმისთვის, რომ ბომბების ნამსხვრევებს აპარატები არ დაეზიანებინა, ბომბების ამფეთქებს შენელებაზე აყენებდნენ. პილოტებმა მონახეს მოტოდელტაპლანების გამოყენების ოპტიმალური ტაქტიკა: სამიზნიდან 10კმ-ში პილოტი 2000მ-ზე ადიოდა და ძრავას გათიშვის შემდეგ პლანირებაზე გადადიოდა. პატარა გაბარიტების წყალობით აპარატების აღმოჩენა არცთუ ისე იოლი იყო. თანაც, აფხაზები მათ, ძირითადად, ღამით იყენებდნენ. უმეტეს შემთხვევაში კი ქართული დანაყოფები მათ ცეცხლს ბომბის ჩამოგდების შემდეგ უხსნიდნენ.





სოხუმის აეროპორტი, სადაც აფხაზური სამხედრო-საჰაერო ძალები ბაზირებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა





აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე დუდაევმა აფხაზებს ჩეჩნეთიდან საჩუქრად ხუთი L-39 გამოუგზავნა

1992 წლის 19 სექტემბერს აფხაზური მოტოდელტაპლანების პირველი საბრძოლო გაფრენა შედგა. იმ დღეს პილოტი სირაძე ბაბუშერის აეროდრომის დასაზვერად გაფრინდა. ოთხი დღის შემდეგ კი მას გაგრაში ქართული ჯავშანტექნიკის დაბომბვა დაავალეს. 4სთ და 15წთ-ზე პილოტმა რაციით გადასცა, რომ სამიზნეზე 50კგ-იანი ბომბი ჩამოაგდო და უკან ბრუნდება, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ ის კვლავ კავშირზე გამოვიდა, ცენტრს აუწყა, ძრავა ცუდად მუშაობსო. ამის შემდეგ ის კავშირზე აღარ გამოსულა. როგორც შემდგომ გაირკვა, გაჩერებულძრავიანმა მოტოდელტაპლანმა ვერ შეძლო ნაპირამდე პლანირებით მიღწევა და ზღვაში ჩავარდა. პილოტი სიკვდილის შემდგომ აფხაზეთის გმირის წოდებით დაჯილდოვდა.

23 ოქტომბერს პილოტმა ავიძბამ 400მ-ის სიმაღლიდან ქართულ საჯარისო შენაერთზე 30კგ-იანი ბომბი ჩამოაგდო, 4 დეკემბერს კი სოხუმის მე-15 საშუალო სკოლის შენობაში განთავსებულ ქართული გვარდიის შტაბზე — 73კგ-იანი ბომბი.

1993 წლის 2 იანვარს მფრინავებმა ავიძბამ და ჭანბამ მოტოდელტაპლანებით სოფელ კამანთან განლაგებულ აფხაზურ შენაერთებს პროდუქტი ჩაუტანეს. დიდთოვლობის გამო ვერ შეძლეს დაჯდომა და კონტეინერებში განთავსებული 100კგ ტვირთი 8-10მ-ის სიმაღლიდან გადმოყარეს. ომის შემდგომ ავიძბას ინიციატივით მოტოდელტაპლანები საზღვრების პატრულირებისთვის გამოიყენებოდა.

დელტაპლანების გამოყენების დაწყებისთანავე აფხაზებმა, პრაქტიკულად, რესურსგასული თითო Ан-2 და Ми-2 იშოვეს. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ისინი ДОСААФ-ის ერთ-ერთი აეროკლუბის საკუთრება იყო. ალბათ, იქვე იყო რეკვიზირებული ან ნაყიდი რამდენიმე სპორტული Як-52-ც.

საბრძოლო მოქმედებების გაშლამ ცხადყო, რომ საავიაციო საშუალებები არასაკმარისი იყო და აფხაზეთში ჩეჩნეთიდან ჯოჰარ დუდაევის ნაჩუქარი ხუთი სასწავლო-საბრძოლო L-39 გადმოფრინდა. დუდაევის განკარგულებაში 150-მდე ამ ტიპის თვითმფრინავი და 50-60 პილოტი იყო. ასე რომ, მას თავისუფლად შეეძლო ხუთი თვითმფრინავის გაჩუქება. ამგვარად L-39 „ალბატროსები“ პირველი აფხაზური საბრძოლო თვითმფრინავები იყვნენ. ისინი გუდაუთის რაიონში, სოჭი-სოხუმის ავტომაგისტრალზე მოწყობილ იმპროვიზებულ აეროდრომზე ბაზირებდნენ. საბრძოლო დავალებებზე, როგორც წესი, 57მმ-იანი უმართავი რაკეტების გამშვები ორი УБ-16-57 ტიპის ბლოკებით მიფრინავდნენ.

პარალელურად, აფხაზები ცდილობდნენ, ხელთ არსებული სპორტული Як-52-ები საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად გამოეყენებინათ. ვიაჩესლავ ეშბას ინიციატივით ამ თვითმფრინავებზე ტყვიამფრქვევები დამონტაჟდა.

ეშბამ 1970 წელს ეგოროვის საავიაციო-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა, 1973-ში — კრემენჩუგის საფრენოსნო სასწავლებელი, 1983-ში კი ლენინგრადის სამოქალაქო ავიაციის



აფხაზური სამხედრო-საჰაერო ძალების მეორე სარდალი ვიაჩესლავ ეშბა



ომის პერიოდში ეს Ан-2 ჩეჩნეთს ხშირად სტუმრობდა, საიდანაც ტყვია-წამლით დატვირთული ბრუნდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკადემია და სამოქალაქო ავიაციის სოხუმის ავიარაზმის მეთაურად დაინიშნა. მან, აფხაზეთის ომში პირველმა, გადაკეთებული Як-52-ით შეასრულა საბრძოლო გაფრენა. სულ კი ომის დასრულებისთვის დაახლოებით 80 გაფრენა ჰქონდა.

ხშირად საბრძოლო გაფრენებისას აფხაზი პილოტები Як-52-ის კაბინიდან ხელყუმბარებსაც აგდებდნენ. მაღალი სამანევრო შესაძლებლობების წყალობით ამ პატარა თვითმფრინავისთვის ცეცხლსასროლი იარაღის მიზანში მოხვედრება არც ისე ადვილი იყო. თუმცა 1993 წლის 3 ივლისს (სხვა ვერსიით, 4 ივლისს) ქართულმა საჯარისო დანაყოფებმა სოხუმთან ერთ-ერთი Як-52-ის ჩამოგდება შეძლეს.

1993 წლის 16 იანვარს ქვემო ეშერასთან საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Бук-ის რუსულმა გათვლამ ამოუცნობი Су-25 ჩამოაგდო. როგორც გაირკვა, ეს აფხაზური „ალბატროსი“ იყო, რომლის კაბინაშიც სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ოლეგ ჭანბა დაიღუპა. მიზეზი საკმაოდ ბანალური გამოდგა — ამოუცნობი თვითმფრინავის აღმოჩენის შემდეგ



რუსმა მეზენიტეებმა აფხაზებს მიმართეს. ფრონტის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე პასუხისმგებელმა პირმა მათ შეატყობინა, რომ აფხაზური თვითმფრინავები ჰაერში არ იყვნენ. რუსული „ბუკიდან“ ნასროლი რაკეტა სასწავლო „ალბატროსისთვის“ სასიკვდილო აღმოჩნდა.

ჭანბას დაღუპვის შემდეგ სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად ვიაჩესლავ ეშბა დაინიშნა, რომელიც ამ პოსტზე 2003 წლამდე იყო. შემდეგი ერთი წლის განმავლობაში კი ის ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პოსტზე იყო.

1993 წლის 14 ივნისს აფხაზეთის სამხედრო ავიაციამ Ми-8 ტიპის შვეულმფრენი დაკარგა (ეკიპაჟი — იგორ მოზგოვოი, იგორ მანტაია, როდიკ



Ми-8-ები ბომბორას აეროდრომზე



აფხაზეთი ერთადერთი ადგილია, სადაც მოტოდელტაპლანებს სამხედრო მიზნით იყენებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარბა, ლეონიდ პკინი), რომელმაც ალყაშემორტყმულ ტყვარჩელში ტყვია-წამალი წაიღო და იქიდან დაჭრილები უნდა წამოეყვანა. უეცრად აფხაზური საჯარისო შენაერთების შტაბში მოვიდა ცნობა, რომ შვეულმფრენი აფრენისთანავე ჩამოაგდეს. ბორტზე მყოფი 16 კაციდან ყველა დაიღუპა.

კიდევ ერთი Ми-8 აფხაზურ სამხედრო-საჰაერო ძალებს 1993 წლის 4 ივლისს გამოაკლდა. იმ დღეებში აფხაზური საჯარისო ფორმირებები სოხუმის დაბრუნებას ცდილობდნენ. ერთ-ერთი სიმაღლის დასაკავებლად გადაწყდა საშვეულმფრენო დესანტის გამოყენება. თუმცა ადგილზე მისული მედესანტეები ქართველი გვარდიელების ცეცხლში მოხვდნენ. ყუმბარსატყორცნით ნასროლმა ჭურვმა Ми-8-ს ჰიდროსისტემა დაუზიანა — ამის გამო აფრენა ველარ შეძლო და იქვე დაიწვა.

მთელი ომის განმავლობაში აფხაზურმა სამხედრო ავიაციამ ქართული პოზიციების დასაბომბად დაახლოებით 400-საათიანი ფრენა შეასრულა. ძირითადად, სოხუმის რაიონში. მარტოხელა „რეიდები“ შესრულდა ოჩამჩირეშიც, მაგრამ დაბომბვების გარეშე. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც აფხაზმა პილოტებმა ოჩამჩირეზე საჰაერო იერიში მიიტანეს, 1993 წლის ზამთარში იყო, როდესაც ერთმა თვითმფრინავმა ოჩამჩირის სტადიონის მახლობლად ორი OA-50-ის ტიპის ბომბი ჩამოაგდო, მეორემ კი უმართავი საავიაციო რაკეტებით რამდენიმე ზალპი გააკეთა (ყველა რაკეტა ზღვაში ჩავარდა). 1993 წლის ზაფხულში აფხაზური „ალბატროსები“ ღამღამობით ოჩამჩირის თავზე მანათობელ ბომბებს აგდებდნენ, რომლებსაც შემდგომ ქართველი მეზენიტეები ცხრილავდნენ.

ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში მყოფი ტექნიკის რაოდენობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. 2001 წლისთვის სამხედრო ავიაციის პირადი შემადგენლობა 250 კაცს ითვლიდა და მის განკარგულებაში ერთი МиГ-21, ერთი Су-25, ერთი Як-52, რამდენიმე Ан-2, ორი L-39 და ამდენივე Ми-8 იყო. თუმცა 2003 წლის აღლუმზე სამმა L-39-მა გადაიფრინა. ერთ-ერთმა, Ми-8-მ, საბორტო ნომრით „41“, რომელმაც 2003 წლის აღლუმზე აფხაზეთის დროშით გადაიფრინა, 2005 წლის 7 იანვარს კატასტროფა განიცადა. მისი ჩამოვარდნის მიზეზი ვერ გავარკვიეთ.

2001 წელს კოდორის ხეობაში გელაევის შემოჭრის შემდეგ, რუსეთმა ბომბორას აეროდრომზე 4 Су-25 გადმოისროლა, რომლებზეც ვარსკვლავების ნაცვლად აფხაზური დროშები იყო დახატული. გელაევის დაჯგუფების განადგურების მერე ისინი უკან, რუსეთში გაფრინდნენ.

ოფიციალური მონაცემებით, დღეისთვის აფხაზეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში ერთი МиГ-21, ერთი Су-25, ერთი Як-52, ორი Ан-2, ოთხი L-39C საბორტო ნომრებით „33 ყვითელი“, „34 ყვითელი“, „62 წითელი“, „71 წითელი“ (ჩვენ მიერ მოპოვებულ ერთ-ერთ ფოტოზე „71“-ე ბორტზე სითბური დამიზნების „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტა Р-60 ჰკიდია. შესაბამისად, ეს რაკეტა არ შედის L-39C-ს კომპლექტაციის შეიარაღებაში. სავარაუდოდ, აფხაზებმა ეს თვითმფრინავი ამ რაკეტის სატარებლად გადააკეთეს), ორი Ми-8, საბორტო ნომრებით „40“ (Ми-8МТ) და „42“ (Ми-8Т), სამი Ми-24 (მეორე მონაცემით — 9) და საბრძოლო მოტოდელტაპლანების რგოლი შედის. Ми-24-ების შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია გვაქვს, რადგან მათ საბორტე ნომრები და განმასხვავებელი ნიშნები არ აქვთ. სამაგიეროდ, ძრავას კაპოტებზე აფხაზური დროშები ახატიათ. ორი მათგანი Ми-24П მოდიფიკაციისაა, ერთ-ერთზე კი ეკრანულ-გამომბოლქვი მოწყობილობაა დაყენებული.

ინფორმაცია საავიაციო ტექნიკის ეკიპაჟების შესახებ საფრენ აპარატთა რაოდენობაზე უფრო მკაცრადაა გასაიდუმლოებული. დღეისთვის მოტოდელტაპლანების პირველი შემადგენლობიდან ცოცხალი აღარავინაა. სირაძე და ჭანბა დაიღუპნენ. ტორგაშოვი და კაპოვი მთებში Ан-2-ზე დაიმტვრნენ, არკადი ავიძბა კი რამდენიმე წლის წინ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

დღეს ზემოჩამოთვლილი საავიაციო ტექნიკა ბაბუშერის აეროდრომზეა ბაზირებული. აქვეა აფხაზეთის ომის დროს დაზიანებული Ту-134 და შევარდნაძის ყოფილი პირადი სამთავრობო Як-40. სეპარატისტების ავიაციას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სამხედრო აღლუმებსა და სამხედრო წვრთნებში. აგვისტოს ხუთდღიან რუსეთ-საქართველოს ომში კი აფხაზური Ми-24-ები კოდორის ხეობაშიც გამოჩნდნენ.

*თემურ პულუზაშვილი*




სოხუმის აეროპორტში მდგარი შევარდნაძის ყოფილი პირადი სამთავრობო Як-40

# სულის ძლიერნი

**ომი რომ საშინელებაა, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ ომისშემდგომი პერიოდი ბევრისათვის ჯოჯოხეთად იქცევა. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმები მათ ცხოვრებაში გადაულახავ ბარიერად აღიმართება ხოლმე და უმრავლესობას ცხოვრების გაგრძელების სურვილს უკარგავს. თუმცა ცხოვრება, გვინდა თუ არა, მაინც გრძელდება და ყველა ჩვენგანმა უნდა შეძლოს საკუთარ თავში იმ ძალისა და ენერგიის მოძებნა, რაც ომის საშინელებას დაგვავიწყებს და მომავლისკენ გაგვახედებს.**

**ამჯერად „არსენალი“ წარსული მსოფლიო ომების რამდენიმე გამორჩეული მებრძოლის შესახებ გიამბობთ. რამდენიმე-მეთქი, იმიტომ ვამბობთ, რომ სინამდვილეში უამრავი არიან და მოთმინებით ელიან იმ დროს, როცა მათი ნაღვაწი საკადრისად დაფასდება. მაშ ასე:**

## დუგლას რობერტ სტიუარტ ბეიდერი

ბეიდერი ლონდონში დაიბადა. ბიძამისი სირილ ბერჯი პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის სამეფო-საჰაერო კორპუსის პილოტი იყო. ამიტომ არავინ გაოცებულა, როდესაც ახალგაზრდა ბეიდერი კრენუელის სამეფო-საჰაერო ძალების სკოლაში შევიდა. გულდასმით სწავლასთან ერთად, კარგი სპორტსმენიც იყო — კრიკეტსა და რაგბიში სამხედრო-საჰაერო ძალების ნაკრებში თამაშობდა.



1930 წელს, სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, დუგლასი კენლის 23-ე ესკადრილიაში გაგზავნეს, სადაც ძალიან მალე უმაღლესი პილოტაჟის ოსტატის წოდება მოიპოვა. მას განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა უმაღლესი საპილოტაჟო ფიგურა „კასრის“ შესრულება, თანაც წარმოუდგენლად დაბალ – თხუთმეტ მეტრ სიმაღლეზე. მისი ეს მიღწევა დღესაც დაუძლეველია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ექსტრაკლასის პილოტებისათვის.

ესკადრილიაში ჩარიცხვიდან ერთი წლის შემდეგ, სავარჯიშო ფრენისას, ბეიდერის ბიპლანის ფრთა მიწას წამოედო. თვითმფრინავი მიწას დაენარცხა და ნამსხვრევებად იქცა. მფრინავი გადაარჩინეს, ექიმებს მისთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ორივე ფეხის მოკვეთა მოუხდათ: ერთი მუხლზევით, მეორე — ქვემოთ.

ბეიდერი გამოჯანმრთელდა, მაგრამ რომ გაიგო, ინვალიდად იქცა, თავის მოკვლა სცადა. ამ შემთხვევამ სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობის ყურადღება მიიპყრო და უფროსობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — ბეიდერს ნება დართეს სამეფო ავიაციის შემადგენლობაში დარჩენილიყო, თუმცა მხოლოდ ხმელეთზე სამუშაოებისათვის.

ექიმებმა მისთვის პროთეზები დაამზადეს და დუგლასმა თავიდან ისწავლა სიარული. ნახევარი წლის შემდეგ იგი უკვე მყარად იდგა „ახალ“ ფეხებზე და სწავლობდა ავტომანქანის მართვას, მეუღლესთან — ტელმასთან ცეკვას და... თვითმფრინავის მართვას. 1932 წელს (ყურადღება მიაქციეთ, მკითხველო, საბედისწერო შემთხვევიდან მხოლოდ ერთი წელია გასული) ბეიდერმა გადაწყვიტა, რა თქმა უნდა, არაოფიციალურად — ბიპლანით საკონტროლო გაფრენა შეესრულებინა. მისი მეგობარი, რომელიც უკანა კაბინაში იჯდა, თვალს ადევნებდა ბეიდერს აფრენიდან დაჯდომამდე. ამ შემთხვევიდან ცოტა ხნის შემდეგ გმირმა მფრინავმა ოფიციალური პირებისგან




ბეიდერი და მისი გამანადგურებელი

მისი ფრენის ტექნიკის შემოწმება მოითხოვა. გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა და ბეიდერი ისევ მიავლინეს პილოტაჟის ცენტრალურ სკოლაში. მომდევნო გაფრენაც წარმატებით დამთავრდა, მაგრამ სამხედრო ექიმები კატეგო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რიულები იყვნენ: უფეხო არ შეიძლება სამხედრო მფრინავი ყოფილიყო.

1933 წელს ბეიდერი სამხედრო-საჰაერო ძალებიდან დაითხოვეს და ოცდაორი წლისას ინვალიდობის პენსია დაუნიშნეს. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ბეიდერი შელის ნავთობკომპანიაში მუშაობდა, ხოლო თავისუფალ დროს კერძო აეროკლუბებში ატარებდა და სხვადასხვა თვითმფრინავს ცდიდა.

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. თავიდან ინგლისელებს გაუჭირდათ გერმანულ მძლავრ სამხედრო მანქანასთან დაპირისპირება. ბრიტანელებს უმაღლესი კლასის სამხედრო თვითმფრინავები ჰყავდათ, მაგრამ პილოტების ნაკლებობას უჩიოდნენ და დუგლას ბეიდერმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. ოქტომბერში — ომის დაწყებიდან ერთ თვეში — გაიარა საფრენოსნო-სამედიცინო კომისია, სადაც კატეგორია „ვარგისია უვადოდ“ მიიღო და მე-19 გამანადგურებელთა ესკადრილიაში ჩაირიცხა. ძალიან მალე 221-ე ესკადრილიის ერთ-ერთი რგოლის მეთაურად დანიშნეს. ამ ესკადრილიასთან ერთად საფრანგეთის ცაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდა, ხოლო საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც მაიორის წოდება მიანიჭეს და ახალი, 242-ე ესკადრილიის მეთაურად დანიშნეს. საფრანგეთის კამპანიის შემდეგ ესკადრილია თითქმის განადგურდა, მაგრამ მალე ბეიდერმა მისგან მრისხანე სამხედრო ძალა ჩამოაყალიბა. საბრძოლო დამსახურებისათვის მფრინავმა პოდპოლკოვნიკის წოდება დაიმსახურა და ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარის ჩამკეტი ავიაფრთა „ტანგმერის“ მეთაურობაც ჩაიბარა. ბრიტანელი პილოტები ამ საჰაერო კორიდორს „ავტობუსის მარშრუტს“ უწოდებდნენ, რადგან მასზე მოქმედებდა ბეიდერის მიერ ჩამოყალიბებული კანონი: „ყველას უნდა ჰქონდეს უკან დასაბრუნებელი ბილეთი“. თვით ბეიდერს ამ დროისათვის უკვე ჩამოგდებული ჰქონდა ფაშისტების 22 თვითმფრინავი. მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, მფრინავ-ასს ორივე კიდური მოკვეთილი ჰქონდა.

1941 წლის 9 აგვისტოს საფრანგეთის თავზე ბეიდერი მტრის ლიუფტვაფეს გამანადგურებელ ჯგუფში შემავალ ექვს „მესერშმიტ BF-109“-სთან უთანასწორო საჰაერო ბრძოლაში ჩაება. ფაშისტებს გერმანელი ასი — ადოლფ გალანდი მეთაურობდა. ბეიდერმა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო, მაგრამ როცა ჯვარედინ ცეცხლში მოხვდა, მისი „სპიტფაიერიც“ აალდა. მფრინავს პარაშუტით გადმოხტომა თუ გადაარჩენდა, მაგრამ ერთ-



ერთი პროთეზი სკამსა და ფიუზელაჟის ბორტს შორის გაეჩხირა. ბეიდერმა პროთეზი მოიხსნა და უკანასკნელ წამს, სანამ თვითმფრინავი მიწას დაასკდებოდა, გადმოხტა. პარაშუტი მიწასთან ახლოს გაიხსნა და მფრინავმა შეჯახებისას მეორე პროთეზიც დაკარგა (სამად გახლეჩილი ეს პროთეზი დღესაც ინახება საფრანგეთის სახელმწიფო მუზეუმში). ბეიდერი გერმანელებმა დაატყვევეს და მისი გმირობით აღფრთოვანებულებმა თავიანთი ოფიცრებისათვის განკუთვნილ ჰოსპიტალში მოათავსეს, სენტ-ომერში.

ბეიდერის შემდეგი თავგადასავალი თითქმის დაუჯერებელ ამბავს ჰგავს, მაგრამ მის უტყუარობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რადგან გერმანელებმა ყველაფერი დაწვრილებით აღწერეს. ადოლფ გალანდი მფრინავების ღირსების კოდექსით ხელმძღვანელობდა და დატყვევებული გმირის დახმარება გადაწყვიტა. გერმანელებმა ბეიდერს თვითმფრინავში დარჩენილი პროთეზი მიუტანეს, მეორე, დაზიანებული კი მექანიკოსებმა აღადგინეს და იმავე საღამოს, როცა მფრინავმა სიარული შეძლო, ოფიცერთა სასადილოში მიიწვიეს. პატივისცემის ნიშნად გალანდმა უფლება მისცა ბეიდერს თავისი BF-109-ის კაბინაში ჩამჯდარიყო და აჩვენა კიდეც, როგორ შეიძლებოდა თვითმფრინავის მართვა. ბეიდერმა სთხოვა გერმანელ მფრინავს, შეხაძლებელი იქნებოდა თუ არა მისთვის ინგლისიდან პროთეზების გამოგზავნა. საქმეში თვით რაიხსმარშალი გერინგი ჩაერთო. მისი ბრძანებით ბრიტანელებს საერთაშორისო რადიოტალღაზე თხოვნა გადასცეს და ამასთან, მისცეს გარანტია, რომ თვითმფრინავს,



მერესიევი და მისი Ла-5

რომელიც ბეიდერისათვის პროთეზებს ჩამოიტანდა, არავინ ესროდა. ამანათის ჩამოტანამ და ტყვისთვის გადაცემამ მშვიდობიანად ჩაიარა. ბეიდერმა მოირგო პროთეზები და... მეორე დღეს ბანაკიდან გაიქცა. თუმც, შორს ვერ წავიდა — ერთი დღის შემდეგ გერმანელებმა მისი დაჭერა მოახერხეს და ციხეში ჩასვეს. ამის გამო ბეიდერი ამოიღეს ტყვეების გაცვლის პროგრამიდან, რომელიც საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზებული იყო. გერმანელთა ტყვეობიდან გაქცევა ბეიდერმა რვაჯერ სცადა, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ კოლდიცის ტყვეთა ბანაკიდან მეცხრე გაქცევამ გაუმართლა, ერთი კვირის განმავლობაში გლეხის სახლში იმალებოდა. მერე კი, 1945 წლის 14 აპრილს, კოლდიცი ამერიკელებმა აიღეს და ბეიდერის ოთხწლიანი წამებაც დასრულდა. ბეიდერს ავიაციაში დაბრუნება სურდა, მაგრამ უარი უთხრეს, პოლკოვნიკის ჩინი მისცეს და საშტაბო სამუშაოზე გადაიყვანეს.

თავადაც ინვალიდმა, რომ გაიგო, ამერიკელების ტყვეობაში გატეხილი პროთეზის გამო ძალიან იტანჯებოდა გერმანელი მფრინავი ჰანს-ულრიხ რუდელი, მიაღწია მის გადაყვანას ინგლისელთა საოკუპაციო ზონაში, თავისი ხარჯით ლონდონიდან გამოიძახა ორთოპედი და გერმანელისთვის პროთეზი შეუკვეთა.

ომის შემდეგ დუგლას ბეიდერი ერთხანს მფრინავ-გამანადგურებელთა საფრენოსნო სკოლას ხელმძღვანელობდა, მერე კი ისევ ნავთობკომპანია „შელლს“ დაუბრუნდა. აქ მას — ომის გმირს ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტი შესთავაზეს და პირადი თვითმფრინავიც უყიდეს. 1976 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II-მ გმირი რაინდად აკურთხა.

დუგლას ბეიდერი მრავალი ორდენის კავალერია; მის ცხოვრებაზე შესახებ უამრავი წიგნია დაწერილი, გადაღებულია სრულმეტრაჟიანი ფილმი. ის 1982 წელს, 72 წლისა, გულის შეტევით გარდაიცვალა ავტომობილის საჭესთან, რომლითაც ლონდონის გარეუბანში მიემგზავრებოდა საფრენოსნო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ალექსანდრ მარესიევი

საბჭოთა კავშირის მომავალი გმირი 1916 წლის 20 მაისს, ვოლგისპირა პატარა ქალაქ კამიშინაში დაიბადა. მამა — პეტრე მარესიევი პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ნახევრად ცოცხალი დაბრუნდა შინ და მალე გარდაიცვალა. ალექსანდრეს მაშინ სამი წელი შეუსრულდა. დედამ გაჭირვებაში გაზარდა სამი ბიჭი, ბაშვობიდანვე შეაჩვია შრომას, უნერგავდა სამართლიანობისა და ღირსების გრძნობას. რვა კლასის დამთავრების შემდეგ ალექსანდრი ზეინკლის ხელობას დაეუფლა, შემდეგ კი საფრენოსნო სკოლაში შეიტანა განცხადება, მაგრამ ინსტიტუტის ნაცვლად ტაიგაში, ამურზე უკრეს თავი კომკავშირის საგზურით, სადაც ახალ ქალაქს ამურის კომსომოლსკს აშენებდა საბჭოთა ხელისუფლება. დილიდან ღამემდე ჭრიდნენ ხეებს, აგებდნენ ჯერ ბარაკებს, შემდეგ — საცხოვრებელ კვარტალებს. მხოლოდ იქ შეძლო ალექსანდრმა ოცნების ასრულება — აეროკლუბის წევრი გახდა. ერთდროულად სწავლობდა და მუშაობდა კიდეც. 1937 წელს არმიაში გაიწვიეს და მისი დაჟინებული თხოვნით ავიანაწილში გაანაწილეს. თავიდან თვითმფრინავის კუდის გაწმენდის მეტს არაფერს ავალებდნენ, სამი წლის შემდეგ კი ალექსანდრი ბატაისკის მფრინავთა სკოლაში შევიდა. მერე ინსტრუქტორად დატოვეს და სწორედ იქ მოუსწრო ომმა.

პირველმა საბრძოლო გაფრენამ კრივოი-როგის რაიონში მოუწია 1941 წელს. მიზანზე რომ გავიდა, ორმოცი მეტრის სიმაღლეზე დაეშვა და მცელავი ფრენით მოწინააღმდეგეზე იერიში მიიტანა. შეასრულა საბრძოლო დავალება და აეროდრომზე დაბრუნდა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ჩაიწერა მარესიევმა თავის ანგარიშზე მტრის პირველი ჩამოგდებული თვითმფრინავი — JU.52. „მტრის სატრანსპორტო „იუნკერსი“ სამიზნის ცენტრში აღმოჩნდა, ღილაკზე თითის დაჭერა და ორად გაპობილი ფაშისტების თვითმფრინავი მიწას დაენარცხა“, — იხსენებდა შემდგომ ახალგაზრდა მფრინავი ლეიტენანტი. ორმოცდაორი წლის მარტის ბოლომდე მარესიევმა მტრის კიდევ სამი ჩამოგდებული თვითმფრინავი ჩაიწერა აქტივში. რამდენიმე დღის შემდეგ კი მისი თვითმფრინავი დააზიანეს — ძრავა გაჩერდა, პილოტმა მიწისაკენ პლანირება დაიწყო დასაჯდომი ადგილის შესარჩევად. წინ, ტყის შუაგულში, პატარა თეთრი კუნძული გამოჩნდა — თოვლით დაფარული ჭაობიანი ადგილი. ალექსანდრმა თვითმფრინავი ამ ადგილისკენ მიმართა, მაგრამ თვითმფრინავს ძალა აღარ ეყო და ფიჭვებს დაეცა...

მტრის ზურგში ჩამოვარდნილი მფრინავის შემდგომი ბედი, მისი 18-დღიანი მამაცური ბრძოლა სიკვდილთან და მოტეხილ-მოყინული ფეხებით თავისიანებისკენ ხოხვით გზის გაგრძელება — ყველაფერი ეს ბორის პოლევოის წიგნში „მოთხრობა ნამდვილ ადამიანზე“ არის აღწერილი და ფილმიც გადაიღეს. სხვათა შორის, წიგნიც და ფილმიც მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ იხილა ხალხმა. მანამდე კი საბჭოთა პროპაგანდისტებმა ორივე დაბლოკეს. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ თითქოს გერმანელები გამოიყენებდნენ ამ ამბავს, ნახეთ, საბჭოთა ჯარები რა მდგომარეობაშია, ინვალიდებიც კი გამოჰყავთ საბრძოლველადო.

...გარდაუვალი სიკვდილისგან მარესიევი სოფელ პლავნის მცხოვრებლებმა იხსნეს, მაგრამ ფეხებზე განგრენა დაეწყო. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. სასწაულით გადაიყვანეს ფრონტის ხაზზე, მაგრამ დროული სამედიცინო ჩარევის დაგვიანების გამო...

ყველაფერი, რაც შემდეგ გადახდა უფროს ლეინტენანტ მარესიევს — ჰოსპიტალიზაცია, ორივე ფეხის ტერფების მოკვეთა, პირველი ნაბიჯები პროთეზის დახმარებით, სამხედრო-სამედიცინო კომისიის სიკვდილის ტოლფასი განაჩენი, ბრძოლის თავიდან დაწყება იმისათვის, რომ კვლავ ცაში აჭრილიყო — უდიდესი გმირობაა. ამის გაკეთება მხოლოდ რკინის ნებისყოფისა და უდიდესი გამძლეობის მქონე კაცს შეეძლო. დასასრულ, ყველა ბარიერის გადალახვის შემდეგ, თვით სიკვდილის ჯიბრზეც კი, 1943 წელს მარესიევი საბრძოლო საფრენოსნო მწკრივს დაუბრუნდა. ეს მისი მეორე ცხოვრება გახლდათ. იგი ლეგენდას ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში — ეს ნამდვილი ადამიანის ნამდვილი მიწიერი ცხოვრებაა.

1943 წლის ივნისში პროთეზებზე შემდგარი უფროსი ლეინტენანტი მარესიევი



შარლ ეჟენ ჟიულ მარი ნიუნჟესერი და მისი საფირმო ლოგოთი შემკული თვითმფრინავი



63-ე საავიაციო პოლკში მიავლინეს, რომელიც ბრიანსკის ფრონტზე იმყოფებოდა. კურსკის სისხლისმღვრელ ბრძოლას დაემთხვა მისი დაბრუნება, იმ ბრძოლას, როცა ნებისმიერი პილოტი, ალბათ, არ გარისკავდა ინვალიდის მეორე პილოტად — მიმმართველად წაყვანას. დიდხანს არ უშვებდნენ თვითმფრინავში, შემდეგ უფლება მისცეს მხოლოდ მაშინ აფრენილიყო, როცა საბჭოთა თვითმფრინავები დავალებიდან ბრუნდებოდნენ და მათი დაცვა უნდა უზრუნველეყო დაშვებისას. ბოლოს მაინც თავისი გაიტანა. ესკადრილიის კაპიტანმა თავისი რისკის ფასად უფლება მისცა, მასთან ერთად გაფრენილიყო. სწორედ ამ კაპიტნის თვალწინ, პირველივე აფრენისას ჩამოაგდო მოწინააღმდეგის თვითმფრინავი BF-109 მარესიევმა. კურსკთან ბრძოლებში უფეხო მფრინავმა დაამტკიცა, რომ არა მარტო შეეძლო საბრძოლო გამანადგურებლის მართვა, არამედ გამარჯვებული გამოსულიყო გერმანელ ასებთან ბრძოლაშიც. 1943 წლის აგვისტოს ბრძოლებში მან ერთიმეორის მიყოლებით მტრის სამი FW-190. ჩამოაგდო. ამ გამარჯვებას მან საბჭოთა უახლესი გამანადგურებლით Ла-5-ით მიაღწია. აგვისტოშივე მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. შემდეგ კი ბრძოლამ ბალტიისპირეთში გადაინაცვლა. მარესიევმა 87 საბრძოლო გაფრენა შეასრულა. სულ მის ანგარიშზე მტრის თერთმეტი ჩამოგდებული თვითმფრინავია. ტერფების ამპუტაციის შემდეგ გმირმა მფრინავმა ფაშისტების შვიდი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

1944 წელს მარესიევს შესთავაზეს უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ინსპექტორ-მფრინავად გადასვლა და ის დათანხმდა. გმირი მფრინავი ბოლოს ცაში სასწავლო У-2-ით აფრინდა 50-იანი წლების დასაწყისში. ამით მისი გმირული ეპოპეა დასრულდა და სამოქალაქო ცხოვრება დაიწყო. დაამთავრა უმაღლესი პარტიული სკოლა, მუშაობდა უმაღლეს სასწავლებლებში, ვეტერანთა კომიტეტში. ალექსანდრ მარესიევი 85 წლისა გარდაიცვალა, 2001 წელს, მისი საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საღამოს გახსნამდე რამდენიმე წუთით ადრე.

## შარლ ეჟენ ჟიულ მარი ნიუნჟესერი

შარლ ნიუნჟესერს XVII ან XVIII საუკუნეში რომ ეცხოვრა, ალბათ, მეკობრე იქნებოდა. თავგადასავლების მოყვარული ახალგაზრდა სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა, სადაც მოტორალიში მონაწილეობდა და ფრენაც ისწავლა. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, ჰუსარებს შეუერთდა. პირველივე ბრძოლაში ისახელა თავი – ხელში ჩაიგდო გერმანელების საშტაბო მანქანა, რომელიც შემდეგ ფრონტის ხაზზე გადაიყვანა. ამით მან „სამხედრო მედალი“ და სამხედრო-საჰაერო ძალებში გადაყვანა დაიმსახურა.

ნიუნჟესერმა 1915 წლის 8 აპრილს დაიწყო სამსახური 106-ე ესკადრილიაში, რითაც დიდად კმაყოფილი გახლდათ. ძალიან ხშირად მისი ძველებური თვითმფრინავი „ვუაზენი“, თავის ქალათი და გადაჯვარედინებული ძვლების სურათით შემკული, ძალზე იყო დაზიანებული, მაგრამ თავად ყოველთვის ნაკაწრის გარეშე გამოდიოდა ბრძოლიდან. ნიუნჟესერი ყოველთვის ბრძოლაში მიიწევდა. ერთხელ იძულებული გახადა მტრის „ალბატროსი“ ნანსის მახლობლად დაშვებულიყო. თავისი სიმამაცის წყალობით ერთადგილიან თვითმფრინავზე დაჯდომის უფლება მოიპოვა. ნოემბერში 65-ე ესკადრილიაში გადაიყვანეს, რომელიც ახალი თვითმფრინავებით — „ნიუპორებით“ იყო აღჭურვილი. აქაც გამოიყენა თავისი ახალი პირადი ნიშანი — ფიუზელაჟზე მიხატული სიმბოლური სურათი — თეთრი კუბო, ორი ანთებული სანთელი, თავის ქალა და ძვლები, რომლებიც შავი გულის ფონზე იყო მოთავსებული.

მეორე გამარჯვებას ნიუნჟესერმა 28 ნოემბერს მიაღწია. მან მოხერხებული მანევრირების შედეგად შეძლო ქვემოდან შესძრომოდა მტრის თვითმფრინავს, ჩარჩოსთან ერთად თავისკენ მოსწია ლუისის ტყვიამფრქვევი (იმჟამინდელი ახალი გამოგონება, რომელიც ქვემოდან ზემოთ სროლის საშუალებას იძლეოდა) და მტრის თვითმფრინავის ფსკერი ოცდაოთხი ტყვიით დაცხრილა.

მისი გამარჯვებების რიცხვი თანდათან იზრდებოდა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი შემთხვევიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ იგი ახალი ბიპლანის გამოცდისას ჩამოვარდა: ორივე ფეხი მოსტყდა (ერთზე ტერფის ამპუტაცია გახდა საჭირო) და დამსხვრეული ჰქონდა სასის ძვლები, რის გამოც მისი ლაპარაკის გარჩევა ჭირდა. მიუხედავად ამისა, ორი თვის შემდეგ ნიუნჟესერი კვლავ ჩაება ომში, მაგრამ მისი გამარჯვებების კვალდაკვალ იმატებდა და იმატებდა ჭრილობების რაოდენობაც. ტყვიით მიყენებულმა ჭრილობამ დიდი ნაიარევი დაუტოვა ტუჩზე, ქვედა ყბა მოტეხილი ჰქონდა, ერთი კიდურის მუხლი შენაცვლებული, მაგრამ ჰოსპიტლიდან იგი ისევ და ისევ, ბრძოლისაკენ ისწრაფოდა. ბევრჯერ ყავარჯნების დახმარებით მიდიოდა თვითმფრინავამდე.

სხვა პილოტები მტრის თვითმფრინავს სწრაფ დარტყმას მიაყენებდნენ და შემდეგ ბრძოლის ველს ტოვებდნენ, ნიუნჟესერი კი ასე არასდროს მოქცეულა. ის გახდა იმ ადამიანის სიმბოლო, რომლის სიცოცხლე ყოველთვის ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ამასთან, მდგომარეობიდან გამოსავალს ყოველთვის პოულობდა.

1917 წლის აგვისტოში იმდენად გამოფიტული იყო, რომ ხშირად საკაცით მიუყვანიათ თვითმფრინავამდე. შტურვალის ხელში აღებისას კი სასწაული ხდებოდა — მფრინავი მხნედ გრძნობდა თავს და საბრძოლო დავალების შესასრულებლად მიფრინავდა. ერთი თვის შემდეგ მან „ჰალბერშტადტთან“ დამარცხება იწვნია. დროებითი დასვენების მიზნით საფრენოსნო სკოლაში გადაიყვანეს, მაგრამ აქაც არ მოისვენა — დეკემბერში საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც აჯობა სიკვდილს. არადა, ორივე მანქანისგან მხოლოდ ჯართი იყო დარჩენილი. თავისი ბოლო გამარჯვება მან 1918 წლის 15 აგვისტოს მოიპოვა და მის ანგარიშზე მტრის ორმოცდამეხუთე ჩამოგდებული თვითმფრინავი ჩაიწერა. როგორც ამბობენ, ნიუნჟესერმა სულ მტრის სამოცდათვრამეტი თვითმფრინავი გაანადგურა. გამარჯვებათა უმრავლესობას „ნიუპორის“ სხვადასხვა მოდელის თვითმფრინავებზე ფრენისას მიაღწია, მას „სპადის“ ტიპის თვითმფრინავითაც უფრენია.

თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ უშიშარი იყო, პირველ რიგში ეს ნიუნჟესერზე ითქმის. მას კოხტაობა უყვარდა და ჩვევად ჰქონდა, ყველა მოპოვებული ჯილდო მკერდზე ეტარებინა. თუმც ეფექტს მეტად აფუჭებდა მისი გამოხატული კოჭლობა, რის გამოც სიარულისას მედლები წკარუნებდა. ნიუნჟესერი ვერ შეეგუა მშვიდობიან ცხოვრებას. საფრენოსნო სკოლასა და საჩვენებელ გამოსვლებს მისი დაკმაყოფილება არ შეეძლო. და, ბოლოს, 1927 წლის 8 მაისს, ის და ორი ამერიკელი პილოტი ატლანტის ოკეანის გადასალახავად გაფრინდნენ. მას შემდეგ, ისინი აღარავის უნახავს...

აი, ასეთები იყვნენ და არიან ომის ჯოჯოხეთში გამობრძმედილი მეომრები... იცით, სანამ სიტყვა „ასეთებს“ დავწერდი, დიდხანს ვიფიქრე მის ნაცვლად რა დამეწერა: მამაცები?.. ვაჟკაცები?.. გმირები?.. უდრეკნი?.. მედგარნი?.. სამშობლოსათვის და თავიანთი საქმისთვის თავდადებულნი?.. უცებ თავში თითქოს სინათლე შემოიჭრა — აჰა, ისინი სულით ძლიერნი იყვნენ და არიან, რამეთუ სული არის ყველაფრის თავიდათავი და მამოძრავებელი. დიახ, სულით არ დაცემულან და სწორედ სულიერი სიმტკიცით გაიტანეს ომის შემდგომი ცხოვრების ღელო.

*დევი დევიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის არმიის ჯავშანმობილები ქართულ-რუსულ ომში



საკომენდანტო სამსახურის „ვოდნიკი“

**საქართველოში შემოჭრილი რუსეთის არმიის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის შენაერთებისა და ქვედანაყოფების საავტომობილო ტექნიკა მრავალფეროვანი იყო. სამხედრო კოლონებში ძველ, ჯერ კიდევ 45 წლის წინ შექმნილ მოდელებთან ერთად შედარებით ახალი მოდელის ავტომობილებსაც ნახავდით.**

ცხინვალის რეგიონში რუსებმა შემოიყვანეს რამდენიმე წლის წინ გორკის სახელობის ავტოქარხანა „გაზ“-ში შექმნილი მაღალი გამავლობის ახალი ავტომობილები „ტიგრი“ და „ვოდნიკი“.

რუსი კონსტრუქტორები „ტიგრზე“ არაბთა გაერთიანებული საამიროების სამხედრო უწყების შეკვეთით მუშაობდნენ, თუმცა დამკვეთი კერძო კომპანია BJG იყო. ავტომობილის პირველი მოდელი აბუ-დაბიში 2001 წელს იარაღის საერთაშორისო გამოფენა IDEX-2001-ზე წარადგინეს.

რატომღაც არაბებმა თანამშრომლობაზე უარი თქვეს და მუშაობა დამოუკიდებლად ამჯობინეს. ამის შემდეგ გაჩნდა ავტომობილის ორი განსხვავებული მოდელი — რუსული „ტიგრი“ და არაბული NIMR-ი, რომელსაც ახლა კომპანია BJG და იორდანიული კომპანია KADDG-თან ერთობლივად აწყობენ.





იგოეთთან დაზიანებული დაჯავშნული „ურალი“ და ავტომობილის ძარაში ალმოჩენილი „ნაშოვნი“ ნივთები

„ტიგრის“ კონსტრუქციის დახვეწის შემდეგ, რუსებმა 2002 წელს მოსკოვის VII ავტომობილების საერთაშორისო გამოფენაზე გაუმჯობესებული 2330 მოდელი მრავალმხრივი დანიშნულების მობილური ავტომობილის სახით წარადგინეს.

ორ წელზე ცოტა მეტი დასჭირდა კონსტრუქციის სერიული წარმოებისათვის მომზადებას და 2005 წლიდან „ტიგრებს“ არზამასის მანქანათმშენებელი ქარხანა აწყობს. არზამასში ჯავშანტრანსპორტიორებსაც უშვებენ. წელიწადში დაახლოებით 500 ავტომობილის აწყობა იგეგმება.

„ტიგრი“ 2330 მოდელის ავტომობილების პირველი პარტია რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებს გადაეცა, სადაც სატრანსპორტო და ოპერატიულ-სამსახურებრივი დანიშნულებით გამოიყენება.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროსათვის 2975 მოდელის ავტომობილები მზადდება. სამხედრო „ტიგრი“ დაჯავშნულია და სახურავზე ხელის ტყვიამფრქვევი ან ავტომატური ყუმბარსატყორცნია დაყენებული. იტევს 2-დან 10 კაცს.

ცხინვალის რეგიონში შემოჭრილ რუს მოტომსროლელებსა და მედესანტეებს 2975 მოდელის რამდენიმე სამხედრო „ტიგრი“ ჰყავდათ. ავტომობილები, ძირითადად, სადაზვერვო ამოცანების შესასრულებლად გამოიყენებოდა.

2975 მოდელის ტვირთამწეობა 1,5 ტონას, ხოლო სრული წონა აღჭურვილ



რუსული „ტიგრი“, რომელიც ამერიკული „ჰამერის“ კონკურენტად არის შექმნილი

მდგომარეობაში 5,3 ტონას აღწევს. ჩონჩხი ლომჟერონის ჩარჩოს წარმოადგენს, რომელზეც დაჯავშნული კორპუსი და სხვადასხვა აგრეგატია დამაგრებული. დაჯავშნული კორპუსი თერმულად დამუშავებული 5მმ-იანი ჯავშანფურცლებისაგან იკვრება და ავტომობილის გვერდებს, ფსკერსა და სახურავს აერთიანებს. დაჯავშნული ავტომობილის წონა ჩვეულებრივ ფოლადისძარიან ავტომობილზე 700 კილოგრამით მეტია.

ჯავშანკორპუსი იმდენად მტკიცეა, რომ ჩარჩოზე უარის თქმა და ჯავშანტრანსპორტიორების მსგავსად აგრეგატების პირდაპირ ჯავშანკორპუსზე დამაგრება შეიძლება, მაგრამ უნიფიკაციის მიზნით ჩარჩო მაინც დატოვებულია. ჯავშანი პისტოლეტისა და ავტომატ AK-74-ის ტყვიებს უძლებს.

ავტომობილები 180-დან 215-მდე ცხენის ძალის ტურბოდიზელის ძრავებით აღიჭურვება. მაქსიმალური სიჩქარე საათში 125-დან 140 კილომეტრს შეადგენს. ორივე ხიდი წამყვანია და საბურავების ავტომატური დაბერვის სისტემა აქვს. შეუძლია 1,2 მეტრი სიღრმის თხრილისა და 45-გრადუსიანი ფერდობის დაძლევა და 30-გრადუსიანი დაგვერდებით მოძრაობა.

ავტომობილის საექსპლუატაციო მაჩვენებლების თაობაზე თავისი მოსაზრებები აქვს პროფესიულ ავტომრბოლელსა და ტექნიკურ მრჩეველს ირაკლი ჯაჯანაშვილს:

„რუსული „ტიგრი“ ამერიკული HMMWV-ის ანალოგად შეიქმნა და ორიგინალური კონსტრუქციით არ გამოირჩევა. ორივე ავტომობილს თითქმის ერთნაირი ზომები აქვს: სიგრძე, შესაბამისად, 4610 და 4686 მილიმეტრი, სიგანე — 2200 და 2197 მილიმეტრია, ხოლო სიმაღლე — 2000 და 2007 მილიმეტრი. ასევე ერთნაირია ავტომობილების კლირენსი — 400 მილიმეტრი. რუსებმა „ჰამერიდან“ ბევრი შტრიხი გადმოიღეს და „ტიგრზე“ არცთუ რიგიანად გადმოიტანეს, ამიტომ ავტომობილების დიზაინში მცირე განსხვავება თუ მოიძებნება. მართვის ბერკეტები და ხელსაწყოთა პანელი (დაფა) ჩვეული რუსული „ნაჯახური“ ნაკეთობაა. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ტიგრში“ ამერიკული ფირმა Cummins-ის ტურბოდიზელის ძრავები, ჩეხური ფირმა Praga-ს ექვსსაფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი და ცნობილი ფრანგული ფირმა Michelin-ის საბურავებია გამოყენებული. რუსული წარმოებიდან БТР-ის ტორსიონები, რედუქტორები და სხვა კვანძებია აღებული. „ტიგრს“ ახლა რუსები დიდ რეკლამას უკეთებენ და ავტომობილის მუშაობის გარანტიას -25-დან +50 გრადუსის ფარგლებშიც კი იძლევიან“.

ამერიკული „ჰამერის“ კონკურენტად დაბადებული „ტიგრით“ უკვე დაინტერესდა რუსული იარაღის ყველაზე დიდი იმპორტიორი ჩინეთი, რომლის არმიაში დღემდე „უაზის“ მარკის მოძველებული ავტომობილები გადაადგილების მთავარ საშუალებად რჩება. ასე რომ, ცოტა ხანში „ტიგრის“ ჩინურ ვერსიასაც ვნახავთ.

არზამასის ქარხანა „ტიგრის“ შასიზე 3937 მოდელის ყველგანმავალ-ამფიბია „ვოდნიკებსაც“ აწყობს. ავტომობილში შერწყმულია მაღალი გამავლობა, სისწრაფე და მანევრულობა. შეუძლია დიდ მანძილზე (საწვავის მარაგი 1000კმ-ზეა გათვლილი) გადაადგილება და ბრძოლაში მყისიერად (აქვს ტყვიამფრქვევით აღჭურვილი კოშკურა) ჩაბმა. „ვოდნიკის“ წონა 6,6-7,5 ტონაა და „ტიგრზე“ 500მმ-ით გრძელია. აქვს მაღალი კლირენსი 475მმ და მდინარეების გადალახვასაც ახერხებს.

„ვოდნიკებს“ ცხინვალის რეგიონში საკომენდანტო სამსახური სამხედრო ავტოინსპექციისათვის კოლონების გასაცილებლად და გზებზე მოძრაობის ორგანიზებისთვის იყენებდა. ამ დანიშნულებით „ვოდნიკებმა“ მოძველებული „გაზის“ 66 მოდელის სატვირთო ავტომობილები შეცვალეს.

რუსი აგრესორების სატვირთო ავტომობილების დიდ ნაწილს „ურალის“ მარკის ავტომობილები შეადგენდნენ. სხვადასხვა მოდელის „ურალებს“ შორის დაჯავშნული სატვირთო ავტომობილებიც შეიმჩნეოდა.

მიასის საავტომობილო ქარხნაში წარმოებული „ურალის“ მარკის ავტომობილებს რუსეთის შეიარაღებული ძალების საავტომობილო პარკის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია.

ქარხანამ სამწამყვანხიდიანი „ურალის“ შექმნაზე მუშაობა 1959 წელს დაიწყო. 1961-64 წლებში 375-ე მოდელი ტენტიანი კაბინით სერიულად გამოდიოდა.

1964 წლიდან ქარხანა „ურალის“ ახალ 375Д მოდელის გამოშვებაზე გადავიდა. ავტომობილს მთლიანად ლითონისაგან დამზადებული კაბინა და ძარა ჰქონდა, რომელიც უკანა ბორტით იხსნებოდა. ბრეზენტის ტენტის დასამაგრებლად ძარას რკალები და პირადი შემადგენლობის მისაღებად გვერდებზე ასაკეცი სკამები უკეთდებოდა. სამივე ხიდი წამყვანი იყო და მძღოლს კაბინიდან საბურავებში წნევის რეგულირება შეეძლო. 375Д მოდელზე არაეკონომიური კარბურატორიანი ძრავა იდგა, რომელიც 93 ოქტანობის ბენზინზე მუშაობდა და 100 კილომეტრზე 40 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობის დროს 46 ლიტრს ხარჯავდა.

1977 წელს გამოჩნდა „კამაზის“ დიზელის ძრავით აღჭურვილი „ურალის“ 4320 მოდელი. დიზელის ძრავა ბენზინის ძრავასთან შედარებით უფრო საიმედო და ეკონომიურია. 100 კილომეტრზე საწვავის ხარჯი 26 ლიტრამდე შემცირდა.

1995 წლიდან მიასის ქარხანა 4320 მოდელის „მოტოვოზების“ წარმოებაზეა გადასული. „მოტოვოზის“ ოჯახი უნიფიცირებულ შასებს (თვლების ფორმულებით 4X4, 6X6 და 8X8) აერთიანებს. გამოყენებულია 180-დან 400 ცხენის ძალის მქონე დიზელის ძრავები, ხოლო ავტომობილების ტვირთამწეობა 4-დან 15 ტონის ფარგლებში მერყეობს. უგზოობის პირობებისათვის მიასის ავტომობილები უფრო გამძლეედ ითვლება და დაზიანების შემთხვევაში იოლი გასარემონტებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ურალი“ სამი წამყვანი ხიდით 10 ტონამდე ბუქსირებადი საარტილერიო სისტემების გასაწევად იყო ჩაფიქრებული. ძარა პირადი შემადგენლობის, ან 5 ტონამდე საბრძოლო მასალის, ან იმავე წონის სხვადასხვა სახის ტვირთის მიღებაზეა გათვლილი. „ურალის“ შასის იმდენად კარგი გამავლობა აღმოაჩნდა, რომ მასზე БМ-21 „გრადის“ დანადგარებია დამონტაჟებული. გარდა ამისა, მზადდება ავტოცისტერნები, ავტოსაწვავგამწყობები, ავტოამწეები და სხვა სახის მაღალი გამავლობის სპეციალიზებული ავტომობილები.

რუსეთის არმიაში „ურალები“ დივიზიის, ბრიგადის, პოლკისა და სხვა უფრო დაბალი დანაყოფებისათვის არის განკუთვნილი.

ჩეჩნეთის ომებმა სატვირთო ავტომობილის დაჯავშნის აუცილებლობა წარმოშვა. გზებზე მოწყობილი ჩასაფრებები და ნაღმები ხშირად ავტომობილების განადგურებასა და მძღოლების დაღუპვას ან მძიმედ დაჭრას იწვევდა.

საზრიანი მძღოლები ტყვიებისაგან თავდასაცავად ავტომობილის კაპოტსა და ფრთებზე ქვიშიან ტომრებს აწყობდნენ, ხოლო კარებს ჯავშანჟილეტებით ფარავდნენ.

პრიმიტიულად დაჯავშნული კაბინა მძღოლისათვის საიმედო არ იყო და გაჩნდა ქარხნულად დამზადებული დაჯავშნული კაბინის შექმნის საჭიროება.

დაჯავშნულ ავტომობილში ყველგანმავალი სატვირთო ავტომობილისა და ჯავშნოსნის თვისებათა შერწყმა მოხერხდა. ჯავშანმა კაბინა ჩვეულებრივზე ბევრად დაამძიმა და წინა ხიდის დაკიდებამ გაძლიერება მოითხოვა. კაბინა 4მმ-იანი ჯავშანფურცლებისაგან მზადდება და მასში 33მმ-იანი ტყვიაგაუმტარი მინებია ჩასმული. დაიჯავშნა აგრეთვე პლატფორმა, საწვავის ავზი და აკუმულატორი.

ერთი დაჯავშნული ავტომობილი 2002 წლიდან გამოცდებს ჩეჩნეთში გადიოდა. 2003 წლის დეკემბერში ურალში ჩებარკულის სატანკო გარნიზონში დაჯავშნული „ურალის“ 4320-09 მოდელმა რეალურ საბრძოლო მოქმედებებთან მიახლოებულ პირობებში გამოცდა გაიარა.

კონსტრუქტორთა შეხედულების დასამტკიცებლად, რომ ბრძოლაში დაჯავშნული კაბინა ნამდვილი ციხესიმაგრეა, გამოცდის დროს კაბინაში გამოკეტილ მძღოლ-გამომცდელს ცეცხლსასროლ იარაღს ესროდნენ, ააფეთქეს ნაღმზე და ის მაინც უვნებელი დარჩა.

დაჯავშნული „ურალების“ პირველი ოფიციალური დემონსტრირება ნიჟნი-ტაგილში იარაღის გამოფენა ARMS-2004-ზე შედგა. ერთი წლის შემდეგ კი გამოჩნდა დაჯავშნული „ურალის“ ახალი მოდელი 4320-31, რომელიც დაჯავშნის მიუხედავად, ჩვეულებრივი „ურალებისაგან“ გარეგნულად მცირედ თუ განსხვავდებოდა.

ავტომობილის ყველა სასიცოცხლო კვანძი — კაბინა, ძრავის განყოფილება, პლატფორმა 8მმ-იან ჯავშანშია ჩასმული. გარდა ამისა, კაპოტის ქვეშ ძრავა ზევიდან და გვერდებიდან ჯავშანფილებით არის დაცული, ხოლო რადიატორის წინ დამცავი ეკრანია დაყენებული. ჯავშანი იცავს საწვავის ავზსა და ტრანსმისიის კვანძებს. კაბინაში 33მმ-იანი ტყვიაგაუმტარი მინებია ჩაყენებული. დაჯავშნულ ძარას აბრაზურები აქვს, საიდანაც ჯარისკაცებს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით საპასუხო ცეცხლის გახსნის საშუალება ეძლევათ.

საბაზო 4320-31-ის მოდელის სრული მასა 15470კგ-ია და ძარით 6000კგ ტვირთის გადატანა შეუძლია. დაჯავშნული „ურალი“ ჩვეულებრივზე ბევრად მძიმეა და ტვირთამწეობა 3 ტონით მცირდება, თუმცა სატვირთო ავტომობილისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. სამაგიეროდ, დაჯავშნულ ძარაში მყოფი 15-20 მებრძოლო უფრო მეტად დაცულია. 240-ცხენისძალიანი დიზელის ძრავა კი საათში მაქსიმალურ 85 კილომეტრის ავითარებს.

სუსტ ადგილად ისევ საბურავები რჩება. უკანა ხიდების ჯავშანფურცლებით დაცვა კიდევ შეიძლება, მაგრამ წინ ხიდი ამის საშუალებას არ იძლევა. საბურავგახვრეტილი „ურალი“ კი კარგი სამიზნე ხდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მრავალფეროვანი კავშირის საშუალებებით დახმარების დროულად მოხმობა შეიძლება.

2008 წლის აგვისტოში ცხინვალში ბრძოლების დროს იქ მყოფი ე.წ. რუსული სამშვიდობო ბატალიონის განკარგულებაში დაჯავშნული სანიტარიული „ურალი“ აღმოჩნდა, რომელსაც დაჭრილი რუსი სამხედროების გამოსაყვანად იყენებდნენ.

რუსი ოკუპანტების კიდევ ერთი დაჯავშნული „ურალი“ იგოეთთან შენიშნეს. ის პოლიციას არ დაემორჩილა. გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ ერთ-ერთი ტყვია ავტომობილს წინა მარცხენა საბურავში მოხვდა. რუსული სამხედრო „ურალის“ ძარაში ნაძარცვი ნივთები და საქონელი აღმოჩნდა, რომელიც ტელევიზიით მილიონობით მაყურებელმა იხილა.

სულ ცოტა ხნის წინ კი, 10 ოქტობერს, ინგუშეთში დაჯავშნული „ურალი“ ნაღმზე აფეთქდა. ავტომობილი მძიმედ დაზიანდა, ხოლო ორმა სამხედრომ საშუალო სიმძიმის ჭრილობები მიიღო. როგორც ჩანს, აფეთქებას საკმაოდ დიდი ძალა ჰქონდა და ჯავშანმა სამხედროები უეჭველი სიკვდილისაგან იხსნა.

რუსეთის არმიაში დაჯავშნული „უაზისა“ (ბორბლების ფორმულა 4X4) და „კამაზის“ (ბორბლების ფორმულა 6X6) ავტოქარხნების ავტომობილებიც გამოიყენება.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

თემურ ჩაჩანიძე

რუსებს „ჰამერები“ მაინც აინტერესებთ და ფოტოიდან ამიტომაც წაიყვანეს



ეროვნული ბიბლიოთეკა



უკრაინის ფლოტის ფლაგმანი ფრეგატი „გეტმანი საგაიდაჩნი“

# ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინისათვის სამხედრო ხომალდების გადაცემას გეგმავს

9 ოქტომბერს მაკედონიის ქალაქ ოჰრიდში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა საბჭოს სხდომის დაწყებამდე, აშშ-ისა და უკრაინის თავდაცვის მინისტრების, რობერტ გეითსისა და იური ეხანუროვის შეხვედრა შედგა.

შეხვედრის შემდეგ უაღრესად საინტერესო განცხადება გაკეთდა. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ მინისტრებმა უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის ამერიკული ხომალდების გადაცემის თაობაზე ისაუბრეს. გეითსის თქმით, ამ საკითხს აშშ-ის მთავრობა განიხილავს და დასძინა, რომ საჭიროა კონგრესის მხარდაჭერაც, რომელსაც შეიძლება რამდენიმე თვე დასჭირდეს. მომავალი შეხვედრა კალიფორნიაში, ქალაქ სან-დიეგოშია დანიშნული.

ამ ინფორმაციას მოსკოვი მყისიერად გამოეხმაურა. რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ანატოლი ნაგოვიცინმა განაცხადა, რომ მოსკოვის რეაქცია ხომალდების კლასსა და დანიშნულებაზე იქნება დამოკიდებული.

უკრაინის ყოფილი თავდაცვის მინისტრი, რადას დეპუტატი ანატოლი კუზმუკუ კი ადასტურებს ინფორმაციას, რომ ხომალდების თაობაზე რამდენიმე ქვეყანასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და 2009 წლის თავდაცვის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამაც არის გათვალისწინებილი. პრეზიდენტ იუშჩენკოს ფრაქციის ინკოგნიტო წევრი კი 2 ამერიკული კორვეტისა და 3 გერმანული წყალქვეშა ნავის შეძენაზე ლაპარაკობს.

ხომალდების გარშემო ატეხილი ხმაური უკვე საქართველოსაც გადმოსწვდა. შავ ზღვაში ამერიკის ფლოტის მუდმივი ყოფნისათვის შესაძლებელია, ვაშინგტონმა ხომალდები საქართველოსაც მიჰყიდოს. ამერიკელები ბაზირებისათვის ფოთს ან ბათუმს გამოიყენებენ და ქართული დროშით იცურავებენ, ხოლო ამერიკელებისაგან დაკომპლექტებული ეკიპაჟი პენტაგონის დაქვემდებარებაში დარჩება.

ამგვარი პრეცედენტი ისტორიაში ცნობილია, — პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914 წლის 16 აგვისტოს, შავ ზღვაში შემოსულმა გერმანულმა ხომალდებმა „გებენმა“ და „ბრესლაუმ“ თურქეთის დროშა აღმართეს. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი სქემა ამერიკელებმა უკრაინისათვის გამოიყენონ და ყირიმში შევიდნენ, სადაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტი 2017 წლამდე რჩება.

რომ არა პოლიტიკური ინტრიგები, დახმარების პროგრამებით სამხედრო ხომალდების სხვა ქვეყნებისათვის გადაცემაში უჩვეულო არაფერია. ასეთ პრაქტიკას ამერიკის შეერთებული შტატები ხშირად მიმართავს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ამერიკის ფლოტს რამდენიმე ასეული საბრძოლო ხომალდი თუ კატარღა გამოუყენებელი დარჩა, დახმარების პროგრამები ბევრ სახელმწიფოს შეეხო, მათ რიცხვში თურქეთიც იყო. თურქეთის ფლოტს 1947 წლიდან, სხვადასხვა დროს, ამერიკის ფლოტისგან წყალქვეშა ნავების, საესკადრო ნაღმოსნების, ფრეგატების, კორვეტების, სადესანტო თუ მტრალავი ხომალდების კლასისა და უფრო დაბალი რანგის რამდენიმე ათეული ხომალდი და კატარღა გადაეცა.

ამერიკული საზღვაო დახმარების პროგრამებითა და ხელშეწყობით ესპანეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის, სამხრეთ კორეისა და კიდევ სხვა რამდენიმე ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტი დღეისათვის ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცა.

დახმარებას საბჭოთა კავშირიც იღებდა, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის წლებში და ამერიკაში აგებული 28 ფრეგატი, 135 სატორპედო კატარღა, 84 მტრალავი ხომალდი და 78 წყალქვეშა ნავებზე მონადირე კატარღა შეემატა.

უკრაინისათვის სამხედრო-საზღვაო დახმარების გაწევის საკითხი შემთხვევით არ დამდგარა. ევროპის ერთ-ერთ დიდი და შავი ზღვისპირეთის რეგიონის წამყვანი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალები შესაფერის პოტენციალს არ ფლობს.

1997 წლის 28 მაისს უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პარამეტრებზე. დოკუმენტის თანახმად, უკრაინას 43 საბრძოლო ხომალდი და კატარღა, 115 უზრუნველყოფის გემი და კატარღა შეხვდა.

საბჭოთა პერიოდში უკრაინის დროშის ქვეშ გადმოსული და „ცივი ომის“ იდეოლოგიით აგებული ხომალდები თუ კატარღები თანამედროვე მოთხოვნებს უკვე დიდი ხანია აღარ პასუხობს და შეცვლას საჭიროებს.

არსებული მონაცემებით, უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებში ამჟამად საბრძოლო 26 ხომალდი და კატარღა არის დარჩენილი, მაგრამ ბრძოლისუნარიანად ფრეგატი „გეტმანი საგაიდაჩნი“, დიდი სადესანტო ხომალდი „კონსტანტინ ოლშანსკი“, კორვეტები „ტერ-

„ნოპოლი" და „ლუცკი" ითვლება.

სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის დღიდან, 1992 წლის 5 აპრილიდან დღემდე მხოლოდ ერთი ხომალდის დასრულება მოხერხდა და სამხედრო მეზღვაურებს ჯერ კიდევ 1991 წელს დაწყებული კორვეტი „ტერნოპოლი" 2006 წელს გადაეცა.

სხვადასხვა სწავლებაში უკრაინას, ძირითადად, ფრეგატი „გეტმანი საგაიდაჩნი" წარმოადგენს, რომელიც შეიარაღებით NATO-ს წევრი ქვეყნების ფრეგატებთან შედარებით ბევრად სუსტია.

უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში ირიცხება „სლავას" სერიის ბოლო სარაკეტო კრეისერი „უკრაინა", რომლის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია. კრეისერის მშენებლობა 1983 წელს ნიკოლაევში დაიწყო და შვიდი წლის შემდეგ კორპუსის წყალში ჩაშვება მოხერხდა. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად მშენებლობა რამდენიმე წლით შეჩერდა. 1996 წელს „უკრაინაზე" მუშაობა განახლდა და დასრულება ჯერ 2000 წელს, შემდეგ მომდევნო წლისათვის დაიგეგმა, მაგრამ ხომალდი მწყობრში მაინც არ შევიდა.

„უკრაინის" დასრულებას უპირველესად შეიარაღებასთან დაკავშირებული პრობლემები უქმნის. „სლავას" სერიის კრეისერები სპეციალურად „ბაზალტის" ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებისათვის შენდებოდა. მორალურად და ტექნიკურად მოძველებული „ბაზალტები" რუსეთში მზადდება და მოსკოვ-კიევის გართულებული ურთიერთობა რაკეტების მიწოდების გამორიცხავს. ამასთან, სარაკეტო კრეისერი ანაქრონიზმად გამოიყურება და ასეთი ხომალდი უკრაინას არ სჭირდება. ამის შესახებ ქვეყნის უმაღლესმა პოლიტიკურმა თუ სამხედრო პირებმა არაერთხელ განაცხადეს.

დღეისათვის „უკრაინა" 92-93%-ით დასრულებულია და „ბაზალტების" გარეშე მწყობრში შესაყვანად 30 მილიონი დოლარი ესაჭიროება. 2008 წლის ივლისში რუსეთის თავდაცვის სამინისტრო თითქოს კრეისერით უკვე მერამდენეჯერ დაინტერესდა და ყიდვას აპირებდა, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. სარაკეტო კრეისერთა კლასის ბოლო წარმომადგენელი, ალბათ, სიცოცხლეს მარტენის ღუმელებში დაასრულებს.

არანაკლებ პრობლემატურია ერთადერთი უკრაინული წყალქვეშა ნავ „ზაპოროჟიეს" (ყოფილი საბჭოთა Б-435) ბედი. 641-ე პროექტის ეს სუბმარინა საბჭოთა ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობაში 1970 წლის 6 ნოემბერს შევიდა. 1990 წელს შავ ზღვაში გადმოვიდა და 1997 წელს უკრაინას გადაეცა, მაგრამ ახალი დროშით ზღვაში გასვლა ვერც ერთხელ ვერ შეძლო. „ზაპოროჟიეს" ათ წელზე მეტია არემონტებენ და მისი დასრულება არა და არ ხერხდება. ერთხანს იმასაც კი ამბობდნენ, რომ წყალქვეშა ნავს რესტორნად გადაკეთება მოელოდა.

არსებული მონაცემებით, რემონტი მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება და 2009 წლიდან მისი გამოცდა დაიწყება. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ „ზაპოროჟიე" მწყობრში შეყვანის შემდეგ გაიყიდება და შემოსული თანხა სხვა ხომალდებს მოხმარდება. სუბმარინის სოლიდური ასაკი — 38 წელი — ღირებულებაზე მოქმედებს, ამიტომ სპეციალისტები „ზაპოროჟიეს" 50-70 მილიონ დოლარად აფასებენ.

სამხედრო გემთმშენებლობაში ასეთი პრობლემები შექმნა ქვეყანას, რომელსაც ძლიერი და მაღალგანვითარებული გემთსაშენი სიმძლავრეები აქვს. საბჭოთა დროში ნიკოლაევის საწარმოო გაერთიანება „შავი ზღვის ფლოტის გემთმშენებელი ქარხანა" ავიამზიდ კრეისერებს, ხოლო ნიკოლაევის საწარმოო გაერთიანება „61 კომუნარის სახელობის გემთმშენებელი ქარხანა" სარაკეტო კრეისერებს აგებდა. ნიკოლაევის გემთსაშენი ქარხანა „ოკეანე" სატვირთო და თევზსაჭერი გემებით იყო ცნობილი, ხოლო კიევის გემთსაშენი ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცაში" კორვეტის კლასის ხომალდები დიდ სერიებად შენდებოდა. საბჭოთა ფლოტს ქერჩის გემთსაშენი ქარხანა „ზალივი" ფრეგატის კლასის ხომალდებს, ფეოდოსიის საწარმოო გაერთიანება „მორე" კი საჰაერო ბალიშზე მოცურავე პატარა სადესანტო ხომალდებს აწვდიდა.

24 სექტემბერს რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი უკრაინასთან თანამშრომლობის წინადადებით გამოვიდა და ამის სანაცვლოდ სევასტოპოლში რუსეთის ფლოტისათვის ბაზირების ვადების 2017 წლის შემდეგ გაგრძელება მოისურვა.



**„ოლივერ ჰაზარ პერის" სერიის სარაკეტო ფრეგატი შეიძლება უკრაინა-რუსეთის დაპირისპირების კიდევ ერთი მიზეზი გახდეს**



ალბათ უკრაინის ფლოტს „ოსპრეის“ სერიის ასეთი მტრალავი ხომალდი შეემატება

სერდიუკოვის წინადადება რუსული ავიამზიდების მშენებლობაში უკრაინის სამრეწველო პოტენციალის გამოყენებას დაუკავშირდა. რუსები სევეროდვინსკში 100 ათასზე მეტი წყალწყვის ხომალდების ასაგებ დოკს აშენებენ, სადაც მომავალში ავიამზიდების მშენებლობა იგეგმება და ამ პროექტში უკრაინის მონაწილეობა ცალკეული აგრეგატებისა თუ კვანძების მიწოდებით იქნებოდა გარანტირებული.

ნაკლებმოსალოდნელია, რომ კიევი სერდიუკოვის წინადადებას დათანხმდეს, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სანაპიროსთან განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით ქვეყნის სამხედრო-საზღვაო პოტენციალის ასამაღლებლად ნაბიჯი აუცილებლად გადაიდგმება.

უკრაინა სამხედრო-საზღვაო ძალების მომავალ სახეს კორვეტის კლასის ხომალდებში ხედავს. ასეთი ხომალდის პროექტზე მუშაობა რამდენიმე წელია მიმდინარეობს. სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს, ვიცე-ადმირალ იგორ ტენიუხს იმედი აქვს, რომ 2009 წელს ახალი კორვეტის მშენებლობის დაწყება მოხერხდება.

კორვეტის წყალწყვა 3 ათას ტონას, ცურვის სიშორე 4,5 ათას მილს და ავტონომიურობა 30 დღეს შეადგენს. ეს მაჩვენებლები განისაზღვრა უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობით, შავი და ხმელთაშუა ზღვების მასშტაბებითა და იმ ამოცანებით, რომლებიც უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების წინაშე მომავალში შეიძლება დადგეს. ახალ კორვეტებში გამოყენებული მასალების, აგრეგატებისა და სხვადასხვა სისტემის 60% უკრაინული წარმოების იქნება. დაგეგმილია 10 ხომალდისაგან შემდგარი სერიის აგება.

ვიცე-ადმირალ იგორ ტენიუხის აზრით, ახალი ხომალდების აგება ძალზე მნიშვნელოვანია და სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

კორვეტების მშენებლობაში მონაწილეობას წამყვანი ფრანგული, გერმანული, იტალიური და ჰოლანდიური კომპანიები მიიღებენ. ხომალდების მწყობრში შეყვანას რამდენიმე წელი დასჭირდება და უკვე შექმნილ ნიშას დროებით ამერიკული დახმარების პროგრამით მიღებული ხომალდები შეავსებენ.

ამერიკელები, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებენ უკრაინისათვის გადასაცემი ხომალდების კლასსა და რაოდენობას, თუმცა მოლაპარაკებები, ძირითადად, ალბათ, ამ საკითხს შეეხება.

ვაშინგტონი სხვა ქვეყნებისათვის გადასაცემად სამხედრო-საზღვაო ფლოტის I ან II რიგის რეზერვის ხომალდებს იყენებს.

ამჟამად I რიგის რეზერვში „ოლივერ ჰაზარდ პერის“ სერიის 10 სარაკეტო ფრეგატი და „ოსპრეის“ სერიის 5 ნაღმების მაძიებელი მტრალავი ხომალდია.

ბევრად უფრო დიდი და მრავალფეროვანი II რიგის რეზერვია, რომელიც 37 წყალზედა ხომალდსა და გემს აერთიანებს. მათ შორის არის 5 ავიამზიდი, სახაზო ხომალდი, 3 სარაკეტო კრეისერი, 8 სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი და ა.შ.

მოკავშირე და მეგობარ ქვეყნებს ამერიკელები უფრო თანამედროვე I რიგის ხომალდებს გადასცემენ. მაგალითად, ხომალდსაწინააღმდეგო „ჰარპუნებითა“ და საზენიტო „სტანდარტებით“ აღჭურვილი „პერის“ სერიის 8 ფრეგატი თურქეთმა 1997-2003 წლებში მიიღო, 4 — ეგვიპტემ 1996-98 წლებში და ერთი ბაჰრეინმა 1996 წელს. ნაღმების მაძიებელი „ოსპრეის“ სერიის ორ-ორი მტრალავი ხომალდი კი საბერძნეთსა და ეგვიპტეს გადაეცა.

„პერის“ სერიის ფრეგატების გამოჩენა უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შეიძლება რუსეთთან მწვავე დაპირისპირების მიზეზი გახდეს, ამიტომ სავარაუდოდ, ამერიკელები არჩევანს უფრო მშვიდობიან ნაღმებისმაძიებელ მტრალავ ხომალდებზე შეაჩერებენ.

*თემურ ჩაჩანიძე*

უკრაინული წყალქვეშა ნავი „ზაპოროჟიე“ 2007 წლის მაისში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**1. ოჯახური პირობების გამო დროულად არ გამოვცხადდი ნაწილში, აღნიშნულის გამო ჩემ მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლის მეორე ნაწილით. გთხოვთ განმიმარტოთ, რა სახის სასჯელი შეიძლება დამეკისროს?**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ანუ დეზერტირობა ჩადენილი სამსახურებრივი სარგებლობისთვის მინდობილი იარაღით ან ჯგუფურად, თუ ნაწილში გამოუცხადებლობის მიზეზი სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება იყო, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

**2. გასამართლებული ვიყავი სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის გამო, შემიძლია თუ არა ვიმსახურო სამხედრო სამსახურში?**

ვინაიდან თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაული მიეკუთვნება მძიმე კატეგორიის დანაშაულს, თქვენ არ ექვემდებარებით სამხედრო სამსახურში გაწვევას.

**3. დაკავების შემთხვევაში სად ათავსებენ სამხედრო მოსამსახურეს?**

დაკავებულ სამხედრო მოსამსახურეს ათავსებენ ჰაუპტვახტში, რომელიც ფუნქციონირებს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სისტემაში.

**4. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტით ვმსახურობდი. ომის პერიოდში, ვინაიდან მსურდა ჩემი ოჯახის წევრების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა, ჩემს მეთაურს ვთხოვე რამდენიმე დღით გათავისუფლება. უარის გამო თვითნებურად დავტოვე ნაწილი. აღნიშნულის გამო გამათავისუფლეს სამსახურიდან. გთხოვთ განმიმარტოთ, დამეკისრება თუ არა დამატებით რაიმე სახის სასჯელი?**

ვინაიდან თქვენ თვითნებურად დატოვეთ ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოწვეული იყო ოჯახური ვითარებით, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო შეიძლება დაგეკისროთ ჯარიმა. ჯარიმის კონკრეტული ოდენობა მითითებული იქნება კონტრაქტში.

**5. ვარ გაწვეული სამხედრო მოსამსახურე, ნაწილში არსებული მდგომარეობის გამო თვითნებურად მივატოვე სამსახურის ადგილი და ორი კვირის განმავლობაში ვიმალებოდი. იმ შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობით დავბრუნდები ნაწილში, გავთავისუფლდები თუ არა სასჯელისგან?**

ვინაიდან თქვენ ათ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით მიატოვეთ სამხედრო სამსახური, ეს ქმედება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ დანაშაულს და ისჯება სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმედება ჩადენილია პირველად და ნაწილის დატოვება გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, ახლობლის გარდაცვალება და სხვა მძიმე ვითარება).

**6. რამდენი ხნით შეიძლება სამხედრო მოსამსახურის დაკავება, როდესაც იგი ეჭვმიტანილად არის აღიარებული?**

ეჭვმიტანილის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს.

დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში პირს უნდა წაეყენოს ბრალდება, ხოლო თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

**7. სამხედრო მოსამსახურე დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 385-ე მუხლით (უფროსის მიმართ ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო. როდიდან შეუძლია მას მოითხოვოს ადვოკატის დახმარება?**

სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია მოითხოვოს დამცველის მოწვევა დაკავებისთანავე. მას უფლება აქვს ადვოკატის მისვლამდე არ მისცეს ახსნა-განმარტება ან სხვა სახის ჩვენება.

**8. რა უფლებები ეზღუდება სამხედრო მოსამსახურეს, როდესაც მას შეფარდებული აქვს აღკვეთის ღონისძიება, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობით?**

სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის მოქმედების პერიოდში ბრალდებული არ უნდა დაინიშნოს გუშაგად და სხვა პასუხსაგებ განწესში. მას უნდა ჩამოერთვას მშვიდობიან დროში იარაღის ტარების უფლება, არ შეიძლება გაიგზავნოს ნაწილის გარეთ მარტო სამუშაოდ, არ შეიძლება გათავისუფლდეს ნაწილიდან და უნდა იმყოფებოდეს მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობაში.



# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ოფიცრის წოდება; 6. იტალიური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; 7. ჩეხური პისტოლეტის „ჩესკა ზბროიოვკას“ მოდელი; 8. ხელოვნური ენა; 9. „ფოლკსვაგენის“ მოდელი; 10. ავსტრიის დედაქალაქი; 11. ამერიკული რევოლვერის „სმით ვესონის“ მოდელი; 14. სხვადასხვაგვარი ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 16. შვეცარიული ჯავშნოსანი საბრძოლო მანქანა; 17. სამსახურებრივი მოხსენება სამხედრო მოსამსახურისა უფროსისადმი; 18. ამერიკის შტატი; 20. მდინარე იტალიაში; 21. მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში; 22. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარაკეტო კატერების ტიპი; 24. ინდოელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 25. გერმანული ფაშიზმი; 27. რუსული სამხედრო შვეულმფრენი; 28. ერთგვარი ქვემეხი, რომელიც ისვრის კიდულად; 30. შვეულმფრენების მწარმოებელი ქარხანა ისრაელში; 31. ეგვიპტის დედაქალაქი; 33. კამათი, პაექრობა; 34. პოლიციის მოხელე სოფლად 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე.

**შვეულად:** 1. იტალიური პისტოლეტი; 2. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; 3. ჟანა დ'არკის მშობლიური ქალაქი; 4. ქვეყანა აზიაში; 5. იაპონური პისტოლეტი; 11. გერმანული რევოლვერი; 12. იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების დისლოკაციის ადგილი; 13. პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით; 14. ქალაქი საქართველოში; 15. ინგლისური საზენიტო-საარტილერიო კომპლექსი; 17. საგუშაგო, სადარაჯო პუნქტი; 19. მექსიკის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა; 23. იტალიური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი; 26. სერბული წარმოების პისტოლეტი; 28. სპორტის სახეობა; 29. მომავლის რწმენა; 32. რუსეთის საინფორმაციო სააგენტო.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 5. ბერსალიერი; 6. რიბენტროპი; 7. დინამიტი; 8. პინდადი; 13. რიგერი; 14. ცახალი; 15. იერიში; 17. როკადა; 19. შტაირი; 21. მადონა; 22. იო; 23. მარშალი; 25. გალავანი; 26. კა; 27. ლანგენჰანი; 30 სკოჩი; 32. მერია. **შვეულად:** 1. სევილია; 2. მაგნიუმი; 3. მიურატი; 4. დილიჟანსი; 8. პერშინგი; 9. ნიგერია; 10. დგირი; 11. კანონადა; 12. სარატოგა; 16. შარშპუტერი; 18. აბადი; 20. ტომაჰავკი; 24. იოხა; 25. გობი; 28. ჰეგე; 29. ნავი; 31. ჩე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# P8 — ცნობილი USP-ს სამხედრო ვარიანტი ბუნდესვერისთვის

გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ — საჭირო იყო ერთდროულად შეცვლილიყო მანამდე ბუნდესვერის შეიარაღებაში არსებული P1 და P21 (სამოქალაქო PPK-ს სამხედრო ვარიანტი) პისტოლეტები, ავტომატური შაშხანა G3, მის ბაზაზე შექმნილი სნაიპერული შაშხანა, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი UZI და ერთიანი ტყვიამფრქვევი MG3. ეს კი ნიშნავდა ბუნდესვერის ცეცხლსასროლი იარაღის არსენალის მთლიან ჩანაცვლებას, რაც დიდ ხარჯს მოითხოვდა, რაც ძლიერი ეკონომიკის მქონე გერმანიისთვისაც კი ძნელად გადასატანი იქნებოდა.

G3-ები მალე ახალი თაობის G36-მა ავტომატურმა შაშხანებმა ჩაანაცვლა, ხოლო მოძველებული MG3 ტყვიამფრქვევები MG4-ებმა შეცვალეს. პისტოლეტების შესაცვლელად ბუნდესვერმა შედარებით იაფ, ამასთან, ღირსეულ გამოსავალს მიაგნო და ახალი არმიული პისტოლეტის ბაზად უკვე საქვეყნოდ ცნობილი USP აირჩია.

USP-ს ტიპის თვითდამტენი პისტო-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეტი ლეგენდარულმა გერმანულმა საიარაღო ფირმამ Heckler und Koch-მა თავდაპირველად აშშ-ის არმიის შესაიარაღებლად შექმნა, მაგრამ აშშ-ის არმიის გამოცხადებულ კონკურსში იტალიურმა BERETTA 92-მა გაიმარჯვა.

სამაგიეროდ, გერმანული USP ისე მოეწონათ ამერიკელ სპეცრაზმელებს, რომ აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაურობამ .45ACP (11,43მმ) ვაზნაზე გათვლილი ეს პისტოლეტი თავის შეიარაღებაში მიიღო MK23 SOCOM-ის სახელწოდებით.

ეტყობა, ბუნდესვერმაც გაითვალისწინა ნატოელი პარტნიორების გადაწყვეტილება და არჩევანი USP-ზე შეაჩერა, რომელიც გერმანული არმიის შეიარაღებაში P8-ს სახელით შევიდა.

ამერიკული ვარიანტისგან განსხვავებით, P8 გათვლილია 9X19 Para ტიპის 9მმ კალიბრის ვაზნების მოხმარებაზე, რაც უფრო კომფორტაბელურს ხდის ამ პისტოლეტის სროლას. საქმე ის არის, რომ 11,43მმ-იანი კალიბრის მძლავრი ვაზნების გამოყენებისას წარმოქმნილი უკუცემის მომენტის შესამცირებლად გერმანელმა კონსტრუქტორებმა ერთი საინტერესო ტექნიკური გადაწყვეტილება გამოიყენეს.

USP-ს უკან დამაბრუნებელი-ბუფერული მოწყობილობა ფოლადის ღეროს წარმოადგენს, რომელზეც ორი ზამბარაა ჩამოცმული. 72მმ სიგრძის წინა ზამბარა უკან დამაბრუნებლის როლს ასრულებს, ხოლო მეორე ზამბარა (19მმ სიგრძის) კი — ბუფერისას. ეს ბუფერი მნიშვნელოვნად ამცირებს საკეტის უკუცემის ძალას, როდესაც საკეტი უკიდურეს უკანა პოზიციაში გადადის 11,43მმ კალიბრის ტყვიის გასროლისას.



P8-ს არასრული დაშლა

**ჩვენი დოსიე:** თვითდამტენი პისტოლეტი P8 ვაზნების გარეშე 770გ-ს იწონის. მჭიდითა და 9X19 Para ტიპის 15 ცალი 9მმ-იანი ვაზნით პისტოლეტის მასა 985გ-მდე ადის. იარაღის სიგრძე 194მმ-ია, სიგანე — 32მმ, სიმაღლე — 136მმ. ლულის სიგრძე 108მმ-ს შეადგენს. ლულაში მარჯვენა მიმართულებით 6 ხრახნია. ტყვიის საწყისი სიჩქარე 360მ/წმ-ია. სროლის ეფექტიანი მანძილი 50მ-ს შეადგენს. პისტოლეტის ავტომატიკის მუშაობა დაფუძნებულია ლულის მცირე გადაადგილებაზე, საკეტი კი „ბრაუნინგის“ სქემით იკეტება.



P8-ს წინამორბედი USP-ე





ბუნდესვერისთვის გამოშვებულ P8-ებში კონსტრუქტორებმა კალიბრი 11,43-დან 9მმ-მდე შეამცირეს, შესაბამისად შემცირდა გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალა. სამაგიეროდ, შენარჩუნდა 11,43მმ კალიბრიანი USP-სთვის შექმნილი უკან დამაბრუნებელი — ბუფერული მოწყობილობა, რამაც P8-ში უკუცემის ძალა კიდევ უფრო შემცირდა, ვიდრე USP-ში. USP-სა და შესაბამისად, P8-ს წარმოებისას გამოყენებულია თანამედროვე MIM-ტექნოლოგია, რაც იმას ნიშნავს, რომ პისტოლეტების კორპუსები იქმნება ფხვნილისებრი მეტალურგიისა და წნევის ქვეშ ჩამოსხმის მეთოდების კომბინაციით, რის შემდეგაც დეტალებს მინიმალური მექანიკური დამუშავება სჭირდებათ.

ბუნდესვერმა P8-ის შეიარაღებაში მიღება 1995 წლიდან დაიწყო და პირველი 60 პისტოლეტი ბოსნიაში საბრძოლო მყვინთავების ჯგუფს გაუგზავნა. პირველ ორ-სამ წელიწადში ბუნდესვერმა 35 ათასამდე P8 ტიპის პისტოლეტი მიიღო, რომელთა ძირითადი ნაწილი სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის შესაიარაღებლად გამოიყო.

გერმანული არმიის გარდა P8-ები შეიარაღებაში მიიღეს ესპანეთისა და საბერძნეთის არმიებმაც (ბერძნებმა P8-ების ლიცენზიური წარმოებაც კი დაიწყეს). მისი კომპაქტური ვარიანტი კი 1997 წლიდან გერმანიის პოლიციელთა აღჭურვილობაშიც გამოჩნდა.

P8-ში გათვალისწინებულია გერმანელი სამხედროების ერთი შეხედვით კონსერვატიული მოთხოვნა.

საცემ-სასხლეტი მექანიზმი P8-ს კლასიკური ტიპის აქვს; ანუ ღიად არის განთავსებული ჩახმახი და დამცველი. ჩახმახის წინასწარ შეყენების შემდეგ (ან მორიგი გასროლის შემდეგ) სასხლეტზე მსროლელის თითის დაწოლის ძალა უფრო ნაკლებია, რაც აუმჯობესებს მიზანში მორტყმის ალბათობას.

დამცველი მარცხენა მხარეზეა განთავსებული და სამი მდგომარეობა აქვს. ჰორიზონტალურად მდგარი დამცველი (F ასოზე) ნიშნავს, რომ იარაღი სასროლადაა გამზადებული. ქვემოთ, S ასოზე ჩამოწეული დამცველის შემთხვევაში, ჩახმახი ბლოკირებულია და გასროლა შეუძლებელი. თუკი დამცველს კიდევ ქვემოთ ჩამოწევთ, ხდება ჩახმახის არასრული დაცემა (გასროლა არ მოხდება), ხოლო დამცველი ავტომატურად ბრუნდება S მდგომარეობაში.

P8-ს განმასხვავებელი ნიშანია მისი მჭიდი, რომელიც გამჭვირვალე პლასტმასისგან არის დამზადებული (გამჭვირვალე პლასტმასის მჭიდი აქვს G36 ტიპის ავტომატურ შაშხანასაც), რაც აადვილებს მჭიდში არსებული ვაზნების დათვლას.

P8, ისევე როგორც მისი წინამორბედი USP, გამოირჩევა დიდი გამძლეობით და მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ისე პატარა ზომისა არიან, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო საარმიო პისტოლეტებად ითვლებიან.

*ირაკლი ალადაშვილი*



ჯარისკაცი

ISSN 1987 - 5061




# HK MK23 SOCOM (USP)